To understand the essence of economic policy, it is important to get to know its theoretical aspect better, since the structure of economic policy is a complex and multifaceted form. It covers a wide spectrum of economic relations and focuses on economic decision-making processes. The vector of implementation of the practical side of economic policy is largely determined by decisions based on the conclusions of economic policy theory, which ultimately ensures its success.

Keywords: economic policy; general economic policy; specific economic policy; basic methods of control; practical economic policy; theory of economic policy.

REFERENCES:

1. Economic policy - SlideShare. <https://www.slideshare.net/domsr/economic-policy>;
2. Eduard Mandle (Hrsg.), Praktische Wirtschaftspolitik: Willensbildung, Globalsteuerung, Branchenpolitik, Umweltpolitik (Moderne Wirtschaftsbücher), Gabler Verlag; 1977th edition [1 Jan. 1977];
3. <https://www.britannica.com/topic/government-economic-policy>;
4. <http://www.bpb.de/nachschlagen/lexika/lexikon-der-wirtschaft/18713/aufbau-ost>.

ეკონომიკური პოლიტიკის არსის განმარტებისთვის

ვასილ ხიზანიშვილი,
სოციალიურ მეცნიერებათა დოქტორი
ეკონომიკაში, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული პროფესორი
ORCID iD: <https://orcid.org/0000-0002-7179-8967>
ელ.ფოსტა: basil.khizanishvili@yahoo.com

აბსტრაქტი

ეკონომიკური პოლიტიკის არსის გასაგებად, მნიშვნელოვანია მისი თეორიული ასპექტის უკეთ გააცნობა, ვინაიდან ეკონომიკური პოლიტიკის სტრუქტურა წარმოადგენს რთულ და მრავალნაზხაგოვან ფორმას. ის ეხება ეკონომიკურ ურთიერთობათა ფართო სპექტრს და ფოკუსირებულია ეკონომიკური

გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე, ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკული მხარის აღსრულების ექსტრის დიდწილად განსაზღვრავს ეკონომიკური პოლიტიკის თეორიის დასკვნებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მის წარმატებას.

საკენძო სიტყვები: ეკონომიკური პოლიტიკა; ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკა; კონკრეტული ეკონომიკური პოლიტიკა; კონტროლის ძირითადი მეთოდები; პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკის თეორია.

შესავალი

ტერმინი „ეკონომიკური პოლიტიკა“ განიმატება, როგორც სახელმწიფო ზომები, რომლებიც გამიზნულია ქვეყნის შიგნით არსებულ ეკონომიკურ პროცესებსა და სტრუქტურებზე გავლენის მოსახდენად. განასხვავებენ ზოგად და კონკრეტულ ეკონომიკურ პოლიტიკას. თუ ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია მთელ ეროვნულ ეკონომიკაზე, მას მოიხსენიებენ როგორც ზოგად ეკონომიკურ პოლიტიკას; თუ ის მიმართულია მხოლოდ ეროვნული ეკონომიკის ნაწილებზე, მას უწოდებენ კონკრეტულ ეკონომიკურ პოლიტიკას.

როგორც ზოგად პოლიტიკაში, ასევე ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილებები დაფუძნებულია სავალდებულო წესების დადგენაზე. მაშინ როცა ზოგადმა პოლიტიკამ უნდა გადაჭრას სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში განსხვავებული ინტერესების დაბალანსებისა და აუცილებელი ჩარჩო პირობების (სახელმწიფო სტრუქტურა, მმართველობის სისტემა, პარტიული სისტემა) და ინსტიტუტების (მართლმსაჯულება, საჯარო მმართველობა და ა.შ.) შექმნის ამოცანები, ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს პოლიტიკურ სფეროს, რომელიც ფოკუსირებულია ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე და შესაბამისად, საბოლოო ფაშში გავლენას ახდენს სამეურნეო (ეკონომიკური/ბიზნეს) სუბიექტების/აგენტების საქონლით უზრუნველყოფაზე (ეკონომიკური/ბიზნეს აგენტებისთვის პროდუქციის მიწოდებაზე). ეს მოიცავს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ადგენს როგორც ეკონომიკური საქმიანობის ჩარჩოებს, ასევე თავად არეგულირებს ეკონომიკური საქმიანობის კურსს. ამასთან, ეკონომიკური წესრიგის ფორმირება (მონყობა/ჩამოყალიბება) (კერძოდ, კოორდინაციის პრობლემის გადაჭრა და საკუთრების სტრუქტურის განსაზღვრა/დადგენა) იკავებს ცენტრალურ ადგილს.

ძირითადი ნაწილი

„ეკონომიკური პოლიტიკის“ კონცეპტი ყოველისმომცველი და ფართოა და მოიცავს ყველა იმ პროცედურას, პრინციპს, პოლიტიკის წესებსა

და რეგულაციებს, რომლებიც აკონტროლებენ ქვეყნის სამრეწველო და ეკონომიკურ აქტივობებს და აყალიბებენ ინდუსტრიალიზაციის ნიშნულს. იგი მოიცავს ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას, სამრეწველო პოლიტიკას და სატარიფო და სავაჭრო პოლიტიკას, შრომის პოლიტიკას, ექსპორტ-იმპორტის (ანუ, Exim Policy) პოლიტიკას, სავალუტო პოლიტიკას და უცხოური ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების პოლიტიკას და მთავრობის დამოკიდებულებას არა მხოლოდ საგარეო დახმარების, არამედ საჯარო და კერძო სექტორების მიმართაც. [1]

ეკონომიკური პოლიტიკა მოიცავს როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებთა ქმედებებს, ისე ამ ქმედებების მეცნიერულ (თეორიულ) საფუძველს. იგი ეფუძნება კომპლექსურ დასკვნებს სხვა დისციპლინებიდან, როგორიცაა ეკონომიკური თეორია, პოლიტოლოგია/პოლიტიკური მეცნიერება, სოციოლოგია, კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართალი და ა.შ. ამიტომ ეკონომიკური პოლიტიკის საგნის ანალიზი ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს ორ ასპექტს. ერთის მხრივ, მან უნდა შეისწავლოს მეცნიერული საფუძველი (ეკონომიკური პოლიტიკის თეორია) და, მეორე მხრივ, ეხებოდეს მეცნიერული აღმოჩენების პრაქტიკულ განხორციელებას (პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა). შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გავივით, როგორც მეცნიერებისა (თეორიისა) და პრაქტიკის ერთიანობა.

მაშასადამე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური პოლიტიკა არის ეკონომიკური წესრიგის, ეკონომიკური სტრუქტურისა და ეკონომიკური პროცესის ჩამოყალიბება ეკონომიკურ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. ეს არის ძალაუფლებით აღჭურვილი ინსტიტუტების დადგამილი გავლენა მთელ ეროვნულ ეკონომიკაზე ან ეროვნული ეკონომიკის ნაწილებზე, მაკროეკონომიკურად მნიშვნელოვანი მდგომარეობისა და პროცესების შენარჩუნების, აღდგენის ან შეცვლის მიზნით. თუმცა, ტერმინი „ეკონომიკური პოლიტიკა“ გამოიყენება ორი მნიშვნელობით. ეს ერთი

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



მხრივ ნიშნავს ეკონომიკური პოლიტიკის მხარდა-
მჭერების ფაქტობრივ საქმიანობას, მეორე მხრივ
კი მასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დისციპლი-
ნას. სიცხადისთვის, პირველ ფაქტს ჩვეულებრივ
აღწერენ სიტყვით „პრაქტიკული ეკონომიკური
პოლიტიკა“, ხოლო მეორე ფაქტისთვის შერჩეულია
ტერმინი „მეცნიერული ეკონომიკური პოლიტიკა“.
პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა - ანუ იმ
პირთა კონკრეტული ეკონომიკური პოლიტიკის
ქმედებები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან
ეკონომიკურ პოლიტიკაზე ეროვნულ ეკონომიკაში
დროის გარკვეულ მომენტში - არის მეცნიერული
ეკონომიკური პოლიტიკის გამოცდილების ობი-
ექტი.[2]

ეკონომიკური პოლიტიკის თეორიის (დასკვენ-
ბის) რეალიზების ობიექტია პრაქტიკული ეკონო-
მიკური პოლიტიკა, სადაც ყურადღებას ცენტრში
იმყოფება ეკონომიკურ პოლიტიკაზე პასუხისმგე-
ბელი პირების ქმედებები, რომლებიც გავლენას
ახდენენ ეკონომიკურ მოვლენებსა და მათ ჩარჩო
პირობებზე.

ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და მისი
შემდგომი განხორციელების პროცესში აქტიურ
როლს თამაშობს არასამთავრობო (კერძო) ორგა-
ნიზაციები და ასოციაციები/გაერთიანებები, რომ-
ლებიც, სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაზე
გავლენის მოხდენით ცდილობენ განახორციელონ
საკუთარი ჯგუფური ინტერესები. მიუხედავად
იმისა, რომ პარლამენტი და მთავრობა წარმოა-
დგენს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელ,
უმაღლესი პასუხისმგებლობის მქონე მხარეს, მათ
არ აქვთ აბსოლუტური, ექსკლუზიური მმართვე-
ლის გადაწყვეტილების (მიღების) თავისუფლება.
ამ თვალსაზრისით

*ეკონომიკური პოლიტიკა არის ყველა ძალისხმე-
ვის, ქმედებისა და დონისძიების ერთობლიობა,
რომელსაც იღებენ საჯარო/სახელმწიფო ინსტი-
ტუტები ეკონომიკური საქმიანობის მიმდინარეო-
ბაზე გავლენის მოხდენის მიზნით, რათა მაილნიონ
ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს დარგსა თუ
სფეროში, ან განსაზღვრონ/დაადგინონ, შესაბამი-
სად, შეცვალონ მისი ჩარჩო პირობები.*

ეკონომიკური პოლიტიკის, როგორც მეცნიე-
რების წინაშე დგას სამი ფუნდამენტური საკითხი:
რას აკეთებს სახელმწიფო, როგორც ეკონომიკური
პოლიტიკის გამტარებელი? რა არის სახელმწიფო
ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები? რა საშუა-
ლებებს (ინსტრუმენტებს) იყენებს სახელმწიფო
მიზნის მისაღწევად?

ამ კითხვებზე პასუხს ეკონომიკური პოლიტიკის
თეორია სცემს შემდეგი ამოცანების შესრულებით:
არსებული/მიმდინარე მდგომარეობის (ინგლ.
current situation / გერმ. Ist-Situation) აღწერა და
ახსნა. პროგნოზის ჩათვლით არსებული სიტუაციის
განვითარების შესახებ, თუ რამე ქმედება არ იქნა
განხორციელებული.

სამიზნე მდგომარეობის (ინგლ. Target situation
/ გერმ. Soll-Situation) აღწერა. საფუძველი უნდა
იყოს მკაფიო სახელმძღვანელო მითითებები, თუ
რა სიტუაციის კენ/მიზნების კენ უნდა იყოს (ისინი)
მიმართული. ეკონომიკურ პოლიტიკაში, გაბატო-
ნებული მოსაზრებით, ღირებულებითი მსჯელო-
ბებიდან გამომდინარე, სოციალურ-პოლიტიკური
მიზნები მიღებულია როგორც ფაქტი და არ არის
დასაბუთებული. უფრო მეტიც, მათი ამოცანა სა-
მიზნე მიზნებად და სამიზნე განზომილების ზუსტი
განსაზღვრა ან ახსნა ეკონომიკური მიზნებისთვის
და სამიზნე სისტემის შემოწმება შესაძლო სამიზნე
კონფლიქტებთან დაკავშირებით (მიზანთან შესა-
ბამისობა / სამიზნე თანმიმდევრულობა). ამრიგად,
რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა ვარაუ-
დობს, რომ დასაბუთებული მიზნები მკაფიოდ არის გან-
საზღვრული ხარისხობრივად და რაოდენობრივად
და თავსებადია ერთმანეთთან მიზანშეწონილობის
თვალსაზრისით.

შესაფერისი საშუალებების გამოყენების გა-
ნსაზღვრა (საშუალებების გამოყენება), არსებული
მდგომარეობის სამიზნე ვითარების გათანაბრება.
ეს ასევე მოიცავს ზემოქმედების პროგნოზს (მიზ-
ნობრივი პროექცია), რომელშიც შეფასებულია
სახსრების გამოყენების მოსალოდნელი ეფექტი.
სახსრების გამოყენების კონტროლი და შეფა-
სება „გაუმჯობესებისთვის“ ინფორმაციის მოსა-
პოვებლად.

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, არის ის
ზომები, რომლითაც მთავრობა ცდილობს გავლენა
მოახდინოს ეკონომიკაზე. ეროვნული ბიუჯეტი
ზოგადად ასახავს მთავრობის ეკონომიკურ პოლი-
ტიკას და ნაწილობრივ, ბიუჯეტის მეშვეობით მთა-
ვრობა ახორციელებს კონტროლის დამყარების სამ
ძირითად მეთოდს: ალოკაციურ (გამოყოფის) ფუნ-
ქციას, სტაბილიზაციის (მდგრადობის) ფუნქციას
და დისტრიბუციის (განმანაწილებელ) ფუნქციას.

ალოკაციური ფუნქცია (The allocative function)
ბიუჯეტირებაში (ბიუჯეტის შედგენა, - ფულადი
მასის მიღების, დაზოგვისა და ხარჯვის დაგეგმვის
განგაარიშების პროცესი) ალოკაციური (გამოყო-
ფა-განაწილების) ფუნქცია (The allocative function)



განსაზღვრავს რაზე დაიხარჯება სახელმწიფო შემოსავალი (government revenue). იმის გამო, რომ ეროვნული შემოსავლის (national income) დიდი/ მაღალი წილი (a high proportion) ახლა საჯარო/ სახელმწიფო ხარჯებს (public expenditure) ეთმობა, ალთკაციური გადანაწილებები უფრო მნიშვნელოვანი ხდება პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. ნებისმიერ დროსა და ქვეყანაში მოთხოვნები კონკრეტული მომსახურების (სერვისები) ან რაიმე სახის საქმიანობის (აქტივობები) ხარჯების თაობაზე, ან უფრო გულუხვი სატრანსფერო (გადარიცხვები) გადახდების შესახებ, ყოველთვის აღემატებოდა (და აღემატება ახლაც და მომავალშიც) იმ თანხას, რომელიც შეიძლება გონებრივად იქნას მოპოვებული/ მოხდებული დანებების ან სესხის აღების გზით. დებატი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განაწილდეს/ გამოიყოს ეს მწირი რესურსები, გრძელდება ასობით წლის განმავლობაში და, მიუხედავად იმისა, რომ გაჩნდა პრიორიტეტების განსაზღვრის/ დადგენის მრავალი მეთოდი, ის არასოდეს ყოფილა დამაკმაყოფილებელად გადანაწილები. პრაქტიკაში, უმეტეს დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობს რიგი განსხვავებული ჯგუფები/ დაჯგუფება, რომელიც არ ეთანხმება რესურსების ჩვეულ ალთკაციის და, ფაქტობრივად, ეკონომიკაში საჯარო სექტორის მონაწილეობის სათანადო დონეს; ეროვნული მთავრობის სპირი ცვლილება და კავშირებულია სწორი პასუხების მუდმივ ძიებასთან.

სტაბილიზაციის ფუნქცია (The stabilization function)

ეკონომიკის სტაბილიზაცია (მაგ., სრული და-საქმება, ინფლაციის კონტროლი და თანაბარი საავადმძღველო ბალანსი) არის ერთ-ერთი მიზანი, რომლის მიღწევასაც მთავრობები ცდილობენ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის მანიპულაციის გზით. ფისკალური პოლიტიკა ეხება გადასახადებს (taxes) და ხარჯებს/გასაღებს (expenditures), მონეტარული პოლიტიკა - ფინანსურ ბაზრებსა და კრედიტის, ფულის და სხვა ფინანსური აქტივების (financial assets) მინოდებას.

სადიტირბუციო ფუნქცია (The distributive function)

პრაქტიკულად ყველაფერი, რასაც მთავრობა აკეთებს, გარკვეულ გავლენას ახდენს შემოსავლებისა ან სიმდიდრის განაწილებაზე საზოგადოების სხვადასხვა დონეზე. ჯანდაცვის დანახვებების გაუმჯობესებას სარგებელი მოაქვს ავადმყოფებისთვის, მოხუცებისთვის და მათთვის, ვინც

აპირებს შეიღების ყოლას. თამბაქოსა და ლლუქზე გადასახადების ზრდა არაპროპორციულ გავლენას ახდენს ღარიბებზე, ხოლო კაპიტალის გადასახადის (capital taxes) ზრდა ანალოგიურად მოქმედებს მდიდრებზე. მარგუალარიზებულ (ნორმატიულ) და საკანონმდებლო საქმიანობასაც კი არაპროპორციულად მოაქვს სარგებელი ჯგუფებს შორის. სახელმწიფო/სამთავრობო ბიუჯეტის გადანაწილების შედეგები შეიძლება აისახოს სხვადასხვა გზით; ზოგჯერ ისინი ატარებს ამკარას სახაისა და ზოგჯერ ციტირებულია დებატებში, რომელიც მოყვება ბიუჯეტის წარდგენას. თუმცა, ჩვეულებრივ, ეს შედეგები დაფარულია, გაუთვალისწინებელი და არასრულყოფილად გასაგები. [3]

ეკონომიკური პოლიტიკის ობიექტის ამ სამუშაო პიოტიტური დესკრიფციიდან/ აღწერილობიდან უკვე შეიძლება გამომდინარეობდეს არსებითი ამოცანები, რომლებსაც უნდა ეხებოდეს ეკონომიკური პოლიტიკის თეორია:

ეკონომიკური პოლიტიკის თეორია ეხება ყველა იმ აქტივობის მთლიანობას, რომელიც მიმართულია ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედებისკენ (ზომების არ მიღება ასევე შეიძლება წარმოადგენდეს ეკონომიკურ პოლიტიკას, თუ უმოქმედობას შეგნებულად აქვს ადგილი). ეს მოითხოვს საშუალებების (ინსტრუმენტების) და მოტივების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ცოდნას.

ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია მისახული მიზნების მიღწევისკენ. ეკონომიკური პოლიტიკის თეორია უნდა გაითვალისწინოს ეს მიზნები და განმარტოს რა საშუალებებია მიზანშეწონილი ამ მიზნების მისაღწევად.

ეკონომიკური პოლიტიკამ შეიძლება გავლენა იქონიოს მთელ ეკონომიკაზე, სექტორზე (მაგ., სოფლის მეურნეობის პოლიტიკა, ენერგეტიკული პოლიტიკა, სატრანსპორტო პოლიტიკა) ან რეგიონზე (მაგ., ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა გფრ-ის ახალ ფედერალურ მიწებზე "Aufbau Ost". „აღმოსავლეთის მშენებლობა/ რეკონსტრუქცია“ ანუ "Aufbau Ost" არის საერთო/ რეგიონთა სახელწოდება აღმოსავლეთ გერმანიაში 1990 წლიდან მოყოლებული ეკონომიკური პოლიტიკის ყველა იმ ღონისძიებაზე, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ფედერალური მიწების ადაპტაციას/ შესაბამისობაში მოყვანას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დასავლეთი მხარის/ დასავლეთის ეკონომიკური ცხოვრების პირობებთან.) [4]

გლობალიზაციის პროცესის უაღრესად აჩქარებული ტემპებით მიმდინარეობისას, ახალი

მსოფლიო კონსტელაციის პირობებში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ეკონომიკური პოლიტიკის საერთაშორისო ასპექტები.

დასკვნა

ეკონომიკური პოლიტიკის ქმედება, როგორც პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა, შეიძლება აიხსნას და გაგებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხედველობაში მიიღება კომპლექსური მიზეზობრივი კავშირი ზოგადი პოლიტიკის სხვა სფეროებთან. ეკონომიკური პოლიტიკა მხოლოდ მაშინ არის ნარმატივული, თუ ის ეფუძნება ეკონომიკური პოლიტიკის თეორიის დასკვნებს.

თეორიულ ანალიზსა და პრაქტიკულ განხორციელებას შორის ურთიერთობა სულაც არ არის დაძაბულობისგან თავისუფალი. ეკონომიკური პოლიტიკის თეორიიდან მიღებული დასკვნები სულაც არ ინვესტის შესაბამის ზომებს მონეტარული, ფინანსური, ეკონომიკური/კონიუნქტურული ან ეკოლოგიური/გარემოსდაცვითი პოლიტიკის სფეროებში. ნაწილობრივ შეიძლება არსებობდეს მნიშვნელოვანი შეუსაბამობები (დერივაციები/გადახრები) ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების გადაჭრის სამეცნიერო რეკომენდაციებსა და რეალურად მიღებულ ზომებს შორის. ეს შესაძლოა შეპირობებული იყოს რიგი მიზეზებით. რადგან, როგორც ზოგადი პოლიტიკის ნაწილი, პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა ექვემდებარება მრავალფეროვან გავლენას და შეზღუდვას, რაც ხშირად არასაკმარისად არის გათვალისწინებული ეკონომიკური პოლიტიკის რეკომენდაციებში.



DIRECTIONS FOR IMPROVING TRAVEL INSURANCE IN GEORGIA

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: May 15, 2023
Published: June 2, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18022023-26



Nato Kakashvili,
Assistant Professor at TSU
Faculty of Economics and Business
ORCID ID: <https://orcid.org/0009-0005-1399-1784>
Email: nato.kakashvili@tsu.ge

ABSTRACT

The global COVID pandemic, in turn, has increased importance of travel insurance, which is reflected in the travel insurance products offered by insurance companies, travel has exposed both businesses and people to significant financial risk. Travel insurance provides protection against unexpected losses during travel, which covers expenses related to the risks of travel within the country or abroad, such as: cancellation of the trip; medical services; luggage lost or other unforeseen cases. Safety is an important factor, both within the country and when traveling abroad. We consider travel insurance to be the best way to reduce financial losses while traveling. Canceling trips due to the pandemic has become a common occurrence, and the need for medical assistance has become a real possibility. Thus, travel insurance is a good way to insure yourself against similar types of financial losses.

Keywords: Insurer; travel insurance, insurance limit, insurance coverage.

REFERENCES:

1. Kakashvili, N., & Barbakadze, K. (2022). Perspectives of the development of life insurance in Georgia/ Journal New Economist, International refereed and peer-reviewed quarterly scientific-practical magazine No.№ 3-4 (62-63) VI. 16 Published by "Loi". pp.33-41 [http://neweconomist.com.ge/media/documents/03-04-web-site: www.neweconomist.com.ge; www.loi.com. \(in Georgian\)](http://neweconomist.com.ge/media/documents/03-04-web-site: www.neweconomist.com.ge; www.loi.com. (in Georgian))
2. Nato Kakashvili, N. Kakhniashvili (2021). Innovative insurance products selling methods. Economics and Finance, 134-140. (in Georgian)
3. Kakashvili. (2016). Economic indicators and financial sustainability of travel insurance, scientific conference, Akhaltsikhe (in Georgian)
4. N. Kakashvili. (2021). Insurance, (e-version). Tbilisi: TSU. (in Georgian)
5. Shatirishvili J. Kakashvili N. "Insurance case" (manual), Tbilisi 2012 p. 436. Publishing House "Inovacia" E-mail: inovacia@caucasus.net
6. N. Kakashvili. Indicators of financial stability of the insurance company, Journal. Business and Legislation #1 January–March, 2015 E-mail: info@iverioni.com.ge; B_K.GE pp.39-43 (in Georgian)
7. State Insurance Supervision Service of Georgia <http://insurance.gov.ge>. (Last viewed April 4, 2023).
8. About the prevention and elimination of discrimi-



nation based on the user's age by the insurer and/or insurance intermediary in the type of travel insurance", State Insurance Supervision Service of Georgia, Tbilisi, 2021
9. Law of Georgia "On Insurance". (1997, 5 31). Retrieved from the parliament of Georgia. (in Georgian)

INTERNET RESOURCES:

10. <https://aldagi.ge/ka/samogzauro-dazgveva>. (2023, 04 04). [https://imedil.ge/Documents/TravelTerms/%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D_50%20000%20USD.pdf](https://aldagi.ge/ka/samogzauro-https://imedil.ge/Documents/TravelTerms/%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D_50%20000%20USD.pdf). (2023, 04 04).

(accessed 21.04.2023)

11. <https://myggi.ge/compare#travel-easy>. (2023, 04 04). (accessed 21.04.2023)
12. <https://tbcinsurance-website-files.s3.eu-west-1.amazonaws.com/wordings/TR-001-21.pdf>. (2023, 04 04). (accessed 21.04.2023)
13. <https://travel.ipsp.ge/faq>. (20223, 04 04). <https://travel.ipsp.ge/faq>. Retrieved from (accessed 21.04.2023)
11. <https://www.insurance.gov.ge/ka/Statistics/GetFile/625?type=3>. (2023, 04 04). (Last seen 21.04.2023)

სამომგზაურო დაზღვევის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში

ნატო კაკაშვილი,

თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ასისტენტ პროფესორი

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0005-1399-1784>

Email: nato.kakashvili@tsu.ge

აბსტრაქტი

მსოფლიოში გავრცელებულმა COVID პანდემიამ, თავის მხრივ, გამოიწვია სამოგზაურო დაზღვევის მნიშვნელობის ზრდა, რამაც ასახვა ჰპოვა სადაზღვევო კომპანიების მიერ შემოთავაზებულ სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტებში, მოგზაურობამ მნიშვნელოვანი ფინანსური რისკის წინაშე დააყენა როგორც ბიზნესი, ასევე ადამიანები. სამოგზაურო მგზავრობისას წარმოქმნილი მოულოდნელი ზარალისაგან დაცვას უზრუნველყოფს სამოგზაურო დაზღვევა, რომელიც ფარავს ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ მოგზაურობის რისკებთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორცაა: მოგზაურობის გაუქმებასთან; სამედიცინო მომსახურებასთან; დაკარგულ ბარგთან თუ სხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან დაკავშირებული ხარჯები. უსაფრთხოება მნიშვნელოვან ფაქტორია, როგორც, ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ მოგზაურობისას. მოგზაურობისას ფინანსურ დანაკარგების შემცირების საუკეთესო გზად მიგვაჩნია სამოგზაურო დაზღვევა. პანდემიიდან გამომდინარე მოგზაურობების გაუქმება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ხოლო სამედიცინო დახმარების საჭიროება რეალურ შესაძლებლობად. ამდენად, სამოგზაურო დაზღვევა მსგავსი ტიპის ფინანსური დანაკარგებისაგან თავის დაზღვევის კარგი საშუალებაა.

საკვანძო სიტყვები: მზღვეველი; სამოგზაურო დაზღვევა; სადაზღვევო ლიმიტი; სადაზღვევო დაფარვა.

შესავალი

სამოგზაურო დაზღვევა მოიცავს ჯანმრთელობის რისკებს, რომელიც ემუქრება ადამიანს ქვეყნის შიგნით ან გარეთ მოგზაურობისას სახმელეთო, -საჰაერო, საზღვაო ან სარკინიგზო ტრანსპორტის მეშვეობით. ხშირ შემთხვევაში მოგზაურობები ხანმოკლეა, თუმცა მიუხედავად მოგზაურობის ხანგრძლივობისა და დანიშნულების ადგილისა ადამიანები, მაინც ერთსა და იმავე მოულოდნელ საფრთხეს ექვემდებარებიან. საზღვარგარეთ

სამედიცინო მკურნალობის სიძვირის გამო უმჯობესია მოგზაურების ინფორმირებულება სამოგზაურო დაზღვევის აუცილებლობაზე. სამოგზაურო დაზღვევა უზრუნველყოფს დაცულობას ისეთ მომსახურებაზე, როგორცაა: სამედიცინო მკურნალობა (მათ შორის ჰოსპიტალიზაცია); გადაუდებელი მწვევე პირველადი სტომატოლოგიური დახმარება; მედიკამენტების ხარჯები; ბარგთან დაკავშირებული ხარჯები; ფრენის გადადება/გაუქმებასთან დაკავშირებულ ხარჯები და

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



ა.შ. სამოგზაურო დაზღვევის პოლისი მოიცავს სამედიცინო რისკებს, მოგზაურობის რისკებსა და ფრენის რისკებს.

ზემოაღნიშნული მოვლენების ფინანსურ დანაკარგების შემცირების საუკეთესო გზად მიგვაჩნია სამოგზაურო დაზღვევა. პანდემიიდან გამოდინარე მოგზაურობების გაუქმება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ხოლო სამედიცინო დახმარების საჭიროება რეალურ შესაძლებლობად. ამდენად, სამოგზაურო დაზღვევა მსგავსი ტიპის ფინანსური დანაკარგებისაგან თავის დაზღვევის კარგი საშუალებაა.

სამომგზაურო დაზღვევის წილი სავაჭრო ბაზარზე

საქართველოში 2022 წლის 30 აქტივების მდგომარეობით 18 სადაზღვევო კომპანია რეგისტრირებული, რომლებიც სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას ფლობენ. ამავე წლის მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ 9 თვის განმავლობაში, პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან 704.50 მილიონი ლარი შეადგინა, სადაც სამოგზაურო დაზღვევის წილი 1.18%-ია (8 284 184 ლარი). ამავე პერიოდის შედეგებით დაზღვევების სადაზღვევო მოგება 157.2 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო წმინდა მოგება 34.9 მილიონი ლარი. სადაზღვევო კომპანიების აქტივების ჯამური მოცულობა 1152.4 მილიონ ლარს შეადგენს, კაპიტალი კი 341.50 მილიონ ლარს. სამოგზაურო დაზღვევაში არსებულმა პრობლემებმა განაპირობა დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე სამოგზაურო დაზღვევის ურთიერთობებისთვის, რეკომენდაციის გამოცემა კერძოდ, 2021 წლის 1 აპრილს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა გამოაქვეყნა რეკომენდაცია „სამომგზაურო დაზღვევის სახეობაში მზღვეველის ან/და დაზღვევის შუამავლის მიერ მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ“, რომლის მიზანია სამომგზაურო დაზღვევის სახეობაში მზღვეველის ან/და დაზღვევის შუამავლის მიერ მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან არიდება, დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობის შემთხვევაში მისი აღმოფხვრა.

საქართველოს სადაზღვევო კომპანიების მომსახურება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია დაზღვევის თითქმის ყველა სახეობაში.

სს სადაზღვევო კომპანია ჯი ბი აი პოლიდინგი - მომხმარებელს სთავაზობს სამომგზაურო დაზღვევისა და წლიური მრავალჯერადი სამომგზაურო დაზღვევის პოლისს. პოლისი სამომგზაურო დაზღვევა ითვალისწინებს საზღვარგარეთ გაუთ-

ვალისწინებელი სამედიცინო ხარჯების დაფარვას, როგორცაა: საკვებით ინტოქსიკაცია, ტრამვა, აღნიშნული პოლისი თელი მსოფლიოს მასშტაბით ითვალისწინებს 50 000 EU/USD ფარგლებში ანაზღაურებას. პოლისის ღირებულება იწყება 0.5 ლ-დან დღეში. ხოლო წლიური მრავალჯერადი სამომგზაურო დაზღვევის პოლისი ითვალისწინებს სამომგზაურო დღეების რაოდენობის წინასწარ შეძენას და ერთ პოლისში დაფიქსირებას. (<https://mygp.ge/compare#travel-easy>)

შემოთავაზებული სადაზღვევო პაკეტიანი სამომგზაურო დაზღვევისას

სს თიბისი დაზღვევა-საქართველოში მყოფ უცხოელებს სთავაზობს შიდა სამომგზაურო დაზღვევას, რომელიც ასევე ფარავს Covid-19 თანდაკავშირებულ მომსახურებასაც. პოლისის ღირებულებაა 1.5 EU დღეში. დაზღვევა დაფარავს იმ პოტენციურ ხარჯებს, რომლებიც შესაძლოა გამოწვეული იყოს შემთხვევითი ტრამვის, ავადმყოფობის და სხვა სახის დაავადებებისგან საქართველოში ყოფნის პერიოდში. სს თიბისი დაზღვევა სამომგზაურო დაზღვევის კუთხით მოიცავს ხანმოკლე და წლიურ მრავალჯერად პოლისებს. წლიური მრავალჯერადი პოლისი ფარავს ყოველი მოგზაურობის პირველ 30 დღეს, ერთი წლის განმავლობაში. სამომგზაურო დაზღვევა ანაზღაურებს შემდეგ ხარჯებს: სასწრაფო სამედიცინო დახმარება; გადაუდებელი ამბულატორია; გადაუდებელი ჰოსპიტალიზაცია; გადაუდებელი სტომატოლოგია და ოფთალმოლოგია; სამედიცინო ევაკუაცია; რეპატრიაცია ან ადგილობრივი დაკრძალვა; თანმხლები პირის საქართველოში დაბრუნება. 70 წელს ზემოთ მყოფი პირების შემთხვევაში სს თიბისი დაზღვევა მხოლოდ დამხოლოდ უებდრი შემთხვევით გამოწვეულ გადაუდებელ სამედიცინო დახმარების ხარჯებს ანაზღაურებს. სამედიცინო დაფარვასთან ერთად შესაძლებელია დამატებითი დაფარვების შექმნაც როგორცაა: ბარგის დაზღვევა-ანაზღაურებს ბარგის დაგვიანებასთან ან მის დაკარგვა/დაზიანებასთან დაკავშირებულ ხარჯებს; საბუთის დაზღვევა-ანაზღაურდება დაკარგული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღდგენის ხარჯები; მოგზაურობის გაუქმების ან ვადაზე ადრე შეწყვეტის ხარჯები - ამ შემთხვევაში ანაზღაურდება მოგზაურობის გადადებით, გადავადებით ან გაუქმებით გამოწვეული ხარჯები, რომელთა მიზეზსაც წარმოადგენს უშუალოდ დაზღვეულის ან მასთან თანმხლები პირის ჰოსპიტალიზაცია, გარდაცვალება, ქონების დაზიანება, სასამართლოში გამოძახება ან ჯარში განწევვა. Covid-19 -ის დაზღვევა- ამ შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო



დახმარების, გადაუდებელი ამბულატორიული და პოსპიტალური მკურნალობისა და რეპატრაციის ხარჯები ანაზღაურდება. ლიმიტები მერყეობს 50 ევროდან 250 ევრომდე. (<https://tbcinsurance-website-files.s3.eu-west-1.amazonaws.com/wordings/TR-001-21.pdf>)

სს სადაზღვევო კომპანია იმედი L - სამოგზაურო დაზღვევის საერთო ლიმიტს წარმოადგენს 50 000 აშშ დოლარი/ევრო. მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში უზრუნველყოფს გადაუდებელ სტაციონარულ მომსახურებას - ლიმიტი 25 000 აშშ დოლარი/ევრო; გადაუდებელამბულატორიულ მომსახურებას - ჯამური ლიმიტი 2000 აშშ დოლარი/ევრო; გადაუდებელ სტომატოლოგიურ მომსახურებას - ჯამური ლიმიტი 1000 აშშ დოლარი/ევრო; ავადმყოფობის ან გვამის რეპატრაციასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება - მაქსიმალური ლიმიტი 20 000 აშშ დოლარი/ევრო; ბარგის დაკარგვის შემთხვევაში კომპანია ერთ კილოგრამ ტვირთზე 25 აშშ დოლარ/ევროს ანაზღაურებს, ბარგის მაქსიმალური წონა არის 20 კილოგრამი. სადაზღვევო პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის მიუხედავად ლიმიტი 500 აშშ დოლარ/ევროს შეადგენს. (https://imedil.ge/Documents/TravelTerms/%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D_50%20000%20USD.pdf)

სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი - გეთავაზობს ორ სადაზღვევო პოლისს განსხვავებული დაფარვებით: სტანდარტული და კომფორტი, რომელიც სამედიცინო ხარჯების დაფარვის გარდა, ბარგის დაკარგვის, ურენის შეფერხებისა და პერსონალური პასუხისმგებლობის დაზღვევასაც მოიცავს. სს სადაზღვევო კომპანია ალდაგის დაზღვევის დაფარვებია: სასწრაფო სამედიცინო დახმარების ხარჯები; გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის ხარჯები; გადაუდებელი სტომატოლოგიური მკურნალობის ხარჯები; გადაუდებელი ოფთალმოლოგიური მკურნალობის ხარჯები; დაზღვეულის რეპატრაციის ხარჯები; მოგზაურობის გაუქმება; მოგზაურობის ვადაზე ადრე შეწყვეტა; შენგენის ზონისა და უეირო რეჟიმის მქონე ქვეყნების ტერიტორიაზე შესვლაზე უარი- გულისხმობს მოგზაურობის იძულებით შეწყვეტას საზღვარზე შეშვების უარის გამო; ბარგის დაკარგვა; ავიაირების გადადება; პირადი პასუხისმგებლობა. სამოგზაურო დაზღვევის ღირებულებაა 1 დღე - 1 ლარი, ხოლო დამატებითი დაფარვების (მოგზაურობის გაუქმება, ბარგის დაკარგვა, ავიაირების გადადება, მოგზაურობის ვადაზე ადრე შეწყვეტა, შენგენის ზონაში შესვლაზე უარი, პირადი პასუხი-

მგებლობა) შემთხვევაში ფასი იწყება 10 ლარიდან, განიშორე ლიმიტს. (<https://aldagi.ge/ka/samogzauro-dazgveva>. (2023, 04 04). <https://aldagi.ge/ka/samogzauro->)

სს სსს დაზღვევა - სამოგზაურო დაზღვევის ერთჯერად და მრავალჯერად მოლისებს გეთავაზობს, დაზღვევა გამოიყენება მოსვლისას მასშტაბით. ითვალისწინებს ყველა გაუთვალისწინებელ სამედიცინო ხარჯს. სადაზღვევო ლიმიტები - 50 000 აშშ დოლარის ლიმიტის შემთხვევაში 1 დღის ღირებულება 0-65 წლამდე მგზავრებისათვის 1.10 ლარს შეადგენს, ხოლო 65 წლიდან ზევით მგზავრთათვის 2 ლარს. ლიმიტი 50 000 ევროს შემთხვევაში 1 დღის ღირებულება 1.30 ლარს შეადგენს 0-65 წლამდე (<https://travel.ipsp.ge/faq>).

დასკვნა

სამოგზაურო დაზღვევისას მთავარ პრობლემას წარმოადგენს არჩევანის შეზღუდულობა, რადგან ყველა სადაზღვევო კომპანიების მიერ შემოთავაზებული პროდუქტი ერთმანეთის მსგავსია, რაც ართულებს არჩევანის გაკეთებას, რომელმაც, თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს სამოგზაურო დაზღვევის არასასურველი პოლისის არჩევა. პანდემიის გავლენამ გამოიწვია სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტის მიმართ მოთხოვნის ზრდა. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა საქართველოში ტურისტთა ნაკადის ზრდა განაპირობა, რაც გამოიწვევს უცხოელების მიერ საქართველოში სამოგზაურო დაზღვევის შეძენაზე მოთხოვნის გაზრდას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტის უფრო მეტად განვითარება, რაც შემდგომში მომხმარებლებს გაუადვილებს მათთვის სასურველი პროდუქტების შეძენას.

სამოგზაურო დაზღვევისას მთავარ პრობლემას წარმოადგენს არჩევანის შეზღუდულობა, რადგან ყველა სადაზღვევო კომპანიების მიერ შემოთავაზებული პროდუქტი ერთმანეთის მსგავსია, რაც ართულებს არჩევანის გაკეთებას, რომელმაც, თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს სამოგზაურო დაზღვევის არასასურველი პოლისის არჩევა. პანდემიის გავლენამ გამოიწვია სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტის მიმართ მოთხოვნის ზრდა. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა საქართველოში ტურისტთა ნაკადის ზრდა განაპირობა, რაც გამოიწვევს უცხოელების მიერ საქართველოში სამოგზაურო დაზღვევის შეძენაზე მოთხოვნის გაზრდას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტის უფრო მეტად განვითარება, რაც შემდგომში მომხმარებლებს გაუადვილებს მათთვის სასურველი პროდუქტების შეძენას.

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



CULTURAL HERITAGE - OUR TREASURE AND PRIDE

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: May 22, 2023
Published: June 12, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18022023-30

**Lali Okrotsvaridze**

Associate Professor

of Caucasus International University

Doctor of Social Sciences

ORCID. ID: 0009-0007-9719-417X

E-mail: lali.okrotsvaridze@ciu.edu.ge

**Jemal Sologhashvili**

Professor of Caucasus International

University, Doctor of Physics

and Mathematics Sciences

ORCID-ID: <https://orcid.org/0009-0006-3853-3576>

E-mail: jemal.sologhashvili@ciu.edu.ge

ABSTRACT

A man is a thinker and a creator: he/she creates ... builds ... destroys ... destructs ... creates again ... rebuilds and this is how the humanity is developing. Yes, life is subject to dialectical development. Sometimes it is necessary to destroy the old in order to build the new one, however this is not always the case. There are such antiques that need to be cared for, caressed and passed from hand to hand to the next generation. As such antiques are primarily the determining factors of the historical existence, the strength, and the immortality of the nation.

There are a lot of unique places on our planet. Their number is inexhaustible and their beauty is completely inestimable, however, the importance of such places is not solely determined by the beauty, they also possess a historical past and are valuable for the country, region and, finally, for the local population. It is the number of such places that strengthens the country, nurtures the largest and vast industry of tourism.

We often talk about the excellence of Georgia, the abundance and uniqueness of cultural monuments of Georgia, however, perhaps we have not analyzed in detail the reason of reason for this, how the country derives from such a distant past without kneeling, while the history tells us about its many-faceted treacherous past. And despite all this, Georgia and the Georgian people have something to be proud of... and this is its rich historical and cultural past.

And the main thing, along with the development of humanity, the historical-cultural heritage is becoming more and more important and noteworthy, at least solely due to the fact that it is considered a non-renewable and valuable resource.

Key words: *Tangible and intangible cultural heritage, self-determination, self-assertion, unique engineering creation.*



REFERENCES:

1. "Antiquities of Georgia". Volume III, Supplement. Publication of the Historical and Ethnographic Society of Georgia, Tbilisi, 1926. p. 27. (in Georgian);

2. "Material culture of the era of Shota Rustaveli", Prof. i. Edited by Java-khi-shvili, publishing house "Technology and Labor", Tbilisi 1938. p. 195, p. 208, p. 211, (in Georgian);

3. Cultural Heritage Defender's Guide, "Blue Shield" National Committee of Georgia 2017. p. 7, p. 14, (in Georgian);

4. J. Sologhashvili, L. Okrotsvaridze. Prospects of tourism development in Mtskheta municipality. ed. "Loy", "New Economist", #2-3, Vol. 2018. p. 23-27, (in Georgian);

5. A. Okrotsvaridze, L. Okrotsvaridze, J. Sologhashvili. Perspectives Development of Agriourism on the Example of Skaltba (Mtskheta Municipality). Proceedings of the International Scientific Conference. "Modern Maritime Technologies, Problems of Social-Economic Development and Ways for Solving Them", Georgia, Batumi 2019. P.293-299, (in Georgian);

ერის კულტურული მემკვიდრეობა - ჩვენი საბუნძური და სიამაყე

ლალი ოქროცვარიძე

ჯემალ სოლოღაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ORCID-ID: <https://orcid.org/0009-0007-9719-417X>
ელ.ფოსტა: lali.okrotsvaridze@ciu.edu.ge

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტე-
ტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის
მეცნიერებათა დოქტორი
ORCID-ID: <https://orcid.org/0009-0006-3853-3576>
ელ.ფოსტა: jemal.sologhashvili@ciu.edu.ge

“შოლოდ ნარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს თავისი ეროვნება, თავისი
არსებობა, თავისი ვინაობა.” (ილია ჭავჭავაძე)

აბსტრაქტი

ადამიანი ხომ მოაზროვნე და შემოქმედი არსებაა: იგი ქმნის, აშენებს, ანგრევს, ანადგურებს... კვლავ ქმნის, ხელახლა აშენებს და ასე ვითარდება კაცობრიობა. დიას, ცხოვრება ექვემდებარება დიალექტიკურ განვითარებას, საჭიროა ძველის შეცვლა ახლით ან ხანდახან სულაც განადგურება, ახალი რომ აშენდეს, თუმცა, ეს ყოველთვის ასე არაა. არის ისეთი სიძველენი, რომელთაც მოფრთხილება, მოფერება და მომავალი თაობისთვის ხელიდან ხელში გადაცემა სჭირდებათ, რადგან სწორედ ასეთი სიძველენი არის უპირატესად ერის ისტორიული არსებობის სიმბოლოები, ერის ფესვების სიძლიერის და ერის უკვდავების განმსაზღვრელი ფაქტორები.

ჩვენი პლანეტა უამრავი უნიკალური ადგილების მფლობელია. მათი რაოდენობა ამოუწურავია და სილა-მაზე სრულად შეუფასებელი, თუმცა ამ ადგილების მნიშვნელობას მარტო სილაზე არ განსაზღვრავს, მთი ისტორიული ნარსულიც გააჩნიათ და ქვეყნისთვის, რეგიონისთვის და, ბოლოს და ბოლოს, ადგილობრივი მოსახლეობისათვის ფასეულობას წარმოადგენს. სწორედ ასეთი ადგილების სიმრავლე აძლიერებს ქვეყანას, ქმნის მის განუმეორებლობას, შედეგად, ასაზრდოებს ტურიზმის უდიდეს და უკიდევანო ინდუსტრიას. ხშირად საუბრობენ საქართველოს განსაკუთრებულობაზე, საქართველოს კულტურული ძეგლების სიმრავლეზე და უნიკალურობაზე, მაგრამ ალბათ, სიღრმისეულად ბოლომდე არცაა გაანალიზებული, რა არის ამის მიზეზი, როგორ მოდის ქვეყანა ასეთი შორი ნარსულიდან მუხლმოუდრეკელი მამინ, როდესაც ისტორია აღრიცხავს მის მრავალმხრივ მუხანათ ნარსულს. და მოუხედავად ამ ყველაფრისა, საქართველოს და ქართველ ხალხს აქვს საამაყო... და ეს მისი მდიდარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობაა.

და კიდევ, მთავარი ის არის, რომ საზოგადოების ცივილიზაციასთან ერთად სულ უფრო დიდი მნიშვნელობა და ყურადღება ენიჭება ერების ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას, რადგან ის განიხილება არაგანახლებად და ღირებულ რესურსად.

საკანძო სიტყვები: მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, თვითგამორ-კვევა, თვითდამკვიდრება, უნიკალური საინჟინრო ქმნილება.



შხსაპალი

„ენა, მამული, სარწმუნოება“ - ეს ქართველი ერის უკედავების ფორმულაა. ყველასთვის ნათელია, რომ დიდ ძალისხმევას მოითხოვს თითოეული კომპონენტის ნვლილის შეფასება. თუმცა, მამული, დიახ, მამული არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი ამ ფორმულაში. და რაა მამული? - ერის სამფლობელო, ბუნების მიერ მოქმედი სიმდიდრე: მთები, მინდორ-ველები, ბოვიმები, ზღვები, ტბები, მდინარეები, ჩანჩქერები, ხე-მცენარეები, ცხოველები... და თვით ადამიანის კულტურული მოღვაწეობის შედეგად მისივე ხელით შექმნილი უნიკალური ძეგლები, რომლებშიც ჩაქოვილია ეროვნული თვითმყოფადობა - სულიერება და ნიჭი. სწორედ მათი მეშვეობითაა წარმოდგენილი ეროვნული გემოვნება. აი, ესაა მამული, ცხოვრებისეული პრიზმის ჩვენული ერთი ნახნაგიდან დანახული.

საქართველოში თვალისმომჩრელი და მიმზიდველი ადგილები უხვად გვაქვს. ჟამთა სელა ხელყოფს ყველაფერს. ბოლო პერიოდში ბევრი კულტურული ძეგლია აღდგენილი, ბევრი ძეგლის აღდგენაც მიმდინარეობს, თუმცა, დღესაც, 21-ე საუკუნის ოციან წლებში კვლავ შეხვდები ყურადღებამოკლებულ, ფაქობრივად მიტოვებულ, განადგურების პირას მისულ, დიდი ისტორიის მქონე კულტურულ ძეგლს, რომელიც ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა დიდი რუდუნებით ააგეს და სიყვარულით შემოგვინახეს, ძეგლს, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ჩვენს წინაპრებს დიდი სამსახური გაუწია და ანალოგიურ სამსახურს კვლავაც შეძლებს სათანადო ყურადღების მიქცევის შემთხვევაში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქვეყნის უფრო მეტი ძალისხმევა პოლიტიკური პროცესების დარეგულირებას ხმარდება, ვიდრე სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილ ზოგიერთი კულტურული ძეგლის გადარჩენის საკითხს.

წარმოდგენილ ნაშრომში, ამასთან დაკავშირებით არსებული მავალითებიდან, დღის ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ერთ პატარა, თუმცა, ძალზე მნიშვნელოვან და საუკეთესო პერსპექტივის მქონე კუთხე-ადგილზე სხალტბის ჰიდროტექნიკური ნაგებობის სახით, რომელიც წარმოადგენს ჩვენი კვლევის ობიექტს და რომლის ისტორიაც საქართველოს შორი წარსულიდან მოდის. კვლევის ობიექტი მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, ისტორიული სოფლის სხალტბის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ზღვის დონიდან - 950 მეტრზე. ეს ადგილი და მისი შემოგარენი მრავალმხრივ სანტიერესოა ქვეყნისათვის.

სხალტბის ჰიდროტექნიკური ნაგებობა ერთქმის რვა საუკუნე ემსახურებოდა ქვეყანას და რომლის შესახებაც მხოლოდ ერთთულებისთვისაა ცნობილი. ფართო საზოგადოებისათვის მის თაობაზე ინფორმაცია ძალზე მწირია, სამცხენიერო წყაროები თუ ცნობენ მას. კარგი იქნებოდა, რომ პრესას, ტელევიზიას, ინტერნეტ-სივრცეს ჯეროვანი დრო დაეთმო ასეთი ისტორიის მქონე ობიექტების შესწავლისა და გაშუქებისათვის. თავისი ღირებულებებით ეს ძეგლი ნებისმიერი ევროპული ქვეყნის საოცრებების სიაში მოხვდებოდა...

ამ ნაშრომის ავტორთა ოფიციალური მრავალჯერადი მცდელობა, რომ სათანადო ინსტანციებს ყურადღება მიეპყროთ სხალტბის ქედზე მდებარე ისტორიული ნყალსადენის უნიკალური საინჟინრო ქმნილებისათვის, ჯერ-ჯერობით უშედეგო აღმოჩნდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ წინაპართა ერთუხიანობით ნაკეთი ეროვნული საქმე ამაჯერადაც მოკლებულია ჯეროვან შეფასებასა და ადასებას. [ჯ. სოლოლაშვილი, ლ. ოქროცვარიძე, 2018]

საკვლევი ობიექტი სანტიერესოა თავისი მრავალმხრივობით, რომელთაგან ამაჯერად აღვნიშნავთ შევარჩებთ თამარ მეფის დროს (1202 წ.) სხალტბიდან შიომღვიმის მონასტრისთვის გაყვანილ ნყალსადენზე, რაც იმ დროისათვის რთულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას წარმოადგენდა; აგრეთვე, სოფლის დასავლეთით 1,5 კილომეტრში მდგარ ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლზე - ქართული აგურით ნაგებ ერთნავიან ეკლესიაზე, რომლის სამხრეთის კარის თავზე მოთავსებული წარწერა იუნყება, რომ ეკლესია 1669 წელს აუშენებიათ ივანე ზედგენიძის ძეს სახლთუხუცესს შიოსა და მის მეუღლეს თამარს.

სწორედ ასეთი ქმნილებების არსებობა მიუთითებს ერის სულიერებაზე, კულტურაზე, მნიშვნობობასა და განათლებულობაზე. სწორედ ამ ძეგლების გადარჩენაზეა საუბარი, რომ ქართველ ერს ასე სჭირდება ისტორიულ-კულტურული ღირებულებების მქონე მდიდარი საგანძურთ თვითგამორკვევის და თვითდამკვიდრების ამ საფეხურზე. თუ დასმულ საკითხს სხვადასხვა რაკურსით შევფასებთ, მივხვდებით, რამდენად მნიშვნელოვანია თანამედროვეთათვის ამ ძეგლის აღორძინება და კვლავ გამოცოცხლება.

ქვეყნის ისტორიის ნიაღვრეები სიამაყით ავსებს ქართველ ადამიანს ქართველი ერის არსებობის ყველა ეტაპზე, რადგან ქვეყნის მმართველნი თუ ხელისუფალი მის ლამაზ ქვეყანას ყოველთვის

THE NEW ECONOMIST / სხალი მეცნიერება

მონივნებით და სიყვარულით ეყვრობოდნენ, ისინი ზრუნავდნენ ქვეყნის განვითარებასა და აღმშენებლობაზე, იცავდნენ ეროვნულ სიმდიდრეს, აღადგენდნენ მტრის შემოტყევისგან დაზიანებულ, ჩამონგრეულ ციხეებს და ეკლესიებს, სასახლეებს და ტაძრებს. ქრონოლოგიურად თუ გადავხედავთ ჩვენს კულტურულ ძეგლებს, ვნახავთ, რამდენჯერ არის იავარქმნილი და შემდგომ აღდგენილ-განახლებული თითოეული მათგანი. ტაძრები ხომ მათი ფიზიკური და სულიერი სიმტკიცისა და სიმდიდრის სიმბოლო იყო. დღეს კი ამ ორ კომპონენტს სხვა მრავალი დაემატა... ჩვენი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა გამოძახილია იმ წარსულიდან, რომელიც აწმყოს გვიძყარებს და მომავლისკენ გზას გვიკვალავს. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

„საქართველომ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში შემოინახა კვალი... სოფლის მეურნეობით თუ დაეინტერესდებით, აღმოვაჩენთ ამ დარგის ჩასახვის ადრეული ეტაპის დამადასტურებელ არქეოლოგიურ მასალას; მეტალურგიის საწყისებს თუ ჩავეძიებთ, სამთამაღლო საქმის საიდუმლოს ფლობის მანიშნებელ უნიკალურ ძეგლებს მივაღებთ; მედიცინას თუ შეეხებით, გვერდს ვერ აუუკლით მედეას და ოქროს სანძისის მითს, ასევე, ხევსურეთში ბოლო დრომდე შემონახულ ტრეპანაციის ურთულესი ხელოვნების ფლობის დამადასტურებელ ხელით ნაჩვენებ სამედიცინო იარაღებს. შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების საამაყო ძეგლებს თუ ვეხვევით, გავგაოცდებთ შემოქმედებითი აღმაფრენა და სამშენებლო საქმის ზედმიწევნით ცოდნა“ (კულტურული მემკვიდრეობის დამცველის გზამკვლევი, „ლურჯი ფარის“ საქართველოს ეროვნული კომიტეტი, 2017).

მკვლევარი, აგროეთე, ადვოკატი აღმოაჩენს საქართველოში საინჟინრო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო თუ სხვა დარგის ფლობის მანიშნებელ უტყუარ ფიზიკურ, ზეპირსიტყვიერ, მუსიკალურ თუ წერილობით კვალს.

ბოლოს და ბოლოს, კულტურული მემკვიდრეობა ერის იდენტობას განაპირობებს, ეს ის გენეტიკური წყაროა, რომელიც მომავალ თაობას აუცილებლად უნდა გადაეცეს, რადგან აწმყოს თუ წარსული არ აქვს, მას მომავალი უსუსური ექნება.

წარსული კი ერისთვის მკვიდრ ფუნდამენტად უნდა იქცეს, რათა მასზე ძლიერი მომავალი აიგოს. ეს შესავალი შემოგთავაზებთ ისეთი ძალიან

მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისთვის, რომელსაც რვა საუკუნოვანი წარსული აქვს. მოქმედ მდგომარეობაში ის ჯერ კიდევ ასოს ჩვენს მხცოვან თაობას და მასზე ლტენდებს ყველიან. თუმცა, თუ დავეყრდნობით ფაქტებს, ეს რეალობაა და არა ილუზიები წარსულზე.

ჩვენი სამშობლო საქართველო ძველადვე უხვად ყოფილა დაქსელილი ღარიანი წყალსადენებით და არხებით. მაგალითისთვის საქმარისია, დავასახელოთ სამი დიდი ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რომელთა შექმნა უკავშირდება თამარ მეფის ეპოქას: თამარ მეფის ნებაყოფილობით ანტონ მნიგნობართუხუცესის (ჭყონდიდელის) მიერ 1198-1202 წლებში გაყვანილი სხალტბა-შომღვიმის წყალსადენი; ალაზნის სარწყავი არხი და სამგორის ველის სარწყავი არხი.

პროფ. ივანე ჯავახიშვილის დავალებით ჩატარდა მათი ადგილობრივი გამოკვლევა, რომლის მთავარი მიზანი იყო იმდროინდელი ტექნიკის დონის დადგენა. კვლევამ აჩვენა, რომ ტექნიკა ეპოქის შესაბამისად საკმაოდ მაღალ დონეზე ყოფილა განვითარებული.

სხალტბა-შომღვიმის მონასტრის წყალსადენი საკმაოდ რთულ გეოლოგიურ და ტოპოგრაფიულ პირობებშია შესრულებული, რაც დღევანდელ სპეციალისტებსაც კი დააფიქრებდათ. იმ დროისთვის ეს არის საკმაოდ რთული ნაგებობა, რადგან მაშინ მასალად თიხა გამოიყენებოდა. რთულია წყალშეაკრებლის ნაწილი, გვირგვინი სისტემა, რომელიც მშენებლებისგან საკმაოდ სოფრთხილად და გამოცდილებას მოითხოვდა.


შომღვიმის მონასტრის წყალსადენის შესახებ ინფორმაციას გვაძლევს თამარ მეფის სიგელი, რომლის დასასრულს ანტონ ჭყონდიდელის განჩინებაა წარმოდგენილი: - „მე მიწამან და მლოცველმან მეფობისა მათისამან ანტონ ჭყონდიდელმან ვიხილუ ხასლი ღმთისა უდაბნო მღუმისა და მას შინა მყოფნი ნმიდანი მამანი ჭირსა და ინროებასა შინა ურწყულობისასა და შემწეობითა ნმიდისა მამისა შიოსითა ვსძებნე დავპოვე წყალი ადგილსა სხალტბისასა და ხელეყავ მოქმედებად და შენენითა მისითა მოვიყვანე წყაროი კარსა ნმიდისა ეკლესიისასა ჟამთა წელნიანისა სამისათა დიდითა შრომითა და გულისმოდგინებითა და მოსველისა თვისა თანა ვპძებნე სხუაი წყალი, რომელი ვკვიდრთა მის ადგილისათა არა მოაკლდა, ეგ ზომ მოვიდა და უმეტესიცა წყალი;“... [თ. ჟორდანი. ისტორიული საბუთები შომღვიმის მონასტრისა. ტფილისი, 1896 წ.]



სურ.1. სოფლის ტრასი

აქ საგულისხმოა ისიც, რომ წყალსადენის გაყვანის შემდეგ სოფელს წყალი დაკლებია, რის გამოც სხვა წყალი უძებნიათ დებეტის გასადიდებლად, ამიტამაც არის ეს კონსტრუქცია მიწისქვეშა წყალშესაკრებელი გვირაბებისა.

ამ რთულ კონსტრუქციაზე საკმაოდ ბევრის თქმავა შესაძლებელი, მისი ღირებულებაც და




სურ. 2. მცირე გვირაბი

მნიშვნელობაც განუსაზღვრელია ქვეყნისთვის. მან გაუძლო ჟამთა ცვლას, საუკუნეები გამოიარა, თუმცა მრავალ ადგილზე მოშვევდა და ჩამოიშალა მიწა. ამჟამად წყლის ნაკადი შეწყვეტილია მოსახლეობის უდიერი ქმედების გამო.

ისტორიული წყაროები მოგვითხრობს, რომ წყალსადენის წყარო, რომელიც გამოდიოდა „გო-



სურ.3 გადახურვის კონსტრუქცია



სურ.4 თიხის მიღები

რაკის ძირში ნეკერჩხლის ქვეშ, როგორც სასმელი წყალი - სიცივითა და გემოთი - ფრიად მაღალი ღირებულებისა, რომლის მსგავსი აღმოსავლეთ საქართველოში იშვიათად გვხვდება. სოფელი სხალტა ერთი კილომეტრის მანძილზე ყოფილა გაშენებული დღევანდელ წყაროდან და წყალსადენს თავისი შტო ჰქონია. ამ უკანასკნელის გაუქმების შემდეგ, ეტყობა, მოსახლეობა წყაროს მოახლოვება და თავის არსებობის ძველ ადგილზე მხოლოდ ნანგრევები დაუტოვებია.“ [ალ. ლოსაბერიძე, „ძველი წყალსადენისა და არხების ნაშთები“]

შოი-მღვიმის მონასტრის ტერიტორიას ვახუშტი ბატონიშვილიც მოიხსენიებს თავის გეოგრაფიაში: „ხოლო იტყვიან, ძველად იდგა ხუთი ათასი მონაზონი ამათ ადგილთა შინა.“ [ალ. ლოსაბერიძე, „ძველი წყალსადენისა და არხების ნაშთები“]

ამიტომაც საჭირო იყო წყლის ის რაოდენობა, რაც მიიღეს წყალსადენის მშენებლობის შემდეგ. წყლის დებეტი მართლაც იმდენი ყოფილა, რომ მას არა მარტო კომუნალური, არამედ სხვა მიზნებისთვისაც იყენებდნენ - ნისქილისთვის ან მონასტრის გარკვეული ნათესი ფართობის მოსარწყავად. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მონასტრის მილსადენის გამტარუნარიანობა შეადგენდა 2,82 ლიტრს წამში.

როგორც თამარ მეფის სიგელიდან ჩანს, წყალსადენის მშენებლობის შემდეგ, ანტონ ჭყონდიდელს ორი გლეხი წყალსადენის მეთვალყურედ დაუ-


ნიშნავს, თან ყველანაირი გადასახადისაგან გავითავისუფლება იმ პირობით, რომ მათი შვილები, როგორც „შიდრტექნიკოსები“, მომავალში მამათა საქმეს გააგრძელებდნენ.

დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, სოფელში მილსადენის განგრძობე ნაპოვნია 30-დან 80 მეტრამდე დაშორებული თიხის რამდენიმე თანრიგი, მეთვალყურეობის გასაადვილებლად და დაზიანებული უბნის მოსაძებნად.

თვით მონასტრის წყალსადენში კი მხოლოდ ერთი თანრიგია აღმოჩენილი ვერეთნადებული „სათვალყურო ჭა“ და ისიც სათავიდან 650 მეტრის მანძილზე.

ჩვენი მეცნიერები ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში თვლიდნენ, რომ ამ ადგილზე საუკეთესო დასასვენებელი და თუნდაც, სამკურნალო კურორტი გაშენდებოდა, რადგან ის თავისი ღირებულებებით არ ჩამოუვარდება ისეთ კურორტს, როგორიცაა ბაკურიანი. „მაღალი ხარისხის ცივი წყალი, მთის საღი ჰაერი, მოხერხებული ადგილმდებარეობა, კურორტის დასაგეგმავად მდიდარი მცენარეულობა, ირგვლივ თვალწარმტაცი მიდამოები, არაგვის, ქსნის და მტკვრის ხეობები, იქვე, ახლოს მუხრანის ველი, სადაც ბალ-ბოსტნების გაშენება შეიძლება და, რაც მთავარია, თბილისთან სიახლოვე 35 კილომეტრით, ხოლო სამხედრო გზიდან სულ 5-6 კილომეტრით დაშორება ისეთ პირობებს ჰქმნიან, რომ თბილისის ირგვლივ 50 კი-

სხალტა შიორაქვის 1202, ბაყვაშიჩი წყალსადენი.



სურ.5 წყალსადენის გენერალური გეგმა

THE NEW ECONOMIST / სახალი მაკონომისტი



ლომეტრის ფარგლებში, მსგავსი ადგილი ძნელად თუ მოიპოვება.”

[ალ. ლოსაბერიძე, „ძველი წყალსადენისა და არხების ნაშთები“].

ამ იდეას ყაველი არ გასვლია და 21-ე საუკუნის დასაწყისშიც შეინარჩუნა აქტუალურობა. ჩვენი მცდელობა, გეოფიზიკური მეთოდებით შეგვესწავლა XI-XII საუკუნეების მიჯნაზე თამარის მეფობის დროს აგებული წყალგაყვანილობის სისტემის ახლანდელი მდგომარეობა, თუნდაც, რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, ვერ-ჯერობით ნარუმატებელი აღმოჩნდა. მიზნის მისაღწევად საჭიროა კომპლექსური გეოფიზიკური საქმედროსი საძიებო სამუშაოების ჩატარება, რაც, სავარაუდოდ, აუცილებლად მიგვიყვანს გაუჩინარებული წყაროს სათავეებთან და მხოლოდ შემდეგ იქნება შესაძლებელი წყალგაყვანილობის რეაბილიტაციის საკითხის წინა პლანზე წამოწევა. [ა. ოქროცვარიძე, ლ. ოქროცვარიძე, ვ. სოლოლაშვილი, 2019].

ასეთი იყო ამ ადგილის იმდროინდელი შეფასება, თუმცა მას აქტუალობა არც დღეს დაუკარგავს. მის შემოგარენში მრავალი კოტეჯი და სასტუმრო აშენდა.

დასკვნა

არ ექნება გამართლება იმას, რომ ეს ტერიტორია მხოლოდ უბრალო „სანადიმო“ ადგილად გადაიქცეს და დაეიწყებას მიეცეს ერთ-ერთი უიშვიათესი და ღირებული ისტორიული ძეგლი. ამ ნაშრომის მიზანია, ყურადღება გამახვილდეს იმ დიდ პერსპექტივაზე, რომელიც მეცნიერული

ხედვით ადრეუც და ახლაც იმსახურებს აღდგენასა და განვითარებას და არ დარჩეს „ხმა მლალადემლისა უდაბნოსა შინა“, ვჯეროვნად დაინტერესდნენ კომპეტენტური სამსახურები და სათანადო შეფასება მისცენ სოფელ სხალტბის ამ უნიკალურ, ისტორიულ არქიტექტურულ ნაგებობას. მისი აღდგენა კიდევ უფრო საინტერესოს გახდის მცხეთის მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით.

და კიდევ, „განადგურებული საგანძურის განმეორება ან აღდგენა შეუძლებელია, ამიტომ კულტურული ფასეულობის განადგურება შეუვსებელი დანაკარგია კაცობრიობისათვის“. [კულტურული მემკვიდრეობის დამცველის გზამკვლევი, „ლურჯი ფარის“ საქართველოს ეროვნული კომიტეტი 2017]

მაგალითები უხვად გვაქვს ქართული კულტურული მემკვიდრეობის რესურსებზე და დიდი მტკიცებაც არაა საჭირო, თუ რამდენად თვალსაჩინოა მათი მნიშვნელობა და როლი როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო სარბიელზე, თუნდაც, ტურისტული თვალსაზრისით. და იმისათვის, რომ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა მუდმივად იყოს ჩვენი ქვეყნის სამსახურში, კიდევაც უნდა მოვიძიოთ, დავიცვათ, აღვადგინოთ და რუდუნებით გადავცეთ მომავალ თაობას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთი დაცული ასეთი ძეგლის უკან დგას ვალმოხდელი მემკვიდრე ღირსეული წინაპრისა, უამრავი დასაქმებული და მაღლიერი ადამიანი, გაუმჯობესებული ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და ცხოვრების უკეთესი პირობები და რაც მთავარია, ამაყი მომავალი თაობა.

ASSOCIATION AGREEMENT WITH THE EUROPEAN UNION AND ITS IMPORTANCE FOR GEORGIA

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: June 2, 2023
Published: June 18, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18022023-37



Maia Manchkhachvili

Assis. Prof. PhD in political science
Georgian Technical University
ORCID-ID: <https://orcid.org/0000-0002-4321-977X>
E.Mail: Maia.manchkhachvili@yahoo.com

ABSTRACT

From the 90s of the last century, the Republic of Georgia began to exist again as an independent political entity on the world political map. The foreign and domestic policy of the young country faced many challenges and it was necessary to regulate them. On the one hand, the country declared the Western vector, but on the other hand, how it should be able to realize it and whether it would be able to walk firmly on this path or not, was difficult to determine. At the time, the fact that it was unacceptable for the Russian Federation to pursue an independent foreign policy by the former Soviet states was not perceived as an obstacle from the point of view of Georgia in terms of relations with Europe. But, over the years, it appeared that this was not only nostalgia for Russia, and the leaders of the Federation, both by direct military aggression and by using all the methods of fibrid warfare, deliberately worked to prevent Georgia from maintaining its independence and achieving high standards of development. Despite the problems, Georgia, with the great support of its Western partners, managed to bring its relations with Europe to the stage of the Association Agreement. This agreement marks the beginning of a new stage between Georgia and the European Union, and it involves a series of reforms in all spheres of political, economic and social life.

Key words: European Union, Georgia, Association Agreement, Association Terms.

REFERENCES:

- 1."Life of Kartli", edited by Simon Kaukhchishvili, volume 1, 1955;
2. The first Georgian parliamentarian women, last view: 27.02.2020, source: <https://on.ge/story/19587-%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1>

3. United Nations in Georgia, last view: 27.02.2020, source: http://www.ungeorgia.ge/geo/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83

THE NEW ECONOMIST / სავაჭრო ეკონომიკა



%A8%E1%83%9B/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D#XleMJSFKJlU

4. Georgia and the European Union, last view: 27.02.2020, source: <http://old.infocenter.gov.ge/einfo-georgia-history/#1>

5. Association Agreement between Georgia and the European Union, last view: 06.03.2020, source: <http://www.parliament.ge/ge/gavigot-meti-evrokavshirtan-asociresbis-shetaxmebis-sheaxeab/associationagreement1>

6. Association Agreement, <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA>

7. Association Agreement and Consolidation of Democracy in Georgia: Progress and Challenges, http://giss.org.ge/img/catalog_22.pdf;

8. Agreement on Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA) with the European Union, last view: 06.03.2020, source: <http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7>

9. M. Manchkhavili, The issue of Turkey joining the European Union and its importance for Georgia, Bulletin of Oriental Studies, BSU, N2, p., 9-30, 2022, https://scholar.google.com/citations?user=7MCQSalAAAAJ&hl=en&gmla=AjsN-F6Lmz06veTfNlnMrsd-MZLQir1W8K0331cinMSid02s47LZ4V_ngeYZwcsHvboM5qMav6u1XhrMRDuX0FEYGmx08XN1Iw1wBuC-7Q17g9umK1aFFyOL3oIW1cVlsXj-e0QpNglj74Z

10. M. Manchkhavili, "The Platform of Six"-A New Model of Cooperation for the South Caucasus, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of social and political science, conference book, pp., 7-12, 2021, <https://scholar.google.com/scholar?cluster=18249637199603228565&hl=en&oi=scholar>

11. The Doctrine of Turkey's Foreign Policy, Works, Department of Oriental Studies, Batumi Shota Rustaveli University, pp. 75-83, 2020, Batumi, Georgia, <https://www.ceeol.com/search/article-detail?id=1013726>.

12. Karchava, L., 2014. Again about the investment environment in Georgia Or what kind of investor do we need? The New Economist, 9(3), pp.1-1.

13. Lomia, E. and Lomia, T., 2021. EU Policy in the South Caucasus Region and Georgia's Participation in the European "Neighborhood Policy" and the "Eastern Partnership" programs. The New Economist, 16(1),

pp.1-1.

14. Manchkhavili, M., 2018. Russia and the South Caucasus. International Scientific Journal "Messenger of Oriental Studies", 1(1), pp.73-90.

15. Lomia, T. and Lomia, E., 2020. Economic and Political Support of the European Union to Georgia: Retrospective Analysis of the EU-Georgia Relations. International Journal Vallis Aurea, 6(1), pp.35-43

16. Lomia, E. and Karchava, L., 2021. Georgian ethnopolitical conflict as a subject of confrontation between the USA and Russia. Journal of Liberty and International Affairs, 7(2), p.90.

17. M. Manchkhavili, "The Platform of Six"-A New Model of Cooperation for the South Caucasus, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of social and political science, conference book, pp., 7-12, 2021. Available at : <https://scholar.google.com/scholar?cluster=18249637199603228565&hl=en&oi=scholar>

18. Maya, M., 2010. Turkey and security in the Southern Caucasus: the Caucasus Stability and cooperation Platform. Central Asia and the Caucasus, 11(4), pp. 87-93.

19. <https://european-union.europa.eu/principles-countries-history/history-eu-en>

20. https://european-union.europa.eu/priorities-and-actions/eu-priorities_en http://saunje.org/index.php?id=1495&option=com_content&lang=ru

21. <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/40-vephkhistqhaosani.pdf> <https://digitallibrary.tsu.ge/book/2019/wignebi/sakartvelosdamoukidebeli-respublikis-entsiklopedia.pdf> <https://www.un.org/en/about-us/member-states#gotoG>

22. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830\(02\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02))

23. https://www.eeas.europa.eu/eeas/european-neighbourhood-policy_en

24. <http://www.enpi-fleg.org/>

25. <https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/summary/the-european-neighbourhood-instrument-2014-2020.html>

26. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830\(02\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02))

27. <https://trade.ec.europa.eu/access-to-markets/en/content/eu-georgia-deep-and-comprehensive-free-trade-area>

28. <https://hos.openjournals.ge/index.php/hos/issue/view/729>



ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის

მაია მანჩხაშვილი

ასისტენტ პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ORCID-ID: <https://orcid.org/0000-0002-4321-977X>

ელ.ფოსტა:Maia.manchkhashvili@yahoo.com

აბსტრაქტი

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე საქართველოს რესპუბლიკამ კვლავ დაიწყო არსებობა როგორც დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა ერთეულმა. ახალგაზრდა ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის წინაშე არაერთი გამოწვევა იდგა და საჭირო იყო მათი დარეგულირება. ერთი მხრივ, ქვეყანამ დეკლარირება გაუკეთა დასავლურ ვექტორს, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორ უნდა მოეხერხებინა მისი რეალიზება და შეძლებდა თუ ვერა ამ გზაზე მყარად სიარულს, რთულად განსაზღვრე იყო.

თავის დროზე ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციისათვის მიუღებელი იყო ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება, მაინცადამაინც შემაფერხებელ ფაქტორად არ აღიქმებოდა საქართველოს გადასახედიდან ევროპასთან ურთიერთობების ჩრილში. მაგრამ, წლების განმავლობაში გამოჩნდა, რომ ეს არ იყო მხოლოდ ნოსტალგია რუსეთისათვის და ფედერაციის მესვეურები, როგორც პირდაპირი სამხედრო აგრესიით, ასევე, ფიზრიდული ომის ყველა მეთოდის გამოყენებით, მიზანმიმართულად მუშობდნენ, რომ ხელი შეეშალათ საქართველოსათვის, რათა ვერ შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა და ვერ მიეღწია განვითარების მაღალი სტანდარტებისთვის.

პრობლემების მიუხედავად, საქართველომ, მისი დასავლელი პარტნიორების დიდი თანადგომით, მოახერხა ის, რომ ურთიერთობები ევროპასთან მივიდა ასოცირების შეთანხმების ეტაპამდე. ამ შეთანხმებით იწყება ახალი ეტაპი საქართველო-ევროკავშირს შორის და ის გულისხმობს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში მთელი რიგი რეფორმების გატარებას.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, საქართველო, ასოცირების შეთანხმება, ასოცირების პირობები.

მეთოდოლოგია და თეორიული ჩარჩო

ნაშრომზე მუშაობისას ვიყენებდით თვისებრივი კვლევის მეთოდებს, კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტაციის კონტენტ ანალიზის მეთოდით შესწავლას ანუ შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს. შევისწავლეთ ამ საკითხის შესახებ არსებული დოკუმენტაცია და გავანალიზეთ პროლიტიკურ პროცესებთან მიმართებით.

თეორიულ ჩარჩოდ აღებული გვაქვს ნეორეალიზმის თეორია; ამ თეორიის ყველზე ცნობილი მკვლევარი გახლავთ ქენეთ უოლცი. ამ თეორიის მიხედვით რეგიონულ და პატარა სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა თავიანთი ფუნქცია შეიძინონ და გააიქიფონ როლი მსოფლიო პოლიტიკაში. საქართველოსთან მიმართებით ვფიქრობთ, საინტერესოა ამ თეორიულ ჩრილში დახასხული ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება.

მოკლედ ევროკავშირის იდეის შესახებ

მოგვხსენებთ ევროკავშირის იდეის დაბადების თავისებურება და პოლიტიკური კონიუნქტურა, როცა ეს იდეა ფრთებს ისხამდა და რეალიზებას იწყებდა; ეს იყო მეოცე საუკუნის შუა პერიოდი, როცა ერთ მსოფლიო ომგამოვილი ვერობა სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს შექმნისაკენ მისწრაფოდა და ურთიერთსარგებლანობის პრინციპზე აგებულ ერთობაზე შეაჩერა არჩევანი¹. თანამშრომლობა *საერთო მიზნისათვის* და რესურსების გაერთიანება იქცა იმ იდეად, რომელიც მყარი საფუძველი გახდა მომავალი წარმატებების გზაზე. ერთიანი ფასეულობების მქონე ევროპულმა სახელმწიფოებმა შეძლეს მიზნისათვის გაერთიანება. როცა აქცენტს ვაკეთებთ ფასეულობებზე, ჩვენ ვგულისხმობთ, სისტემურად გამართულ, დემოკრატიული ინსტიტუტების მუე-

¹ <https://european-union.europa.eu/principles-countries-history/history-eu-en>



ნებლობის სურვილით შეპყრობილ, პროგრესზე ორიენტირებულ, ადამიანის მთავარ უფლებებსა და თავისუფლების იდეაზე აგებული საზოგადოების ერთობას, რომელსაც გულწრფელად სჯერა მისივე იდეების¹.

ისტორიის ფურცლებს თუ ჩახეხედავთ, საერთო მიზნისათვის თანამშრომლობა არახალა ევროპის სახელმწიფოებისათვის; მათ საკმაოდ დიდი გავრცდილება აქვთ ამ კუთხით ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოების თანამშრომლობით დაწყებული, ვიდრე დღევანდელ დღემდე.

არაერთი პოლიტიკური თუ სხვა ტიპის გაერთიანება ახსოვს ევროპულ ისტორიას, რომელიც დაფუძნებულა და დაშლილა; საერთაშორისო გაერთიანებები/ორგანიზაციები იქმნება და იშლება, მაგრამ მთავარი ამ პროცესში არის ის, რომ არ წყდება მთავარი ხაზი - უწყვეტია თანადგომის, ერთიანობის იდეა, რომელიც სიკეთების ურთიერთგაზიარებას, ერთობლივი სიკეთების შექმნას და მათ დაცვას ემსახურება. ეს ძალიან დიდი და საინტერესო ისტორიაა.

– სად დგას ამ დროს საქართველო? სად დგას პოლიტიკურად და კულტურული თვალსაზრისით და რა აკავშირებს მას ევროპასთან?

– თავმდაბლობის გარეშე გვინდა ვთქვათ, რომ დგას იქ, სადაც შეუძლია იდგეს იმ ერს, რომელმაც ჯერ კიდევ ათნულობების წინ მიადნია განვითარების იმ ეტაპს, როცა ერს შეუძლია საკუთარი ნიალიდან შვას დაძნერლობა, რაც მაღალი კულტურის მქონე ერებს შეუძლიათ და ასეთი მსოფლიოში არც თუ ბევრია; რომელმაც ჯერ კიდევ ძვ.წ. აღ.ით IV საუკუნეში უკვე ენის რეფორმა ჩაატარა (მეფე ფარნავაზ I): „ამან განავრცო ენა ქართული და არღა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულსა“²; შექმნა სახელმწიფო, რომელმაც ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში მის პოლიტიკურ სისტემაში შვა პარლამენტარიზმის იდეა - ენ „ყოთლუ არსლანის დასი“; ჯერ კიდევ ფეოდალურ პერიოდში შექმნა ადამიანთა თანასწორობის იდეა - ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეა, „უჩინთა“ დანიანურების, ანუ გვარიშვილობის გარეშე, საკუთარი ნიჭისა და უნარების მიხედვით დანიანურების იდეა, სიკვიდილით დასჯის გაუქმების იდეა თამარის მეფობისას (1166-1213 წწ.); შექმნა უდიდესი კულტურა, კულტურა „ვეფხისტყაოსნის“, რომელიც

თავის თავში აერთიანებს არა მხოლოდ იმ დრომდე სამყაროში დაგროვილ ცოდნასა და სიბრძნეს, არამედ მომავლის ცოდნას და ადამიანის დედამიწაზე არსებობის მთავარი არის ჭკრეტის უდიდეს სიღრმეებს. „ვეფხისტყაოსანი“³ არის თავისუფალი სული ქარტია, თავისუფალი სულის, რომელიც თავისუფალია დოგმების, რელიგიის, წესების, კანონების ჩარჩოებისაგან და მხოლოდ სამყაროს კანონზომიერების წესებს ცნობს და ეს ვეფხისტყაოსნი ერთ წიგნშია მოქცეული. შექმნა პრეფერენტი, როცა ევოპაშიც და იმ დროის მსოფლიოშიც პირველად, ჯერ კიდევ 1918 წელს ქალი გახდა პარლამენტის წევრი - საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი 5 ქალი-დემუტატი ირჩეცხებოდა⁴.

საქართველო არის „ვეფხისტყაოსნის“ კულტურის ქვეყანა! ანუ ქართული კულტურა არის თავისუფლების, მეგობრობის, მიზნისათვის გაერთიანების, სიკეთების გაზიარების, თანადგომის, ბრძოლის, მოყვასის სიყვარულის კულტურა. მთელი საქართველოს ისტორია არის ბრძოლა პროგრესისათვის, უკეთესი მომავლისათვის. სწორედ მიზანთა და ფასეულობათა თანხვედრა აკავშირებს საქართველოს ევროპასთან და შესაბამისად, ევოკავშირთანაც.

საქართველო არის სახელმწიფო, რომელიც გეოგრაფიულად ევროპის განაპირასაა, რამაც იმთავითვე იქონია გავლენა მის ბედზე: საქართველო იდგა არაერთი გამოწვევის წინაშე, მაგრამ მან, როგორც ერმა და როგორც სახელმწიფომ, შეძლო დროისა და გეოგრაფიის გამოწვევისათვის ეპასუხა თვითმყოფადი კულტურული კოდის შექმნით! სწორედ ამიტომ იმსახურებს ეს ქვეყანა, იყოს პროგრესსა და განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფოების ავანგარდში.

როგორ იწყებოდა ევოკავშირთან ურთიერთობა:

მას შემდეგ, რაც 1992 წელს საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 179-ე სრულყოფილი წევრი გახდა⁵, მსოფლიო საზოგადოებამ მიიღო სიგნალი, რომ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ახალი პოლიტიკური სუბიექტი, მრავალწლიანი იძულებითი ოკუპაციისაგან თავდასხნილი, თავიდან იწყებდა არსებობას. გაერო-ს წევრი სახელმწიფოების ამ აქტივ საქართველო კვლავ დასვეს მსოფლიო პოლიტიკურ რუკზე.

1 https://european-union.europa.eu/priorities-and-actions/eu-priorities_en
2 http://saunje.ge/index.php?id=1495&option=com_content&lang=ru
3 <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/40-vephkhistqhaosani.pdf>
4 <https://digitallibrary.tsu.ge/book/2019/wignebi/sakartvelos-damoukidebelli-respublikis-entsiklopedia.pdf>
5 <https://www.un.org/en/about-us/member-states#gotoG>



გაეროს წევრობა არაა შემთხვევითი მოვლენა. ეს არის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური უცხტი მსოფლიო თანამეგობრობისაგან, რომ გალიარებენ, როგორც პოლიტიკურ სუბიექტს და სურთ შენთან ურთიერთობა. მსოფლიო თანამეგობრობამ ცნო საქართველო, როგორც დიდი ისტორიის მქონე სახელმწიფო და ჩათვალა, რომ ეს არის ქვეყანა, რომელიც იმსახურებს დამოუკიდებლობას და მზადაა განვითარების გზით სიარულისათვის.

გაეროს წევრობამ ავტომატურ რეჟიმში გახსნა საქართველოს ახლადდადგენილი რესპუბლიკისათვის შესაძლებლობათა მთელი პაკეტი, უფრო ინტენსიური თანამშრომლობის ფორმატით ქონდა ურთიერთობები დანარჩენ მსოფლიოსთან და სხვა ნამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის ევროკავშირთან.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ისტორიაც 1992 წლიდან იწყება. ამ ურთიერთობებს ჩვენ პირობითად ორ ეტაპად ვყოფთ: 1) 1992 წლიდან 2016 წლამდე, როცა ნელ-ნელა იწყებოდა ორმხრივი თანამშრომლობა, რომელიც წლების განმავლობაში გადაიზარდა საქმოდ ინტენსიურ დანაღში და თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატებმა დაიწყო მუშაობა და 2) 2016 წლიდან დღემდე, როცა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის ეტაპიდან.

საპარტეზლო-მეოკავშირის ურთიერთობების პირველი ეტაპი 1992-2016 წლები

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ეს ეტაპი ფუნდამენტურად საინტერესო და მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ორმხრივი ურთიერთობებში. ამ პერიოდმა განსაზღვრა და მიმართულება მისცა შემდგომი პერიოდის ურთიერთობების ფორმატს¹. ორმხრივი თანამშრომლობა ურთიერთობების საწყის ეტაპზე ძალიან დაბალი ინტენსივობით ვითარდებოდა. ევროკავშირთან ურთიერთობები ამ ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ ეკ-ს მხრიდან ტექნიკური და ფუმანიტარული დახმარებებით განისაზღვრებოდა.

ორმხრივი ურთიერთობები გაცილებით ინტენსიური და საინტერესო გახდა 1996 წლიდან, როცა ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას. ეს შეთანხმება ძალაში შევიდა 1999

წლიდან და იგი 10 წლის ვადით იყო ხელმოწერილი. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მოიცავდა არაერთ სფეროს, სადაც ორივე მხარე იღებდა ვალდებულებას, რომ ერთობლივად ემუშავა გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად საქართველოში. ამ მუშაობის მიზანი კი იყო ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება და პარმონიზაციის უწყვეტი პროცესის მიღწევა.

აღნიშნული შეთანხმების 43-ე მუხლით საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ ეტაპობრივად მიეახლოებინა თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ანუ, საქართველოს მხარე ამ ხელშეკრულების ძალით აღიარებდა საერთაშორისო სამართლის ნორმების პრინციპს ქართულ კანონმდებლობასთან მიმართებით.

43-ე მუხლში გამოყოფილია სფეროები, რომლებსაც უნდა შეეხებოდა საკანონმდებლო ცვლილებები: ინვესტიციები, საბაჟო სამართალი, სამენარმეო სამართალი, საბანკო სამართალი, კომპანიათა ანგარიშები და გადასახადები, ინტელექტუალური საკუთრება, დასაქმებულობა და ცვა სამუშაო ადგილებზე, ფინანსური მომსახურება, კონკურენციის წესები, სახელმწიფო შესყიდვები, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არაპირდაპირი დაბეგვრა, ტექნიკური წესები და სტანდარტები, ბირთვული კანონმდებლობა და ტრანსპორტი და სხვა.

ამ შეთანხმების 44-ე მუხლში კი საგანგებოდაა გამოყოფილი კონკურენციის სფეროში არსებული საკანონმდებლო ზაზის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სამართალთან.

1997 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმადაც, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტში მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებთან და ნორმებთან. ეს იყო საინტერესო და თამბი ნაბიჯი საქართველოს მთავრობის მხრიდან და ჩვენება, რომ არ აპირებდა განვითარების ევროპული სტანდარტებიდან გადახვევას. იმისათვის, რომ ეს პროცესი უფრო ინტენსიური ყოფილიყო, 2000 წელს შეიქმნა საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის სპეციალური სამთავრობო კომისია, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობის

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

1 [https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830\(02\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02))



ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საკითხს გაუნედა კურირებას.

2004 წლის 8 მაისის განკარგულებით კი, საქართველოს მთავრობამ მოიწონა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან პარმონიზაციის ეროვნული პროგრამა და მთავრობის წევრებს დაევალით ეროვნული პროგრამის შესასრულებლად ინდივიდუალური (სპეკორული) სამოქმედო გეგმების შემუშავება.

2002 წლის 18 ნოემბერს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭომ და 2002 წლის 12-13 დეკემბერს ევროკავშირის საბჭოს კოპენჰაგენის სამიტმა გამოხატა ევროკავშირის ურთიერთობების გაღრმავების სურვილი რუსეთთან, უკრაინასთან, მოლდოვეთთან, ბელორუსიასა და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროს ქვეყნებთან და ამუშავდა ახალი პროექტი - ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (European Neighborhood Policy/ENP)¹. სამეზობლო პოლიტიკის საშუალებით ევროკავშირის თავისი საზღვრების გარშემო დემოკრატიის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის გავრცელების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის პროგრამა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის 2004 წლის ივნისიდან ამუშავდა.

რაც შეეხება ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტს (ENPI)², ეს იყო ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობდა სამეზობლო პოლიტიკის კონკრეტული ფინანსური აქტივობებით მხარდაჭერას და 2007 წლის პირველი იანვრიდან მოქმედებდა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტმა ჩაანაცვლა თანამშრომლობის ისეთი პროგრამები, როგორებიცაა: TACIS (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის) და MEDA (ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებისთვის).

2011 წლის დეკემბერში ევროკომისიამ წინადადებით მიმართა ევროპარლამენტს 2014-2020 წლებისთვის ახალი საგარეო დახმარების ინსტრუმენტების, მათ შორის, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის დამტკიცების თაობაზე (ENI- European Neighborhood Instrument)³.

აღნიშნული ინსტრუმენტი საქართველოში 2015 წლიდან ამოქმედდა. ENI-ის საერთო ბიუჯეტი 2014-2020 წლებში შეადგენს 15 მილიარდ ევროს 16 საემეზობლო პოლიტიკის ქვეყნის მხარდასაჭერად, შე-

მდეგი მიმართულებით: 1) ორმხრივი პროგრამები, რომლებიც ცალკეული პარტნიორი ქვეყნისთვის მხარდაჭერას ითვალისწინებს; 2) მრავალმხრივი პროგრამები, რომლებიც ყველა ან რამდენიმე პარტნიორი ქვეყნის წინაშე არსებულ საერთო გამოწვევებს პასუხობს და ასევე მოიცავს რეგიონულ და ქვერეგიონულ თანამშრომლობას ორ ან მეტ პარტნიორ ქვეყანას შორის; 3) საზღვრისპირა თანამშრომლობა (CBC).

2016 და 2017 წლებში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროკავშირთან დაახლოების გზაზე: 2016 წლის 1 ივლისს, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში, ხოლო 2017 წლის 28 მარტს, საქართველოს მოქალაქეებისთვის ძალაში ოფიციალურად შევიდა ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უფიზოდ მოგზაურობის შეთანხმება. უკვე საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც ფლობდა ბიომეტრიულ პასპორტს, უფიზოდ შეეძლო იმოგზაუროს ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში უწყვეტად მაქსიმუმ 90 დღე.

რა არის ასოცირების შეთანხმება?

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას ოფიციალურად ეწოდება ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის.

მოლაპარაკებების ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის ივლისში და დასრულდა 2013 წლის ივლისში.

შეთანხმების პარაფირება მოხდა 2013 წლის 29 ნოემბერს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილიუსის სამიტის ფარგლებში. მას ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში. ამ შეთანხმებამ ჩაანაცვლა 1996 წელს ხელმოწერილი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება⁴.

ასოცირების შესახებ შეთანხმება არის საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ის, აგრეთვე, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრო-

1 https://www.eeas.europa.eu/eeas/european-neighbourhood-policy_en
2 <http://www.enpi-fleg.org/>
3 <https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/summary/the-european-neighbourhood-instrument-2014-2020.html>
4 [https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:2014A0830\(02\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:2014A0830(02))

ბის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA)¹ და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

შეთანხმება ევროკავშირსა და მის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეისაციის პროცესს.

ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი, აღნიშნულია, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი - დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა, ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედს. ასოცირების შესახებ ხელშეკრულება აღიარებს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს.

ასოცირების შეთანხმება ავალდებულებს საქართველოს მთავრობას, რეფორმები გაატაროს შემდეგ სფეროებში:

- საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა. დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა;

- საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა: პოლიტიკური დიალოგისა და თა- ნამშრომლობის გაღრმავება შესაბამის სფეროებში, მათ შორის - შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუფრთხილებლობა, რეგიონული სტაბილურობა და სხვა;

- მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება: სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა; მიგრაციის მართვა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ

ეფექტიანი ბრძოლა; ფულის გათეთრების, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; უკანონო ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის პრევენცია და მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია; საზღვრის მართვის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება, ტერორიზმის, პერსონალურ მონაცემთა დაცვა და სხვა;

- დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა: თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონული განვითარება და სხვა.

- ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA) ჩამოყალიბებას. ასოცირების შესახებ შეთანხმებამ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.

კვლევის შედეგები

კვლევამ და ასოცირების ხელშეკრულების მთელი რიგი პირობების შესწავლამ აჩვენა, რომ საქართველო საიმედო და საინტერესო პარტნიორია ევროკავშირისათვის. სწორედ ნეორეალიზმის თეორიის ჩრტილში საქართველოს, როგორც, ევროკავშირის ენერჯორესურსებისა და უსაფრთხოების გამძლიერებელი ქვეყნის როლი, ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობთ, ევროკავშირის წარმომადგენლები ამას აცნობიერებენ და დამენ შესაბამის ნაბიჯებს.

მიუხედავად რთული ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველო მაინც საინტერესო პარტნიორია ევროსათვის; ასოცირების ხელშეკრულების დადება ნიშნავს ორმხრივ მზაობას, გააღრმავოს ურთიერთობები არა მხოლოდ საქართველოსთან, არამედ სამხრეთ კავკასიის რეგიონთან, მის სახელ-

1 <https://trade.ec.europa.eu/access-to-markets/en/content/eu-georgia-deep-and-comprehensive-free-trade-area>

2 მ. მანჩხაშვილი, თურქეთის ევროკავშირში განვითარების საკითხი და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის, აღმოსავლეთმცოდნეობის მაგნი, ბუ, N2, გვ, 9-30, 2022, <https://hos.openjournals.ge/index.php/hos/issue/view/729>

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

მნიშვნეობითან და რეგიონის ჩრდილო საქართველოს მნიშვნელობა საკვანძოდ მნიშვნელოვანია.

კვლევა აჩვენებს, რომ საქართველო კულტურულადაც, ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც მჭიდროდ დაკავშირებულია დასავლეთთან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს ურთიერთობები მნიშვნელოვანი შედეგებით და განვითარების საკმაოდ კარგი ტემპით ხასიათდება. ევროპას სჭირდება საქართველო, როგორც აღმოსავლეთის ფლანგის განვითარებადი საყრდენი, რომელთანაც კარგი ურთიერთობების აქვს.

დასკვნები

ასოცირების შეთანხმება არის მრავალმხრივი საინტერესო დოკუმენტი. ეს შეთანხმება ბევრ საინტერესო ასპექტს მოიცავს. მასში დეტალურადაა განერილი თითქმის ყველა სფეროს რეფორმირების საკითხი, მათი გადაჭრის სავარაუდო გზები და მე-თოდები. ამ ასპექტების გათვალისწინება, გააზრება და ქართულ რეალობაში ეტაპობრივად განხორციელება უდავოდ იქნება ევროპის განვითარებულ

სახელმწიფოთა რიგებში ჩადგომის წინაპირობა.

საქართველო პატარა სახელმწიფოა. მან მისი წარმატების შესაძლებლობები უნდა ეძიოს განათლების, ეკონომიკის, სოციალური სფეროს რეფორმირების გზებში და ევროკავშირის მიერ ესოდენ დიდი ნდობის გამოცხადება და ასოცირების შეთანხმება უნდა გამოიყენოს იმისათვის, რომ გახდეს განვითარებული სახელმწიფო.

საქართველოს აქვს რესურსები იმისათვის, რომ განვითარების შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად სათანადო ღონისძიებები გაატაროს;

ასოცირების შეთანხმება არ უნდა განვიხილოთ, როგორც ევროკავშირში განვეერიანების უპირობოდ წინა ეტაპი და არ უნდა შეიქმნას არასწორი მოლოდინები. ევროკავშირში განვეერიანება არის უდიდესი პასუხისმგებლობა და შენი წილი რესურსებისა და შესაძლებლობების შეთავაზება ამ გაერთიანებისათვის და საქართველო სათანადოდ უნდა მოემზადოს ამ ეტაპისათვის. ასოცირების შეთანხმება არის უდიდესი შესაძლებლობა საქართველოსთვის, გახდეს ევროპული საზოგადოების სრულფუნქციონირებელი წევრი.

INFORMATION TECHNOLOGIES AND ENTROPY IN SOCIO-ECONOMIC MONITORING

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: May 11, 2023
Published: June 12, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18022023-45



Mikheil Robakidze

Doctoral student at Georgian Technical University,
Faculty of Business Technologies
ORCID-ID: <https://orcid.org/0009-0001-6646-8015>,
E-Mail: mirobakidze@gmail.com



Makvala Robakidze

Doctoral student at Georgian Technical University,
Faculty of Business Technologies
ORCID-ID: <https://orcid.org/0009-0007-3866-6122>
E-Mail: mrobakidze@gmail.com

ABSTRACT

The paper discusses the importance of information provision in the management of modern economic processes. Information in the conditions of globalization is an expensive commodity that can have a significant impact on the activity of an economic entity. The author focuses on discussing the properties of information and its ability to reduce entropy in a system. Finding, storing, processing and distributing information in the age of the Internet radically changes the principles of the organization's work, accelerates decision-making mechanisms and helps to take result-oriented steps. The process of information formation is endless, because the reduction of indeterminacy in one or another field of knowledge creates new problems and, accordingly, new indeterminacy. Economic information reflects economic processes and objective relationships between production factors and outcomes. According to functional signs, economic information is planned, accounting and regulatory. The properties of any information, including economic information, are: reliability, sufficiency, relevance, availability, effectiveness, value, dispersion and obsolescence. The creation of modern information technologies has changed the branches of the economy, the list of relevant and in-demand professions. Programmer, developer, network administrator, web designer and others are replacing many traditional professions, and the development of artificial intelligence can completely replace people in many positions.

Keywords: information, information technologies, information provision, economy and management, entropy, socio-economic monitoring.

REFERENCES:

1. Law of Georgia on Information Security - (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/167-9424?publication=5>), Last checked -10.05.2023;
2. Goold, M. & Campbell, A. (2002), Creating an effective organization;
3. Stone B. Successful Direct Marketing Methods. - NTC Business Books, 2022;
4. Jay E. Effective presentation. - Minsk: Amalfeya, 2018;
5. Cyber security reform in Georgia, (https://idfi.ge/ge/cyber_security_reform_in_georgia), Last checked -10.05.2023.

საინფორმაციო ტექნოლოგიები და ენტროპია სოციალურ-ეკონომიკურ მონიტორინგში

მიხეილ რობაკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის
დოქტორანტი,

ORCID-ID: <https://orcid.org/0009-0001-6646-8015>,

ელ-ფოსტა: mirobakidze@gmail.com

მაყვალა რობაკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის
დოქტორანტი,

ORCID-ID: <https://orcid.org/0009-0007-3866-6122>

ელ.ფოსტა: mrobakidze@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საინფორმაციო უზრუნველყოფის მნიშვნელობა თანამედროვე ეკონომიკურ პროცესების მართვაში. ინფორმაცია გლობალიზაციის პირობებში წარმოადგენს ძვირადღირებულ საკონკრეტულ, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობაზე. ავტორი ამბხვილებს ყურადღებას ინფორმაციის თვისებების განხილვაზე და მის უნარზე შეამციროს ენტროპია სისტემაში. ინფორმაციის მოძიება, შენახვა, გადამუშავება და გავრცელება ინტერნეტის ეპოქაში კარდინალურად ცვლის ორგანიზაციის მუშაობის პრინციპებს, აჩქარებს გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმებს და შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმას უწყობს ხელს. ინფორმაციის ფორმირების პროცესი უსასრულოა, რადგან განუსაზღვრელობის შემცირება ცოდნის ამა თუ იმ სფეროში აჩვენებს ახალ პრობლემებსა და შესაბამისად - ახალ განუსაზღვრელობებს. ეკონომიკური ინფორმაცია აახაგვს სამეურნეო პროცესებსა და მიზნობრივ კავშირებს წარმოების ფაქტორებსა და შედეგებს შორის. ფუნქციონალური ნიშნების მიხედვით ეკონომიკური ინფორმაცია არის გეგმიური, სააღრიცხვო და მარგულური. ნებისმიერი ინფორმაციის, მათ შორის ეკონომიკურის, თვისებებია: საიმედოობა, საკმარისობა, აქტუალურობა, ხელმისაწვდომობა, ეფექტიანობა, ფასეულობა, გაფანტვა და მოძველება. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნამ შეცვალა ეკონომიკის დარგები, აქტუალური და მოთხოვნილი პროფესიების ნუსხა. პროგრამისტი, დეველოპერი, ქსელების ადმინისტრატორი, ვებ-დიზაინერი და სხვა ანაცვლებენ ბევრ ტრადიციულ პროფესიას, ხოლო ხელოვნური ინტელექტის განვითარებას შეუძლია საერთოდ ჩაანაცვლოს ადამიანი ბევრ პოზიციაზე.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ინფორმაციული უზრუნველყოფა, ეკონომიკა და მართვა, ენტროპია, სოციალურ-ეკონომიკური მონიტორინგი.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ეკონომიკური პროცესების მართვაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საქმიანობის ინფორმაციულ უზრუნველყოფას. ინფორმაცია აუცილებელია ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების და ადეკვატური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ეტაპებზე. ამასთან, ინფორმაციული უზრუნველყოფა საჭიროა ყველა ეკონომიკური სისტემის ნებისმიერ დონეზე.

არსებობს ინფორმაციის სხვადასხვა განმარტება. თავდაპირველად ამ ცნებაში იგულისხმებოდა ნებისმიერი მონაცემები მატერიალური საშუალოს მოვლენების და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ. კიბერნეტიკა კი ინფორმაციის ცნებას განმარტავს როგორც „მოვლენის ან ობიექტის

განუსაზღვრელობის შემცირებას“. ამ განმარტების არსი მდგომარეობს იმაში რომ ინფორმაციას წარმოადგენს მხოლოდ ახალი და არა „მეორადი“ მონაცემები.

რთული სისტემების ფუნქციონირებაში, მათ შორის ეკონომიკური სისტემების, ინფორმაციის როლსა და არსს იკვლევდნენ და ადგენდნენ თავიანთ ფუნდამენტურ კვლევებში ჯონ ფონ ნეიმანი, ნორბერტ ვინერი და კლოდ შენონი. ზუსტად მათ ეკუთვნის კიბერნეტიკის ანუ მართვის თეორიის შექმნა. დღემდე საფონდო ბაზრის მონაწილეთა ქცევის შესწავლაში გამოიყენება თამაშთა თეორია, რომელიც ნეიმანმა მართვის თეორიის ბაზაზე დააფუძნა.

საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფ-



რთობების შესახებ“ განმარტავს „ინფორმაციას“ როგორც „...მონაცემებს პირთა შესახებ, მონაცემებს ფაქტებსა, მოვლენებზე და ნივთების შესახებ, დამოუკიდებლად მათი წარმოდგენის ფორმისა“ და „მარეგულირებს ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიქმნება საინფორმაციო რესურსების ფორმირებასა და გამოყენებისას. რაც გულისხმობს დოკუმენტირებლით მონაცემების შექმნას, შეგროვებას, დამუშავებას, შენახვას, ძებნასა და გავრცელებას, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნას, უზრუნველყოფას და გამოყენებას, ინფორმაციის დაცვას, დაცვას იმ სუბიექტთა უფლებებისა, რომლებიც მონაწილეობენ ინფორმატიზაციისა და საინფორმაციო პროცესებში“.

ინფორმაცია ეფექტური რესურსის მხოლოდ მაშინ წარმოადგენს, როდესაც ის არის „აქტუალურ მდგომარეობაში“, ანუ რომელიმე საინფორმაციო მატარებლებზე მდებარეობს და ექვემდებარება დამუშავებას. ადრე მიღებული ინფორმაცია ცოდნის მარაგში ტრანსფორმირდება (თეზაურუსი), რომელიც ეკუთვნის საზოგადოებას და ცალკე აღევლინება პირს. ამასთან, კაცობრიობა უწყვეტად იღებს დამატებით ინფორმაციას გარე სამყაროს შესახებ. შეტყობინების შესაბამისობა თეზაურუსთან შესაძლებელია იყოს სამხარბო. პირველი შემთხვევა- შეტყობინების შინაარსი უკვე არის თეზაურუსში, ამიტომაც მიღებული მონაცემები არც ავსებენ მას და არც წარმოადგენენ ინფორმაციას. მეორე შემთხვევაში შეტყობინება შეიცავს ახალ მონაცემებს, მაგრამ ადამიანს არ შეუძლია მათი აღქმა აუცილებელი საბაზო ცოდნის უქონლობის გამო. მას- თეზაურუსი არ იკვეთება ახლად შექმნილ მონაცემებთან. და ეს მონაცემები, შესაბამისად, არ წარმოადგენენ ინფორმაციას. და ბოლოს, მესამე შემთხვევა- შეტყობინების შინაარსი იძლევა ახალ მონაცემებს, რომლებიც ნაწილობრივ არიან თეზაურუსში და ავსებენ მას. ზუსტად ამ სახის შეტყობინებები წარმოადგენენ ინფორმაციას და ავსებენ ადამიანის ცოდნას.

ინფორმაციის ზრდის პროცესი დიალექტიკურად ხასიათდება საბირალური ციკლით. ცოდნის რაოდენობის უწყვეტი დაგროვება გარკვეულ ეტაპზე ინვესს ხარისხობრივ ნახტომს, რაც პრაქტიკაში აისახება ახალი ტექნიკური საშუალებების და პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების შექმნით. თავის მხრივ, ეს ახალი გადანაწევტილებები მეცნიერების წინაშე აყენებენ თვისობრივად ახალ ამოცანებს. მათი რეალიზება დამატებით ცოდნას მოითხოვს. ესე იგი სამყაროს მცინებური შესწავლის ციკლი

გადადის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე და ამას თან ახლავს ინფორმაციის რაოდენობრივი ზრდა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ინფორმაციის დინამიკის, მისი რაოდენობრივი მატებისა და ხარისხობრივი განახლების მნიშვნელობის გათვალისწინება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვასკენით, რომ ინფორმაცია არის უწყვეტად განახლებადი, შევსებადი მონაცემების ფორმა, რომელიც აღწერს მატერიალური სამყაროს მოვლენებს, მასში მიმდინარე პროცესებს და მიზნად ისახავს ბუნებასა და საზოგადოებაში არსებული ენტროპიის შემცირებას. უნდა აღინიშნოს რომ ინფორმაციის ფორმირების პროცესი უსასრულოა, რადგან განუხაზვრელობის შემცირება ცოდნის ამა თუ იმ სფეროში აწენს ახალ პრობლემებსა და, შესაბამისად- ახალ განუხაზვრელობებს.

ეკონომიკური ინფორმაცია ასახავს სამეურნეო პროცესებსა და მიზნობრივ კავშირებს წარმოების ფაქტორებსა და შედეგებს შორის. ის ხასიათდება შესასრულებელი ფუნქციების მრავალსახეობით, ზეგავლენის ობიექტთა სიმრავლით, გამოყენების პერიოდის და წარმოდგენილი ფორმების მრავალი ვარიანტით. ფუნქციონალური ნიშნების მიხედვით ეკონომიკური ინფორმაცია არის გეგმიური, სააღრიცხვო და მარეგულირებელი. გეგმიური ინფორმაცია ფიზიკურად დიდ მოცულობას იკავებს და განსაზღვრავს ობიექტის განვითარების სტრატეგიას მოცემულ მომენტში და სამომავლოდ. გეგმიური ინფორმაციის მნიშვნელოვან შემდეგენელ ნაწილს ნორმატივები წარმოადგენს. ყველაზე მოცულობით (90-95 %) ეკონომიკური ინფორმაცია წარმოადგენს სააღრიცხვო ინფორმაცია, რომელიც ასახავს სამეურნეო საქმიანობის შედეგებს და მოიცავს საბუღალტრო, სტატისტიკურ, საანგარიშო და ოპერატიულ მონაცემებს. მარეგულირებელი ინფორმაცია გეგმიურს და სააღრიცხვოს ეყრდნობა და მისი დანიშნულება მართველობითი გადანაწევტილებების მუდმივი კორექტირება კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით.

ნებისმიერი ინფორმაციის, მათ შორის ეკონომიკურის, თვისებებია: საიმედოობა, საკმარისობა, აქტუალურობა, ხელმისაწვდომობა, ეფექტიანობა, ფასეულობა, გავანტვა და მოძველება.

საიმედო არის ობიექტური ინფორმაცია, რომელიც ეკონომიკაში ასახავს რეალურ პროცესებს მეცნიერულად დასაბუთებული მაჩვენებელთა სისტემის მეშვეობით. ის უნდა იყოს ცალსახა და მკაფიოდ რეგისტრირებული.

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

საკმარისობის თვისება მდგომარეობს იმაში რომ, ერთის მხრივ, ინფორმაცია უნდა იყოს მაქსიმალურად სრული, გაჯერებული, მაგრამ არა გადაჭარბებული. ამ თვისებას ეკონომიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, სადაც კერძო მახასიათებლების მრავალფეროვნება ხშირად აფერხებს სანარმოო პროცესის კომპლექსურ შესწავლას.

ხელმისაწვდომობა ინფორმაციის მდგომარეობს მის გახსნილობაში და საჯაროობაში. ამისთვის საჭიროა საერთაშორისო და პროფესიული მანაცემთა ბანკების შექმნა.

ინფორმაცია უნდა იყოს დროული, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაკარგავს თავის ხარისხს, ხოლო დაგვიანებით მიღებული გადაწყვეტილებები არ იძლევიან საჭირო დადებით შედეგს.

ეფექტიანობის თვისება არ მდგომარეობს ინფორმაციის მოძიებისთვის საჭირო დანახარჯების შემცირებაში, არამედ იმაში რომ განუვლი დანახარჯი იყოს გამართლებული. ინფორმაცია ძვირადღირებულია, მაგრამ მისი უკმარისობა შესაძლოა უფრო ძვირი დაჯდეს.

ფასეული არის არაქარბი ინფორმაცია, რომელიც ამა თუ იმ მოვლენის ენტროპიას ამცირებს. ეს ინფორმაცია წარმოადგენს საქონელს.

ინფორმაციის მოძიება განისაზღვრება მის დამოკიდებულებასთან დროში. ამასთან, გასათვალისწინებელია ინფორმაციის აბსოლუტური და შედარებითი მოძველება.

იმის გამო რომ ინფორმაციის მოძველება დროში მიმდინარეობს არათანაბრად, მიზანშეწონილია ეკონომიკური ინფორმაციის დაყოფა მუდმივ, პირობითად-მუდმივ და ცვალებად ინფორმაციად. ინფორმაციას, რომელიც არ იცვლება წლების მანძილზე, ეწოდება მუდმივი. პირობითად-მუდმივი არის ინფორმაცია, რომელსაც სტაბილურობის ნაკლები პერიოდი აქვს. მაგალითად, მინიმალური ხელფასის ოდენობა. ცვალებად ინფორმაციას ერთჯერადი ხასიათი აქვს და დროს ყოველ მომენტში მას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, გამომგებული პროდუქციის ოდენობა.

რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ინფორმაცია, - ამაზე პასუხის მიღება შესაძლებელია სტაბილურობის კოეფიციენტის მეშვეობით. ის განისაზღვრება დროის მოცემულ მონაკვეთში უცვლელი მონაცემების რაოდენობის თანაფარდობით დროის იგივე მონაკვეთში მაჩვენებელთა საერთო რაოდენობასთან. ინფორმაცია, რომლის სტაბილურობის კოეფიციენტი 0,85-ს აღემატება,

იოვლება მუდმივად.

ინფორმაციის გაფანტვის თვისება კარგად ელნიდება ეკონომიკური რეფერმების გარძელების შესაძლო თემის გაეშვმო. არსებულ ალტერნატიულ გზებს შორის არის ოპტიმალური და სასურველიც. ამოცანა დგეს მათ პოვნაში და შერჩევაში. ამასთან, საჭირო ინფორმაციის მოძიების ალგორითმი მდგომარეობს სხვადასხვა წყაროსთან მუშაობისას მათ შესწავლასა და შერჩევაში (გაფანტვა ანსამბლის მიხედვით) მათი შექმნის (შემოსვლის) თარიღების მიხედვით (გაფანტვა დროის მიხედვით). წარმატების კრიტერიუმი - საჭირო ინფორმაციის მოძიება და ინფორმირებულობის დონეზე გასვლა მინიმალურ დროში და წყაროთა მინიმალური რაოდენობით.

იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაცია არის ცოდნის მისაღებად აუცილებელი რესურსი, რომელიც, თავის მხრივ შესაძლებელია გახდეს ინფორმაცია ახალი ცოდნის მისაღებად, - მისი ცოდნად გადაქცევის ტექნოლოგია წარმოადგენს პოსტინდუსტრიული საზოგადოების პირველად რესურსს. იმის გამო რომ ინფორმაციას მნიშვნელოვანი როლი აკისრია პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა იმ საკითხს, რომელიც უკავშირდება ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებას და შენახვას, - ანუ საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

გეომეტრიული პროგრესით მზარდი ინფორმაციული ნაკადი წარმოადგენს ინდუსტრიული საზოგადოების პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში გარდაქმნის ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშანს. საზოგადოების თვითოეული წევრი, სამეურნეო საქმიანობაში ჩართული თითოეული ერთეული აწყდება ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და შენახვის პრობლემას.

განვითარებულ ქვეყნებში ამ საკითხების მოსაგვერებლად იყენებენ თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, უახლეს კომპიუტერულ ტექნიკას, თანამედროვე პროგრამულ უზრუნველყოფას და გლობალურ ქსელებს. მოცემული ქსელი (Internet) შეიქმნა შეერთებულ შტატებში და მას თავდაპირველად სამხედრო დანიშნულება ჰქონდა. დღესდღეობით ინტერნეტი წარმოადგენს ქსელთა მრავალდონიან კონგლომერატს და აერთიანებს ტრანსნაციონალურ, ნაციონალურ, რეგიონალურ და კორპორატიულ ქსელებს და წარმოადგენს პოსტინდუსტრიული ეპოქის ერთ-ერთ ნათესავ მოვლინებას.

ამგვარად, ადამიანის უფრო თანამედროვე



საქმიანობის ბაზის ნარმოადგენს განვითარების თითოეულ ეტაპზე დაგროვილი ობიექტური ინფორმაცია. მისი მოძიება, შენახვა, დამუშავება და გავრცელება იძლევა ამ თუ იმ განსყვეტილებათა შემუშავების საშუალებას, რომელიც პრაქტიკული რეალიზება ხორციელდება საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების ამოსხნის უახლესი ტექნოლოგიების შექმნით. იმის გამო რომ ახალი ტექნოლოგიები დაკავშირებულია ინფორმაციის გადამუშავებასთან, მათ საინფორმაციო ტექნოლოგიები ეწოდებათ. აქედან გამომდინარე, საინფორმაციო ტექნოლოგიებში იგულისხმება პროცესები, სადაც დასამუშავებელ პროდუქციას ნარმოადგენს ინფორმაცია, ხოლო მიზანია- დასული ამოცანების ამოსხნა, რაც მივიყვეს ახალი ინფორმაციის მიღებასთან. ეს პროცესი აუცილებელია საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპზე გადასასვლელად.

მნიშვნელოვანია ინფორმაციის დამუშავების, ანალიზის და სინთეზის ტექნოლოგიები, რაც მოითხოვს პერსონალის მაღალ კვალიფიკაციას. საინფორმაციო ბაზარი სთავაზობს ისეთ პროდუქტებს, რომლებსაც შეუძლიათ მომხმარებლის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტა მონაცემთა მიღების, გადამუშავების და გაცემის კუთხით. საინფორმაციო რესურსებთან ეფექტიანი წვდომა, კონტროლი ინფორმაციის გავრცელება და გაცემაზე წარმოადგენს ნებისმიერი ორგანიზაციის მუშაობის მართვის საკვანძო მომენტს. პერსონალურ კომპიუტერთა გაერთიანება ლოკალურ ქსელებში, ინტეგრაცია ამ ქსელებში საოფისე და საკომუნიკაციო მოწყობილობებისა, მსხვილი საინფორმაციო-გამოთვლითი კომპლექსების შექმნის საშუალებას იძლევა. ასეთი კომპლექსები კი რეალურს ხდიან „ვირტუალური მენეჯმენტის“ განხორციელებას. ვირტუალურ მენეჯმენტი გულისხმობს ფართო კომუნიკაციებს ვირტუალურ სივრცეში, საინფორმაციო ნაკადების ელექტრონულ მართვას, მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელებას ინტერნეტის მეშვეობით. ამასთან ერთად ორგანიზაციის სტრუქტურა განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებას. ტრადიციული სტაციონარული ოფისების ნაცვლად სულ უფრო და უფრო ვრცელდება დისტანციური მუშაობის პრინციპი.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნამ შეცვალა ეკონომიკის დარგები, აქტუალური და მოთხოვნიდა პროფესიების ნუსხა. პროგრამისტები, დეველოპერი, ქსელების ადმინისტრატორი, ვებ-დიზაინერი და სხვა ანაცვლებენ ბევრ ტრადიციულ პროფესიას, ხოლო ხელოვნური ინტელექტის

განვითარებას შეუძლია საერთოდ ჩაანაცვლოს ადამიანი ბევრ პოზიციაზე. ეს მკაფიოდ ვლინდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მუშაობაში: ხელოვნური ინტელექტი ნერს ტექსტებს, სცენარებს, ამონტაჟებს ვიდეო და ფოტოგრაფიებს, გეგმავს და ახორციელებს პროექტებს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და მათ მფლობელებს აქვთ საშუალება ზეგავლენა მოახდინონ ლოკალურ და გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, შექმნან საზოგადოებრივი აზრი და გამოიყენონ იგი საკუთარი მიზნების მისაღწევად. ამასთან, საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობა, თანამედროვე პირობებში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თვით ინფორმაციის განკარგვა. და ეს ორივე წარმოადგენს ძალაუფლების წყაროს, კაპიტალს.

ქვეყნის ეკონომიკის საინფორმაციო უზრუნველყოფა მოითხოვს სისტემურ, კიბერნეტიკულ მიდგომას. როგორც ცნობილია, კიბერნეტიკა შეისწავლის რთული დინამიკური სისტემების მართვის პროცესებს. სისტემა შესაძლოა იყოს ტექნიკური, ბიოლოგიური, საზოგადოებრივი და ასე შემდეგ. კიბერნეტიკის შემქმნელი ვინერი ამბობდა, რომ მართვა ეს შეტყობინებათა გავზავნაა, რომლებიც ეფექტიანად ახდენენ ზეგავლენას მიმღების ქცევაზე. მაგალურად, თუ ავიღებთ რაკეტას, როგორც ტექნიკურ სისტემას, იმისათვის რომ მან მიაღწიოს მიზანს, აუცილებელია მისი ფრენის ტრაექტორიის ზუსტი გამოთვლა და საჭიროების შემთხვევაში- კორექტირება. მოცემული პროცესები დაკავშირებულია ინფორმაციის მოძიებასთან. გადამუშავებასთან, შანახებასთან, გამოყენებასა და გადაგზავნასთან, ხოლო საბოლოოდ ამაზე დამოკიდებული მართვის ხარისხი.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა არის რთული დინამიკური სისტემა. მისი განვითარების „ტრაექტორია“ დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან და გადაწყვეტილებების მიღების მიზნით მოითხოვს ხარისხიან, ობიექტურ, დროულ, საკმარის ინფორმაციას. ესე იგი, ეკონომიკის განვითარების „ტრაექტორიის“ გაანგარიშება ხორციელდება შესაბამისი სოციალურ- ეკონომიკური მონიტორინგის საფუძველზე. მონიტორინგის სამივე კომპონენტი - დაკვირვება, შეფასება და პროგნოზი, მნიშვნელოვანია აუცილებელი ინფორმაციის მოსაპოვებლად. არსებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ახლად მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება.

სხვადასხვა სისტემის მონიტორინგისას, ყუ-

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



რადღებას აქცევენ რამოდენიმე თავისებურებას. პირველი მათგანია- დინამიზმი: ნებისმიერი სისტემა ვითარდება დროში. აუცილებელია უწყვეტი ცვლილებების აღრიცხვა, განვითარების სპეციფიკის გამოვლენა ტენდენციების და კანონზომიერების სახით. მეორე თავისებურებაა- საფრთხეების აღმოჩენა ინფორმაციის შეგროვებისას. მონიტორინგის დროს შესაძლებელია საფრთხეების გაჩენის მექანიზმების პროგნოზი და მათი აღმოფხვრის ხერხები. მესამე თვისებაა - ახალი პროცესების პროგნოზირება არსებული ტენდენციების ექსტრაპოლაციის მეთოდით.

სოციალურ ეკონომიკური მონიტორინგი გულისხმობს ობიექტებზე უწყვეტ დაკვირვებას მათი საქმიანობის ანალიზით ერთის მხრივ, მეორეს მხრივ, საინფორმაციო ქვესისტემათა ერთობლიობას, რომლებიც გაერთიანებულნი არიან საერთო სამიზნე ფუნქციით, აყალიბებენ მმართველობითი საქმიანობის ოპტიმალურ საინფორმაციო უზრუნველყოფას, აქვთ ადაპტაციის უნარი, იძლევიან ყველა იერარქიულ დონეზე არსებული ინფორმაციის გაანალიზების საშუალებას.

ყველა შემთხვევაში, სოციალურ - ეკონომი-

კური მონიტორინგის შედეგი და დანიშნულებაა მმართველობითი ორგანოების უზრუნველყოფა გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელი და ადეკვატური ინფორმაციით.

დასკვნა

თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციების პირობებში საინფორმაციო ტექნოლოგიებს სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ინფორმაციის მოძიება, შენახვა, გადამუშავება და გავრცელება წარმოადგენს მენეჯმენტის და მარკეტინგის განუყრელ ნაწილს. წარმატების მისაღწევად კომპანიები მნიშვნელოვან ფინანსებს ხარჯავენ საინფორმაციო მონიტორინგის განხორციელების საქმეში. ხელოვნური ინტელექტი, კომპიუტერული ქსელები, დისტანციური მუშაობის პრინციპი სულ უფრო და უფრო ცვლის კომპანიის მუშაობის პრინციპებს, ტრადიციული პროფესიების ნაცვლად სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ტანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სპეციალობები. პოსინდუსტრიული საზოგადოება უმნიშვნელოვანეს როლს ანიჭებს ინფორმაციულ, რომელიც პყიდიერად ხდება ახალი ცოდნის წყარო.

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



A STRATEGY FOR OPTIMIZING THE COMPANY'S COSTS AND INCREASING REVENUES

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: May 22, 2023
Published: June 14, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18022023-51



Rusudan Sulakadze
Ph.D Candidate
Tbilisi State University, Georgia
ORCID-ID: <https://orcid.org/0000-0003-0209-5480>
E-mail: rusosulakadze@gmail.com

ABSTRACT

The paper defines the company's strategic goals, which involve achieving the company's financial sustainability and providing safe water supply and sanitation services to the population. In order to achieve the mentioned goals, the main areas of intervention have been identified. The structure of the company's obligations will be reinforced by performance-based agreements signed between the company's management and the Ministry of Regional Development and Infrastructure, as well as the company's head office and regional branches. The main monitoring tools will be clearly defined target indicators that are directly related to the business plan. Thus, a performance-based work culture will be strengthened. The company will approve a systematic strategy and plan for the development of human resources in order to attract, motivate and retrain competent and productive personnel. Work is also actively underway to determine the appropriate form of cooperation with the private sector. The involvement of the private sector ensures the improvement of service level, quality and financial sustainability of the company.

Keywords: Water Supply; Organization and management structure; Private Sector Participation; Operational improvements; Asset Management; Benchmarking; Non-Revenue Water; Energy Efficiency.

REFERENCES:

1. International Infrastructure Management Manual, <https://pdfcoffee.com/international-infrastructure-management-manual-iimm-pdf-free.html>, Last checked – 10.05.2023;
2. Business Plan for UWSCG, ADB Consultant Report, <http://water.gov.ge/page/full/108.L/ch> – 10.05.2023;
3. Activity Report, GEORGIAN NATIONAL ENERGY AND WATER SUPPLY REGULATORY COMMISSION, <https://gnerc.org/files/Annual%20Reports/Reports%20English/Annual%20Report%20-%202021.Eng.pdf>, Last checked – 10.05.2023;
4. Financial Statements 2020-2021, UWSCG, <http://water.gov.ge/page/full/103>, Last checked – 10.05.2023;
5. Water balance of the International Water Association, <https://www.leakssuitelibrary.com/iwa-water-balance/>, Last checked – 10.05.2023;
6. The EBRD's Latest Georgia Strategy, file:///C:/Users/Admin/Downloads/Georgia%20Country%20Strategy%20-%20ENG.pdf, Last checked – 10.05.2023;
7. Public-Private Partnership Handbook, Asian Development Bank, <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/31484/public-private-partnership.pdf>, Last checked – 10.05.2023;



შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ხარჯების ოპტიმიზაციისა და შემოსავლების ზრდის სტრატეგია

რუსუდან სულაკაძე

დოქტორანტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი


ORCID-ID: <https://orcid.org/0000-0003-0209-5480>

ელ. ფოსტა: russosulakadze@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომში განსაზღვრულია კომპანიის სტრატეგიული მიზნები, რაც გულისხმობს კომპანიის ფინანსურ მდგარდობის გაუმჯობესებასა და მოსახლეობისთვის უსაფრთხო წყალმომარაგებისა და წყალარინების სერვისების მიწოდებას. აღნიშნული მიზნების მისაღწევად გამოიკვეთა ინტერვენციის ძირითადი მიმართულებები. კომპანიის სტრუქტურა გაძლიერდება კომპანიის მენეჯმენტსა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე კომპანიის სათავო ოფისსა და რეგიონულ ფილიალებს შორის გაფორმებული შესრულებაზე დაფუძნებული ხელშეკრულებებით. მონიტორინგის ძირითადი ინსტრუმენტები იქნება მკაფიოდ განსაზღვრული სამიზნე ინდიკატორები, რომლებიც პირდაპირ დაუკავშირდება ბიზნეს-გეგმას. ამრიგად, გაუმჯობესდება სამუშაო კულტურა. კომპანია დაამტკიცებს ადამიანური რესურსების განვითარების სისტემატურ სტრატეგიას და გეგმას კომპეტენციური და პროდუქციული კადრების მოზიდვის, მოტივაციისა და ვადამზადების მიზნით. ასევე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა კერძო სექტორთან პარტნიორობის შესაბამისი ფორმის განსაზღვრისათვის, რაც უზრუნველყოფს კომპანიის მომსახურების დონის, ხარისხისა და ფინანსური მდგარდობის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: წყალმომარაგება; ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურა; კერძო სექტორის თანამშრომლობა; ოპერირების გაუმჯობესება; აქტივების მართვა; ბენჩმარკინგი; არაშემოსავლიანი წყალი; ენერგოეფექტურობა.



შესავალი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ შემდგომში UWSCG, არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმო, რომელიც კორპორატიზებულია და ამიტომ უნდა იმართებოდეს ისე, რომ მისი საქმიანობიდან წარმოიშვას მოგება. ამჟამად კომპანია დამოკიდებულია სუბსიდიებზე. მისი შემოსავლები ფარავს საოპერაციო დანახარჯების 60%, რაც მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ კომპანიას აქვს დაბალი საოპერაციო ეფექტურობა, ტექნიკური შესაძლებლობების უკმარისობა და დაბალი ტარიფები.

კომპანიის საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გამოვლინდა ოთხი ძირითადი ინტერვენციის სფერო:

- აღრიცხვაზე წყლის შემცირება, რაც დაბალი შემოსავლის მიზეზია;
- უმრავლესობა აბონენტებზე მაქსიმალურად დასაშვები ტარიფის გამოყენება, რაც ამ დრომდე

კომპანიის მხრიდან არ განხორციელებულა;

- სტრუქტურის გამარტივება სათავო ოფისში სტრატეგიულ მართვაზე, ხოლო რეგიონულ ფილიალებში საოპერაციო მართვაზე აქცენტით;
- ახალი ბიზნეს-გეგმის წარდგენა, რათა „რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა“ და „სემკეთან“ შეთანხმდეს ახალი სატარიფო განაკვეთი.

კომპანიის მიერ შემუშავებულია 10 წლიანი განვითარების გეგმა, რომლის ფარგლებშიც 2021-2030 წლებში განხორციელდება 9.2 მილიარდი ლარის ინვესტიცია. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხორციელების შედეგად 2025 წელს საქართველოს ქალაქების სრულ მოსახლეობას ექნება ხელმისაწვდომობა 24 საათიანი ლიცენზირებულ წყალმომარაგებაზე, ხოლო 2030 წლისთვის ქვეყნის სრულ მოსახლეობას ექნება წვდომა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის წყალმომარაგებასა და წყალარინებაზე.

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



საქართველოს
სტატისტიკის
სამსახური

ხედავ და მისია. წყალმომარაგების კომპანიის ხედვა კავკასიის რეგიონში წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებების ყველაზე რესპექტაბელური მიმწოდებელი გახდეს. წყალმომარაგების კომპანიის მისია გახდეს მომგებლობის სანდოობის გაზრდით, ხელმძღვანელობის გაუმჯობესებითა და ტექნოლოგიური მიღწევების საშუალებით.

კორპორაციული მმართველობა. კომპანიის მართვა მოხდება ეუთოს სახელმწიფო სანარმოების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით მთავრობის სახელმწიფო სანარმოების რეფორმის ფარგლებში. მმართველობის გამოწვევები თავს იჩენს მაშინ, როდესაც კომპანიას უნევს ეკონომიკური საქმიანობებისა და საჯარო საქმიანობის ერთდროული განხორციელება. იმისათვის, რომ 2030 წლისთვის მიღწეული იყოს სტრატეგიული განვითარების მიზნები, წყალმომარაგების კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მომსახურებების მიწოდება სოფლად და არალიცენზირებულ ზონებში.

ეუთოს რეკომენდაციების მიხედვით, როდესაც სახელმწიფო სანარმო აერთიანებს ეკონომიკურ საქმიანობასა და საჯარო პოლიტიკურ მიზნებს საჭიროა ხარჯებისა და შემოსავლების გამჭვირვალობისა და გასაჯაროების მაღალი სტანდარტები. წყალმომარაგების კომპანიის ჩართულობა განიხილება, როგორც მომსახურება, რომლის ანაზღაურებაც მოხდება ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე.

UWSCG-ს მმართველი ორგანოების მოსალოდნელი ცვლილებები. სახელმწიფო სანარმოების სამთავრობო რეფორმით გათვალისწინებული ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესება, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. წყალმომარაგების კომპანიას ეყოლება ახალი სამეთვალყურეო საბჭო სახელმწიფო სანარმოების ახალი კოდექსის ამოქმედების შემდეგ. საბჭოში განეყრინებული იქნება შესაბამისი კომპეტენციის, კვალიფიკაციის, ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეფექტურ ზედამხედველობას.

წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი ანგარიშვალდებული იქნება სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. საჯარო კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი პასუხისმგებლობები იქნება:

- კორპორაციული მიზნების შესახებ დოკუმენტის (SCI) შესაბამისად მოქმედება და კორპორაციული სტრატეგიული გეგმის დამტკიცება ვალდებულებებისა და მუშაობის ძირითადი ინდიკატორების შესრულებისათვის დირექტორისა და

სხვა აღმასრულებლების მიერ კომპანიის სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგი;

- წყალმომარაგების კომპანიის პოლიტიკის შემუშავება;
- წყალმომარაგების კომპანიის დირექტორისა და აღმასრულებლების დანიშვნა/გათავისუფლება მათი ხელფასების დაწესება კომპანიის მფლობელი პირის ანაზღაურების პოლიტიკის შესაბამისად;
- კომპანიის საბუღალტრო და ფინანსური ანგარიშგების სისტემებისა და მათი კანონთან შესაბამისობის კონტროლი;
- კომპანიის მიერ გასასაჯაროებელი ინფორმაციის დამტკიცება და კომუნიკაციების კონტროლი.

შუნდციონირების ანალიზი

ანალიზი აბონენტების მიხედვით. კომერციული აბონენტები 2022 წელს კომპანიის შემოსავლის 66%-ს აგენერირებენ თუმცა, ისინი წარმოადგენენ მთლიანი აბონენტების მხოლოდ 7%-ს. საბაზრო ანალიზისათვის კომერციული აბონენტები დაიყო ქვე-ჯგუფებად: სამთავრობო ორგანოები, სამთომრეწველობა, სასტუმროები კურორტები და სხვა კომერციული დაწესებულებები. სამთომრეწველობაზე მოდის ყველაზე მაღალი შემოსავალი, თუმცა მისი საბაზრო წილი უცვლელია. სასტუმროებსა და კურორტებს მზარდი პოტენციალი აქვთ. ნაერთუდევია, რომ სამთავრობო და კომერციული დაწესებულებებისაგან მიღებული შემოსავალი იგივე დარჩება.

წყალმომარაგების კომპანიის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სტრატეგიული აქცენტის გაკეთება ტურიზმის სფეროებსა და კომერციული აბონენტების შენარჩუნებაზე. არსებული დაბალი ტარიფები საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის დაბალანსებული არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების მაღალი ტარიფით. შედეგად არაერთი არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი განიხილავს მომსახურების შეწყვეტასა და საკუთარი წყაროთი უზრუნველყოფას.


მიმდინარე ტარიფები საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის დაბალია და ვერ ფარავს საოპერაციო საჭიროებებს, მათი წვლილი უარყოფითია. სოფლად UWSCG-ს შემოსავლები არსებითად შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ თუ ტარიფები არ გაიზრდება და საოპერაციო ეფექტურობა არ გაუმჯობესდება.

შედარებითი ანალიზი - სემკეის მიერ შერჩეული ზონების შედარებითი ანალიზი. წყლის საერთაშო-

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



გრაფიკი № 1. მომსახურება (რეიტინგი) „სემეკ“-ის მიერ არჩეული საერთაშორისო ნიშნულის მიხედვით



წყარო: აგებულია ავტორის მიერ „სემეკის“ წლიური ანგარიშის მონაცემებზე დაყრდნობით.

რისო ასოციაციის (IWA) მიერ განსაზღვრული ფუნქციონირების 5 ინდიკატორის საფუძველზე, კერძოდ: წყლის დანაკარგები; მიღების დაზიანება; მინოდების უწყვეტობა; ჩამდინარე წყლების მომსახურების არეალი და გამწმენდი ნაგებობების ხელმისაწვდომობა, „სემეკ“-მა განსაზღვრა და შეაფასა „მომსახურების დონე“ საქართველოს რამდენიმე ქალაქისთვის. ხუთივე ინდიკატორი თანაბრად არის შეფასებული და 100 არის უმაღლესი შესაძლო ქულა. „სემეკის“ რეიტინგის თანახმად, ზუგდიდს აქვს უმაღლესი ქულა, უფრო მაღალი ვიდრე კერძო საკუთრებაში არსებულ თბილისის და რუსთავის სამსახურებს და მუნიციპალიტეტის მიერ მართულ ბათუმის წყალს. ამავდროულად კომპანიის ყველა სხვა კომუნალური მომსახურება შეფასებულია ქვემოთ:

კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომელიც გამოყენებულ იქნა შედარებითი ანალიზის დროს არის ხარჯები. ვარაუდით ეყრდნობა შედგედ დაშვებას, რაც უფრო მაღალია ხარჯები მით უფრო მაღალია ტექნიკური ინფრასტრუქტურის ხარისხი. საოპერაციო ხარჯები და ამორტიზაცია მათ შორის 14% კაპიტალის საშუალო შენონილი ხარჯი (WACC) გამოითვლება ყოველწლიურად საშუალოდ ერთ მომხმარებელზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია საშუალო ხარჯები ერთ აბონენტზე წელიწადში. მითითებული 1 400 ლარი/მომხმარებელი/წელიწადში, წარმოადგენს ევროპულ საშუალო მაჩვენებელს და მიღებულია შეფასების ნიშნულად.

მომდევნო ეტაპზე „სემეკ“-მა კომუნალური მომსახურება დაყო 4 ჯგუფად. საშუალო ქულა განისაზღვრა მომსახურების 61% დონითა და წელიწადში დაახლოებით 323 ლარი დანახარჯით ერთ


მომხმარებელზე. ჯგუფი 1 ფარავს საშუალოზე დაბალ ხარჯებს და საშუალოზე დაბალ მომსახურებას (ყველაზე ცუდი შედეგი). ამ ჯგუფში გაერთიანებულია ხაშური და გორი; ჯგუფი 2 წარმოადგენს მომსახურებას საშუალოზე მაღალი ღირებულებით და საშუალოზე მაღალი მომსახურების დონით (საუკეთესო შედეგი). ჯგუფში გაერთიანებულია ზუგდიდი და ბათუმი; ჯგუფი 3: ხარჯები საშუალოზე დაბალია მომსახურება საშუალოზე მაღალი. ჯგუფში გაერთიანებულია თბილისი და რუსთავი; ჯგუფი 4: ხარჯები საშუალოზე მაღალია და მომსახურება საშუალოზე დაბალი. ჯგუფში გაერთიანებულია: ქიათურა, ოპურეთი, მარნეული, ფოთი, დუშეთი, ქუთაისი, სენაკი.

ანალიზი გვთავაზობს საქართველოში ოპერატორი კომპანიების მუშაობის შედარებას საერთაშორისო სტანდარტთან და უშუალოდ ოპერატორებთან. ვარაუდით იმის შესახებ, რომ მაღალი დანახარჯები განაპირობებს მაღალ ხარისხს უფრო დეტალურად უნდა შეფასდეს. მიუხედავად იმისა, რომ კერძო საკუთრებაში არსებული კომუნალური მომსახურება აჩვენებს აქტივების დაბალ ღირებულებას და მომსახურების მაღალ ხარისხს, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ოპერირების ხარისხს შეუძლია კომპენსაცია გაუნდოს აქტივების მუშაობას. ამ მხრივ საინტეგრაციო მიმოვიხილოთ საოპერაციო და კაპიტალური ხარჯებისათვის გამოყოფილი თანხები და მუშაობის ინდიკატორები დროთა განმავლობაში. კიდევ ერთი დასკვნა არის ის, რომ ინვესტიცია მხოლოდ აქტივებში ავტომატურად არ აუმჯობესებს მუშაობას.

ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურა. UWSCG ცენტრალიზებული სტრუქტურის

1 კაპიტალის საშუალო შენონილი ხარჯი (WACC) - კაპიტალის ხარჯის გამოთვლა, სადაც კაპიტალის თითოეული კატეგორია პროპორციულად არის შენონილი.

გრაფიკი №2. დანახარჯი ერთ მომხმარებელზე წელიწადში (ლარში)



წყარო: აგებულია ავტორის მიერ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მონაცემებზე დაყრდნობით.

მქონე კომპანიაა, გადაწყვეტილებების უმრავლესობას იღებს უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა. იქიდან გამომდინარე, რომ რეგიონული ფილიალები უფრო ახლოს არიან მომხმარებლებთან და მომსახურებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან აუცილებელია, საოპერაციო საქმიანობაში მათი დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა. სათავო ოფისი აქცენტს უნდა აკეთებდეს სტრატეგიულ ამოცანებზე, სანამ რეგიონული ფილიალები საოპერაციო საქმიანობას ეწევა. სათავო ოფისის დეპარტამენტები ზრუნავს საერთო სტრატეგიაზე, ბიზნესის დაგეგმვაზე, ბიუჯეტირებაზე, ადამიანური რესურსების (HR) განვითარებაზე, ადმინისტრირებაზე, კორპორაციული ფინანსებზე, შესყიდვება და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე.

სამინისტროსა და კომპანიის შორის გაფორმებული შეთანხმებით განისაზღვრება კომპანიის მიერ წარსადგენი ინფორმაცია ფინანსური საკითხები თანამშრომლობის წესები უფლებები და მოვალეობები. MRDI-სა და UWSCG-ს შორის გაფორმდება ერთი შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტი.

სამინისტროსა და კომპანიის შორის შეთანხმების შემდეგ სათავო ოფისი რეგიონულ ფილიალებთან გააფორმებს შესრულებაზე დაფუძნებულ ხელშეკრულებებს, რითაც განისაზღვრება შესაბამისი სამიზნე მაჩვენებლები და სტიმულები. ამ შეთანხმების მიზანი უნდა იყოს მომსახურების შესაბამისი სფეროს საოპერაციო ეფექტურობისა და მუშაობის გაუმჯობესება. შეთანხმების მიზანი უნდა იყოს: (i) რეგიონული ფილიალების ხელმძღვანელების ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობის დონის გაზრდა და მათთვის ყოველდღიური საქმიანობის დეველოპინგა (ii) UWSCG-ს საოპერაციო მიზნებთან რეგიონული ფილიალების საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფა და (iii) კორპორა-

ციული ხედვის მისიისა და მიზნის მიღწევა. კერძო სექტორის ჩართულობა. UWSCG-ს მსხვილი ინვესტიციების მიუხედავად, გააჩნია სისტემური ხარვეზები მუშაობის მრავალ ასპექტში. ამჟამად არსებობს პოტენციური გაუმჯობესების სამი კონკრეტული სფერო: (i) ალურიცხავი წყლის შემცირება, კერძოდ კომერციული დანაკარგების შემცირება (ii) უმრცხველო მომხმარებლებისთვის მაქსიმალური დასაშვები ტარიფების გამოყენება და (iii) მუშახელის მასშტაბის შეცვლა. შესაძლებლობები უნდა განვითარდეს, რათა გაუმჯობესდეს საოპერაციო შედეგი და გაიზარდოს ეფექტურობა პერსონალის განვითარებითა და ტრენინგით. ახლად აშენებული წყალარინების გამწმენდი ნაგებობების ოპერირება და ექსპლუატაცია გამოწვევა გახდა გამწმენდების ექსპლუატაციისა და ოპერირების მწირე გამოცდილების გამო. აუცილებელია, შეიქმნას შესაბამისი გამოცდილება წყალარინების გამწმენდი ნაგებობის ოპერირებისა და ექსპლუატაციის კუთხით.

ამ გარემოებებში წყალმომარაგების კომპანიის მუშაობის გასაუმჯობესებლად განიხილება კერძო სექტორის ჩართულობა. კერძო სექტორის ჩართულობის აუცილებლობას თან ახლავს მთავრობის როლის აღქმის ცვლა: გადასვლა ხდება ისტორიულად სახელმწიფოს მიერ მართული განვითარების მოდელიდან კერძო სექტორის მიერ მართული განვითარების მოდელზე. კერძო სექტორის ჩართულობა უზრუნველყოფს საოპერაციო ეფექტურობის ზრდას ნოუ-ჰაუსა და კომპეტენციის გაცვლას ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის ზრდას უფლებამოსილებისა და ფუნქციების რესტრუქტურისაცხასა და გადაწმენილებას შემოსავლების მიღების გასაუმჯობესებლად და ალურიცხავი წყლის მოცულობის შესამცირებლად.

კერძო სექტორის საჯარო სამსახურებში წარ-

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

მატებით ჩართულობას პოლიტიკური ნება და მთავრობის მხარდაჭერა სჭირდება. MRDI და UWSCG აქტიურად მუშაობენ კერძო სექტორის ჩართულობის მდგრადი ფორმების შემუშავებაზე. კერძო პარტნიორ/ოპერატორი უზრუნველყოფს საუკეთესო მმართველობით საოპერაციო და ფინანსური პრაქტიკების დანერგვას და განახორციელებს საჭირო ცვლილებებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური უნარ-ჩვევების დეფიციტის მოკლევადიან პერიოდში შეესაბამება რთული გამოწვევაა. მოკლევადიან პერიოდში ერთადერთი ალტერნატივაა კერძო ოპერატორებთან თანამშრომლობა.

ადამიანური რესურსების განვითარების გეგმა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის ამაჟამინდელი დონე უნდა გადაიხედოს, როგორც თანამშრომელთა საერთო რაოდენობის შემცირების ასევე კვალიფიციური თანამშრომლების სწორი განვითარების თვალსაზრისით. კომპანიას 2022 წლის მონაცემებით ჰყავდა 3 021 თანამშრომელი. სერვის ცენტრის დონეზე საჭირო რაოდენობის პერსონალის გამოსათვლელად გამოყენებულ უნდა იქნას პერსონალის სტანდარტული მოდელი, რომელიც ეფუძნება აქტივებს სექტორს აბონენტების რაოდენობას უსაფრთხოების მოთხოვნებსა და მომსახურების ხარისხს. ამგვარი გამოთვლები ინარჩუნება რეგულარულად და გადაისინჯება ადამიანური რესურსების მართვის გეგმის მიხედვით კომპანიის ადამიანური რესურსების კომიტეტისა და სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად.

პერსონალის ტრენინგი. ოპერატორი კომპანიის წარმატებული მუშაობის აუცილებელი წინაპირობაა კარგად დატრენინგებული პერსონალი. საკმაოდ ხშირად შეზღუდული რესურსების გამო მაღალი რგოლის თანამდებობებზე ინიშნება ნაკლები კვალიფიკაციის მქონე პირი ამგვარად კი საფრთხე ექმნება პროგრამების ეფექტურ განხორციელებას. კომპანიის ცვლილების პროცესში არსებით როლს ითამაშებს ადამიანური რესურსების ეფექტური განვითარება და მართვა. ამ პროცესში ერთ-ერთი მთავარი თემაა კომპანიის მრავალწლიანი სტრატეგიასთან თანხვედრაში მყოფი საშტატო განრიგების შემუშავება და დანერგვა. საშტატო განრიგი განსაზღვრავს UWSCG-ს პერსონალის აუცილებელ შემადგენლობას ზომასა და სტრუქტურას. კარგი საშტატო განრიგი ითვალისწინებს და ასახავს კომპანიისათვის არსებულ ადამიანურ რესურსებს, არაპირდაპირი საქმიანობის აუთსორსინგს, ახალი ციფრული და ტექნოლოგიური გადაწყვეტების და-

ნერგვას და შრომის პროდუქტიულობის გაზრდას სწავლების და განვითარების გზით.

საოპერაციო საქმიანობის გაუმჯობესება. აქტივების მართვა. UWSCG-ში ინფრასტრუქტურული აქტივების მართვის (IAM) ამაჟამინდელი პრაქტიკა ხასიათდება შემდეგნაირად:

- ჯერ არ არსებობს ინფრასტრუქტურული აქტივების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ადგენს კომპანიის პრიორიტეტებს და ამოცანებს და აჩვენებს მაღალი რგოლის ხელმძღვანელობის ვალდებულებას გააუმჯობესოს ოპერირების პრაქტიკები;
- არ არსებობს ინფრასტრუქტურის შექმნის გამოყენების და განკარგვის გრძელვადიანი სტრატეგია;
- მოვლა-შენახვის პრაქტიკა უფრო მეტად ემყარება პრობლემებზე რეაგირებას და არაა გეგმარებასა და პროფილაქტიკას;
- არ არის საკმარისი დაფინანსება მოვლა-შენახვის მნიშვნელოვანი საჭიროებებისათვის.

ინფრასტრუქტურული აქტივების მართვის სა-რგებელი კარგად ცნობილი და ფართოდ აღიარებულია.¹ ამ საგებლის აღიარებით ხელმძღვანელობას სურს მიიღოს და დანერგოს ისეთი პრაქტიკები და სისტემები, რაც გაზრდის აქტივების ექსპლუატაციის ვადას და უკუგებას ინვესტიციებზე. ასევე ცნობილია, რომ ეს არის ოპერირების სფერო, სადაც ინვესტიცია არ ჩადებულა. კომპანიის ინფრასტრუქტურული აქტივების პორტფელი საკმაოდ ვრცელია და მდებარეობს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. მონყობილი ინფრასტრუქტურა მათ შორის შენობები მილადენები ელექტრომექანიკური აღჭურვილობა და ტექნიკური ნაგებობები ტიპურია წყლის ოპერატორი კომპანიებისათვის. აქტივების ტიპების ამგვარი მრავალფეროვნება მოითხოვს კვალიფიციურ პერსონალს და აქტივების მართვის სისტემებს, რომლებიც მორგებულია აქტივების მოსალოდნელ საექსპლუატაციო მახასიათებლებსა და ცვათავზე. ამჟამად ინფრასტრუქტურული აქტივების ყველაზე რუსულყოფილი მონაცემები ინახება კომპანიის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების (GIS) სამსახურში.

UWSCG მოამზადებდა ინფრასტრუქტურული აქტივების მართვის პოლიტიკას. აღნიშნულ პოლიტიკაში მოცემული იქნება კომპანიის პრიორიტეტები და ხელმძღვანელობის ვალდებულება დანერგოს აქტივების მართვის გაუმჯობესებული პრაქტიკები და იყოლიოს შესაბამისი პერსონალი. ამის შემდეგ უნდა შეიქმნას აქტივების მართვის

1 E.g. ISO 55000 – ISO 24516 (1-4), International Infrastructure Management Manual.



ახალი განყოფილება (დეპარტამენტი) კომპანიის ახალი სტრუქტურის ფარგლებში. აქტივების მართვის სამსახური განახლებს დამონტაჟებული ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციას.¹

ალურიცხავი წყალი. UWSCG-ს წყლის სისტემის გათვალისწინებით ალურიცხავი ყველა მოცულობა დაახლოებით 75 % შეადგენს. ეს უდრის 248 მლნ მ³ წელიწადში. ზარალის ეს დონე ძალიან მაღალია საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით. ამგვარად ამ დანაკარგების/ზარალის (ხილული თუ რეალური) ბუნების გასაგებად და პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა დაუყოვნებლივ ჩარევა. კომპანია შექმნის პროფესიონალთა გუნდს, რათა შეფასდეს წყლის დანაკარგების არსებული დონე და დანაკარგების შემცირების ეკონომიკურად ყველაზე მისაღები გზები ალურიცხავი წყლის შემცირებისათვის 47%-მდე 2025 წლისათვის. ამ მიზნით სათავე ოფისსა და რეგიონულ ფილიალებში შეიქმნება გუნდები, რომლებიც განსაზღვრავს ალურიცხავი წყლის შემცირების სპეციფიკურ და რეალურ მიზნებსა და ამოცანებს. სამიზნეების დადგენის შემდეგ ალურიცხავი წყლის მართვის გუნდები ყურადღებას დაუთმობს განსაზღვრული პრიორიტეტული სექტორებისათვის „წყლის ბალანსის“ შემუშავებას.² წყლის ბალანსით განსაზღვრული ანალიტიკური ჩარჩო საფუძვლად დაედება მონაცემების შეგროვებას საჭირო ანალიზს და რაც მთავარია დანაკარგების ხასიათის დადგენასა და კომპანიის ზარალის შეფასებას. ამის საფუძველზე ხელმძღვანელობა გადაწყვეტს ალურიცხავი წყლის შემცირებისათვის საჭირო აქტივობებსა და ინვესტიციებს.

კომპანიის სამოქმედო არეალის გათვალისწინებით შეუძლებელი იქნება ყველა სექტორის/სისტემის გათვალისწინება მოკლევადიან პერსპექტივაში. შესაბამისად პრიორიტეტი მიენიჭება იმ სისტემებს სადაც (1) დანაკარგები არის ყველაზე დიდი; (2) პოტენციური დანაზოგები არის ყველაზე დიდი; (3) დანაკარგების შემცირებას სჭირდება ყველაზე ნაკლები ძალისხმევა.

ენერგოეფექტურობა. UWSCG-ს 2022 წლის საორიენტაციო ხარჯების 21%-ს წარმოადგენს ელექტროენერჯის ხარჯს. ამჟამად კომპანია არ არის ორიენტირებული ენერგოეფექტურობაზე, თუმცა განსაზღვრულია, რომ ენერგოეფექტურობა იქნება

ინფრასტრუქტურის აქტივების მართვის დეპარტამენტის პასუხისმგებლობის ნაწილი. ელექტროენერჯის მოხმარება შეიძლება დაიზოგოს ალურიცხავი წყლის შემცირებით. ალურიცხავი წყლის შემცირების აქვს უფრო მაღალი პოტენციალი შეამციროს მიმდინარე ენერჯის მოხმარება, ვიდრე ტუმბოებისა და ელექტროძრავების ეფექტურობის გაუმჯობესებას. აღნიშნული დადებითად აისახება კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე. წყლის დანაკარგების და ენერჯის მოხმარების შემცირების მიზნობრივ ზომებს შეიძლება მნიშვნელოვანი ფინანსური ეფექტი ჰქონდეს. ტიპური ჩარევები, რომლებიც ინვესტ ენერჯის დაზოგვას არის შემდეგი: (1) ცუდად მომუშავე ტუმბოების ჩანაცვლება ან რეაბილიტაცია; (2) უფრო თანამედროვე და ეფექტური ტუმბოების და/ან ძრავების მონტაჟი; (3) სისხირული მართვა; (4) ტუმბოს თვალის შესაბამისი მონყობა; (5) ტუმბოს მუშაობის პარამეტრების ცვლილება (როდესაც ტუმბოები პარალელურად მუშაობს).

აბონენტების მომსახურება-გამრიცხველი-ანება და ბილინგი. მრიცხველების წაკითხვის ბილინგის და შემოსავლების მიღების არსებული პროცედურები მოძველებული და არაეფექტიანია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემოსავლების მაჩვენებლის სიმცირეზე. რამდენიმე სერვის ცენტრში დამონტაჟდა ახალი ტექნოლოგიის მრიცხველები, რაც გულსხმობს მრიცხველის ჩვენებების ავტომატურად მიღებას, რამაც არსებითად გააუმჯობესა პროცესი. დაგეგმილია აღნიშნული სისტემის გავრცელება კომპანიის მასშტაბით, რაც სხვა საოპერაციო ღონისძიებებთან ერთად შეამცირებს მრიცხველის ჩვენების წაკითხვის ინტენსივობას.

აბონენტების მომსახურების გეგმა. კომპანიის არასაკოფაცხოვრებო მომხმარებლები სრულად გამრიცხველიანებულია, ხოლო საყოფაცხოვრებო მომხმარებლების დაახლოებით 1/3 გაუმრიცხველიანებულია და მათთვის დარიცხვა ხორციელდება მაცივრებების სულადობის მიხედვით.³ კომპანია უნდა დარწმუნდეს, რომ ბილინგში სწორი მონაცემებია და აბონენტი იხდის დროულად ბილინგსა და თანხების ამოღების შეცდომები ინვესტ მომსახურების დონის დაქვეითებასა და შემოსავლების შემცირებას.

1 ინფრასტრუქტურული აქტივების სანდო რეგისტრის (IAR) შექმნა არის ტექნიკურ და ფინანსურ სფეროებში კარგი პრაქტიკის დანერგვისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. კარგი პრაქტიკის დანერგვა იწყება აქტივების იერარქიის და ატრიბუტების განსაზღვრით.

2 წყლის საერთაშორისო ასოციაციის წყლის ბალანსი: <https://www.leakssuitelibrary.com/iwa-water-balance/>

3 კომპანიის მონაცემებით, ერთი გაუმრიცხველიანებული აბონენტი მოიცავს საშუალოდ 2.54 ადამიანს, ხოლო საქსტატის მონაცემებით, ერთ ოჯახში ცხოვრობს საშუალოდ 3.27 ადამიანი.



დასკვნა და რეკომენდაციები

ნაშრომში განსახილველია კომპანიის სტრატეგიული მიზნები, რომლებიც კომპანიის ფინანსური მდგრადობის მიღწევასა და მოსახლეობის უსაფრთხო წყალმომარაგებისა და სანიტარული მომსახურების მიწოდებას გულისხმობს. აღნიშნული მიზნების მისაღწევად იდენტიფიცირებულია ინსტრუმენტული ძირითადი სფეროები. კომპანიის მხრიდან ცალდებულებების შესრულების სტრუქტურა გამყარდება შესრულებაზე დაფუძნებული შეთანხმებებით, რომლებიც გაფორმდება კომპანიის ხელმძღვანელობასა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე, კომპანიის სათავო ოფისსა და რეგიონულ ფილიალებს შორის. მონიტორინგის ძირითადი ინსტრუმენტები იქნება მკაფიოდ განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ბიზნეს-გეგმასთან. ამგვარად, გაძლიერდება შესრულებაზე დაფუძნებული სამუშაო კულტურა. კომპანია დაამტკიცებს ადამიანური რესურსების განვითარების სისტემურ სტრატეგიასა და გეგმას რათა მოიზიდოს, მოტივაცია აუმაღლოს, გადაამზადოს კომპეტენტური და პროდუქტიული პერსონალი. შეიცვლება და განახლდება კომპანიის სტრუქტურა:

- რეგიონული ფილიალები გაძლიერდება და მათ გადაეცემა გადაწყვეტილების მიღების გავრდილი უფლებები რათა მათ გააუმჯობესონ აბონენტებთან ურთიერთობების სამსახურები და უზრუნველყონ მუნიციპალიტეტებთან ეფექტური კოორდინაცია;
- კომპანიისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი დარჩება საოპერაციო ეფექტურობის გაზრდა, ხარჯების ამოღებისა და შემოსავლების მიღების გაუმჯობესება, მომსახურების მიწოდების ანგარიშვალდებულების დონის გაზრდა ფინანსურად მომგებიანი ოპერაციების შედეგად და მომსახურების ხარისხის უმაღლეს დონემდე აყვანა;
- ეფექტურობის გაუმჯობესების კუთხით ძირითადი აქცენტი გაკეთდება ალურიცხავი წყლის შემცირებაზე. ამაში იგულისხმება კომერციული

დანაკარგების შემოსავლების მიღების გაუმჯობესება ფიზიკური დანაკარგების (გაფონებები) შემცირება და აბონენტების გამრიცხველიანება;

ასევე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა იმისათვის, რომ განისაზღვროს კერძო სექტორთან თანამშრომლობის მიზანშეწონილი ფორმა, კერძო სექტორის ჩართულობა უზრუნველყოფს: მომსახურების დონისა და ხარისხის გაუმჯობესებას; კომპანიის ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებას, დარიცხვებისა და ამოღებების გაუმჯობესებით, ალურიცხავი წყლის შემცირებით, პერსონალის პროდუქტიულობის გაუმჯობესებით, რესურსების გამოყენების ეფექტურობის გაზრდით; ცოდნის გაზიარებას, უნარ-ჩვევების გამოუმუშავებას, კერძოდ წყალარინების გამწმენდების ოპერირების კუთხით; ახალი ტექნოლოგიების დანერგვას; ცვლილებების განმახორციელებელი სტრუქტურის არსებობა, რათა გატარდეს საჭირო ინსტიტუციური და სტრუქტურული რეფორმები. დანაკარგების სიდიდე უმთავრესად ორი ფაქტორითაა გამოწვეული: კომერციული და ტექნიკური დანაკარგები. ტექნიკური წყლის დანაკარგები დაკავშირებულია მოუწყობელ ინფრასტრუქტურასთან, რაზედაც მიმდინარეობს მასშტაბური საინვესტიციო პროექტები. კომერციული დანაკარგები კი დაკავშირებულია გაუმრიცხველიანობასთან. გამრიცხველიანების შემთხვევაში მცირდება წყლის დანაკარგები და ელექტროენერჯის ხარჯი. ენერგოეფექტურობა კი იძლევა ხარჯების ოპტიმიზაციის შესაძლებლობას.

იმისათვის, რომ კომპანიის საქმიანობა ეფექტური იყოს წყალმომარაგებით უზრუნველყოფის თავისებურებიდან გამომდინარე მრავალი ასპექტია გასათვალისწინებელი. სახელმწიფოს სტრატეგიაში გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად საჭიროა მასშტაბური საინვესტიციო პროექტების განხორციელება. იმისათვის, რომ პროექტების განხორციელდეს საჭიროა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსის მოძიება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან. დაფინანსების მოძიებისთვის კომპანია მუდმივად მოიპოვოს და შეინარჩუნოს ფინანსური მდგრადობა.

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

SIMILARITIES AND DIFFERENCES OF THE STRATEGIC PLANNING PROCESS IN THE MANAGEMENT OF PRIVATE AND PUBLIC ORGANIZATIONS

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: June 12, 2023
Published: June 25, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18022023-59



Jintchvelashvili Vakhtangi

PHD student of Georgian Technical University,
ORCID-ID: <https://orcid.org/0009-0007-8280-5898>
E.Mail: jinvato@gmail.com

ABSTRACT

Strategic planning is a process that involves defining an organization's direction, setting goals, and developing strategies to achieve those goals. It is an important process for any organization, as it helps to guide decision-making, allocate resources effectively, and ensure that all activities are aligned with the organization's mission and vision. Strategic planning is a crucial process for both public and private organizations, as it helps them to set goals, prioritize activities, allocate resources, and align their efforts with their mission and vision. While there are some differences between public and private organizations in terms of their goals, stakeholders, and decision-making processes, there are also many similarities in how they approach strategic planning.

It is a misconception that only large and multinational corporations need strategic planning. It is important to note that strategic planning is crucial for both private and public organizations. It also plays an important role in small business concepts.

Keywords: strategic planning, public and private organizations.

REFERENCES:

1. Neely, A. (2002). Business performance measurement: theory and practice. London: Cambridge University Press;
2. Watson, G. (2007). Strategic benchmarking reloaded with six sigma: improve your company's performance using global best practice. New Jersey: John Wiley and Sons;
3. Center for Management and Organization Effectiveness. (2010). Strategic Planning is for Small Businesses Too-Part 1;
4. Thompson, A., & Strickland, A. (1996). Strategic Management: Concepts & Cases;
5. Mastering Strategic Management. (2016, January 18). Open Textbooks for Hong Kong;
6. Mavrina I. N., Strategic management, Yekaterinburg, "Urfu" 2014;
7. Baratashvili, E., Bakashvili, N., Faresashvili, N., Gechbaya, B., & Meskhishvili, D. (2011). Modern business strategies. Tbilisi: "Universal";
8. Khoshtaria, T. (2018). The influence of business strategy on the results of enterprise activity in Georgia. Tbilisi: TSU;



სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მსგავსებები და განსხვავებები კერძო და საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტში

ვახტანგ ჯინჭელაშვილი


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ORCID-ID: <https://orcid.org/0009-0007-8280-5898>

ელ. ფოსტა- jinvato@gmail.com

აბსტრაქტი

სტრატეგიული დაგეგმვა ეს არის ორგანიზაციის შიგნით გადამწყვეტილების მიღების პროცესი. ის შეიძლება განისაზღვროს, როგორც შემუშავებული პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზაციის ლიდერების მხარდაჭერას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე ოპერაციების მეთოდების, მიზნებისა და ამოცანების თვალსაზრისით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტრატეგიული დაგეგმვა შეიძლება განისაზღვროს, როგორც მენეჯმენტის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება იმისათვის, რომ ორგანიზაცია შეძლოს პროდუქტიულად და ეფექტიანად იმუშაოს თავისი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. **საკვანძო სიტყვები:** სტრატეგიული დაგეგმვარება, საჯარო და კერძო ორგანიზაციები.



შესავალი

ბიზნესის ოპერაციების მართვის პროცესს მოიხსენიებენ, როგორც სტრატეგიულს, რადგან ის გულისხმობს იმას, თუ როგორ რეაგირებს ბიზნეს ორგანიზაცია იმ გარემოებებზე, რომლებიც წარმოიქმნება დინამიური და სულაც მტრულ ბიზნეს გარემოში.

მცდარი შეხედულება იმის შესახებ, რომ სტრატეგიული დაგეგმვა სჭირდება მხოლოდ მსხვილ და მულტინაციონალურ კორპორაციებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტრატეგიულ დაგეგმვას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა როგორც კეო ასევე საჯარო ტიპის ორგანიზაციებს. ის ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მცირე ბიზნესის კონცეფციებში.

მცირე ბიზნესის ორგანიზაციები უფრო მეტად საჭიროებენ სტრატეგიული აზროვნებისა და ქმედებებისადმი ერთგულებას, ვიდრე მსხვილი ბიზნეს სუბიექტები. სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელების პროცესში, მცირე ორგანიზაციები ემზადებიან მომავალი ბიზნეს გამოწვევების გადასალახავად, რადგან ისინი რჩებიან კონცენტრირებულნი თავიანთი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე.

ძირითადი ტემისტი

სტრატეგიული დაგეგმვა ხუთ ნაბიჯში ამზადებს მცირე ბიზნესს მომავალთან გამკლავებისთვის. პირველი ნაბიჯი გამოიხატება შემდეგში - ფირმა განჭვრეტს როგორც პოტენციურ შესაძ-

ლებლობებს, ასევე საფრთხეებს, რათა შეიმუშავოს საკუთარი ხედვა და მისია. მეორე ნაბიჯი არის ის, რომ მცირე ბიზნესი იღებენ გადამწყვეტილებებს, თუ როგორ შეუძლიათ უკეთესად უპასუხოთ პოტენციურ ბიზნეს შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, რომლებსაც ისინი ნაწყვეტიან.

მესამე ნაბიჯი გულისხმობს ფირმის მხრიდან რესურსების გამოყოფას შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე საპასუხოდ. მეოთხე ნაბიჯი გულისხმობს შესაძლებლობის სიცოცხლისუნარიანობისა და რისკის წარმოშობის ალბათობის შემოწმებას. ბოლო ნაბიჯი მოითხოვს ზომების მიღებას პოტენციური საფრთხის შემსუბუქების ან არსებული შესაძლებლობების გამოყენების მიზნით (Center for Management and Organization Effectiveness, 2010).

სტრატეგიული დაგეგმვის შესრულებისას მნიშვნელოვანია ბიზნესის წარსული საქმიანობის, მიმდინარე და პროგნოზირებული ან მოსალოდნელი სამომავლო საქმიანობის მიმოხილვა. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ საიდან მოვიდა ორგანიზაცია (შექმნის ისტორია), სად არიან ისინი ახლა (ანწყო) და სად უნდა წავიდნენ (Neely, 2002).

სტრატეგიული დაგეგმვა ორგანიზაციის მუშაობის პროგრესს ემსახურება. კავშირი სტრატეგიულ დაგეგმვასა და ორგანიზაციების საქმიანობას შორის იყო სტრატეგიული მენეჯმენტის მიმართ ინტერესების გაღრმავების საფუძველი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტრატეგიული დაგეგ-

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



მეა არის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიან გეგმას ორგანიზაციის მიზნების და ხედვების გასატარებლად.

ამას გარდა, სტრატეგიული დაგეგმვას თან ახლავს გეგმის იმის შესახებ, თუ როგორ იქნება მიღწეული ორგანიზაციის დასახული მიზნები. ის ასევე მოიცავს მონიტორინგის მექანიზმებს, რომელიც გზა და გზა აკვირდებიან პროცესს, რომელიც შესაძლებელია დაკორექტირდეს საჭიროებისამებრ (Watson, 2007).

ფორმალური დაგეგმვის პროცესი აიძულებს ჩართულ პირებს გამოავლინონ იდეები, რომლებიც აუცილებელია ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანებისკენ სწრაფვისთვის (Watson, 2007).

სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელოვნება ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლების კუთხით მყარდება არაერთი ჩატარებული კვლევის, რომელიც ნათელს ჰყვანს იმ გარემოებას, რომ რაც უფრო მკაცრად განერილია სტრატეგიული გეგმა, მით მაღალია ორგანიზაციის ეფექტიანობა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული დასკვნა შეიძლება გამყენებული იქნას როგორც მცირე ბიზნესისთვის ასევე სხვა ტიპის, მათ შორის საჯარო ორგანიზაციებისთვის (Watson, 2007).

თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ფორმულირება და დანერგვა არ არის თავისთავადი პანაცია. უფრო მთავარია გეგმის განხორციელება. სტრატეგიული გეგმის შეუსრულებლობა შესაძლოა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი არაპროდუქტიული გახადოს, რაც ეგზისტენციალური საკითხია ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციისთვის.

რამდენადაც სტრატეგიულ დაგეგმვას ბევრი სარგებელი მოაქვს ორგანიზაციებისთვის, უნდა ითქვას, რომ ეს არის პროცესი, რომელსაც აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც. სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებული ერთ-ერთი პრობლემა არის ის, რომ ის ფინანსურად საკმაოდ ძვირი მომსახურებაა, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის შემთხვევაში. პროცესი შეიძლება მოითხოვდეს სტრატეგიულ დაგეგმვის კონსულტანტების დაქირავებას, რომლებიც როგორც წესი საკმაოდ მაღალ დანახარჯებთან ასოცირდება.

სტრატეგიული დაგეგმვა არის პროცესი, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის მიმართულების განსაზღვრას, მიზნების დასახვას და ამ მიზნების მისაღწევად სტრატეგიების შემუშავებას. ეს მნიშვნელოვანი პროცესია ნებისმიერი ორგანიზაციისთვის, ვინაიდან ასრულებს გზამკვლევის ფუნქციას გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც გამოიხატება რესურსების ეფექტურად განაწილებაში და უზრუნველყოფს, რომ ყველა აქტივობა შესაბამისობაში იყოს ორგანიზაციის მისიასა და ხედვას.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი, რომელიც მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

- ორგანიზაციის მისიისა და ხედვის განსაზღვრა: რომელიც მოიცავს ორგანიზაციის მოკვლევადიან და გრძელვადიან მიზნების ჩამოყალიბებას.

- სიტუაციური ანალიზის ჩატარება: რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობებისა და საფრთხეების შეფასებას (SWOT ანალიზი) ფოკუსირებული სფეროების გამოსავლენად.

- სტრატეგიული მიზნების დასახვა: რომელიც გულისხმობს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, შესაბამისი და დროში შეზღუდული (SMART) მიზნების ჩამოყალიბებას, რაც დაეხმარება ორგანიზაციას თავისი მისიისა და ხედვის მიღწევაში.

- სტრატეგიების შემუშავება: რომელიც გულისხმობს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად საჭირო ქმედებებისა და ნაბიჯების იდენტიფიცირებას.

- რესურსების განაწილება: რომელიც გულისხმობს სტრატეგიების განსახორციელებლად საჭირო რესურსების განსაზღვრას და მათი გამოყენების პრიორიტეტიზაციას.

- შესრულების მონიტორინგი და შეფასება: რომელიც გულისხმობს პროგრესის გაზომვას სტრატეგიული მიზნებისკენ სვლის პროცესში, გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირებას და საჭიროებისამებრ სტრატეგიების კორექტირებას.

სტრატეგიული დაგეგმვა მნიშვნელოვანია ნებისმიერი ორგანიზაციისთვის, რადგან ის იძლევა მკაცრი მიმართულებასა და მიზანს, ეხმარება აქტივობების პრიორიტეტულობას და რესურსების ეფექტურად განაწილებას და უზრუნველყოფს, რომ ყველა აქტივობა შესაბამისობაში იყოს ორგანიზაციის მისიასა და ხედვას. სტრატეგიული დაგეგმვა გულისხმობს გადაწყვეტილებებში, მოერგონ თავიანთ გარემოში არსებულ ცვლილებებს და მიიღონ დასახული მიზნებს უფრო ეფექტიანად და პროდუქტიულად.

სტრატეგიული დაგეგმვა გადამწყვეტი პროცესია როგორც საჯარო, ისე კერძო ორგანიზაციებისთვის, რადგან ის ეხმარება ორგანიზაციებს მიზნების დასახვაში, მათ პრიორიტეტიზაციაში, რესურსების განაწილებაში და მისიასა და ხედვის შესაბამისობაში მოყვანაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული განსხვავებები მიზნების, დანიერესებული მხარეების და გადაწყვეტილების მიღების პროცესების ნაწილში, შესაძლებელია გამოკვეთოთ საჯარო და კერძო ორგანიზაციებს

შორის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მსგავსებები.

1. მიზნების დასახვა: როგორც საჯარო, ისე კერძო ორგანიზაციებმა უნდა დასახონ მკაფიო და გაზომვადი მიზნები, რომლებიც შეესაბამება მათ მისიას და ხედვას.

2. რესურსების განაწილება: ორგანიზაციებმა უნდა განაწილონ რესურსები თავიანთი მიზნების მისაღწევად. რაც გულისხმობს საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას, როგორცაა დაფინანსება, პერსონალი, აღჭურვილობა, ტექნოლოგია და მათი გამოყენების პრიორიტეტულობა ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად.

3. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა: აღნიშნული ეტაპი მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რათა ორგანიზაციებმა გაიგონ მათი საჭიროებები, მოლოდინები და საზრუნავი. იგულისხმება კომუნიკაცია, თანამშრომლობა და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის დამყარება, რათა უზრუნველყოფილი იქნას ორგანიზაციის მიზნები მათი ინტერესებთან შესაბამისობა.

4. მონიტორინგი და შეფასება: როგორც საჯარო, ისე კერძო ორგანიზაციებმა უნდა აკონტროლონ და შეაფასონ თავიანთი საქმიანობა, რათა უზრუნველყოთ თავიანთი მიზნების ეფექტურად მიღწევა. აღნიშნული ეტაპი მოიცავს, მათ შორის, მონაცემთა შეგროვებას და შედეგების ანალიზის გაუმჯობესების სფეროს იდენტიფიცირებას და სტრატეგიების შესაბამისად მორგებას.

მთლიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს გარკვეული განსხვავებები სტრატეგიული დაგეგმვის სპეციფიკურ მიდგომებში საჯარო და კერძო ორგანიზაციებში, ფუნდამენტური პრინციპები და პროცესები მსგავსია. მათი სტრატეგიების ეფექტურად დაგეგმვითა და განხორციელებით, ორივე ტიპის ორგანიზაციის შეუძლიათ მიაღწიონ მიზნებს და შეასრულონ თავიანთი მისია და ხედვა.

რაც შეეხება განსხვავებებს არსებობს რამდენიმე ძირითადი განსხვავება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესებს შორის ამ ორი ტიპის ორგანიზაციაში (კერძო და საჯარო სექტორი).

ერთ-ერთი მთავარი განსხვავება არის დაგეგმვის აქტუალობა. საჯარო ორგანიზაციებში სტრატეგიული დაგეგმვა უფრო მეტად არის ორიენტირებული საზოგადოების საჭიროებებზე და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე. დაგეგმვის პროცესი შეიძლება მოიცავდეს დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს, მათ შორის მოქალაქეებს, არჩეულ თანამდებობის პირებს და სათემო ორგანიზაციებს. სტრატეგიული გეგმა ასევე შეიძლება უფრო მეტად იყოს

ორიენტირებული კონკრეტული სოციალური ან გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევაზე, როგორცაა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესება ან ნახშირბადის ემისიების შემცირება.

ამის საპირისპიროდ, კერძო ორგანიზაციებში სტრატეგიული დაგეგმვა, როგორც წესი, უფრო მეტად ორიენტირებულია ფინანსური და საბაზრო მიზნების მიღწევაზე. სტრატეგიული გეგმა ასევე შეიძლება იყოს უფრო მეტად ორიენტირებული კონკრეტული ბიზნეს მიზნების მიღწევაზე, როგორცაა ბაზრის წილის გაზრდა ან ახალ ბაზრებზე გაფართოება.

კიდევ ერთი განსხვავება არის პასუხისმგებლობის დონე. საჯარო ორგანიზაციები, როგორც წესი, ექვემდებარებიან უფრო მაღალ დონის საჯარო შემონეშებას ან ანგარიშვალდებულებას, ვიდრე კერძო ორგანიზაციები. შედეგად, სტრატეგიული დაგეგმვა საჯარო ორგანიზაციებში შეიძლება მოიცავდეს უფრო მეტ გამჭვირვალობას და შესაძლებლობებს საზოგადოების წვლილისა და გამოხმაურებისთვის. და ბოლოს, ბიუჯეტისა და რესურსების განაწილების პროცესი შეიძლება განსხვავდებოდეს საჯარო და კერძო ორგანიზაციებს შორის. საჯარო ორგანიზაციებში ბიუჯეტი შეიძლება დაექვემდებაროს უფრო მეტ შემოწმებას და ზედამხედველობას და შეიძლება საჭირო გახდეს არჩეული თანამდებობის პირების ან სხვა მმართველი ორგანოების მიერ დამტკიცება. მეორეს მხრივ, კერძო ორგანიზაციებს შეიძლება აქონდეთ მეტი მოქნილობა რესურსების განაწილებაში მათი სტრატეგიული პრიორიტეტებიდან გამომდინარე.

დასკვნა

მთლიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რამდენიმე ძირითადი განსხვავება სტრატეგიულ დაგეგმვას შორის საჯარო და კერძო ორგანიზაციებში, ორივე პროცესი მოიცავს მიზნების დასახვას, პრიორიტეტების განსაზღვრას რესურსების გამოყოფას ამ მიზნების მისაღწევად.

საბოლოო ჯამში კი, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სტრატეგიული დაგეგმვა ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე პროცესია. მნიშვნელოვანია ხაზგასმით ითქვას, რომ გარემოში არსებული ცვლილებების ფონზე სტრატეგიული გეგმაც განიცდის ევოლუციას და კორექტირდება გარემოში არსებული ცვლილებებზე საპასუხოდ. მთავარი ფაქტორი, რის გამოც ორგანიზაციები აღნიშნულ პროცესზე ყურადღებას ამახვილებენ, არის მიზანი, რომლის მიღწევა რთული და/ან ზოგჯერ შეუძლებელიც კი არის სტრატეგიული გეგმის გარეშე.



REVIVAL OF PAN-TURKISM AND PROTECTION OF REPUBLICAN PRINCIPLES IN TURKEY

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: June 6, 2022
Published: June 21, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18022023-63



Tamar Devidze

PhD Student in Political Science;
Caucasus International University

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0006-2131-385X>
devidze_tamar@yahoo.com



Marekh Devidze

PhD Student in Conflict Analysis and
Management; Tbilisi State University

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0004-1942-8688>
e-mail: msdevidze@gmail.com

ABSTRACT

The defeat and disintegration of the Ottoman Empire in the First World War led to the discrediting of the main political ideologies that were powerful in the last years of the empire's existence. Ottomanism lost its purpose, neither Pan-Islamism nor Pan-Turkism could preserve the empire. Their struggle to maintain the empire ended in failure. At the same time, the defeat experienced in the war deprived the Ottoman Empire of its main foreign ally in the form of Germany.

The struggle for the country's independence, led by Mustafa Kemal, gained great support among the population. Of course, this was due to the appeal to patriotism - protecting the homeland from invaders was the main goal, and therefore it is not surprising that in 1923, when the Republic of Turkey was established, with the great efforts of Mustafa Kemal, a new concept of nationalism began to take root in the country.

It is a well-known fact that ideologies cannot disappear on the basis of any decree, therefore, the ideas of the "Young Turks" and their era were transferred to the new republic. Therefore, elements of Turkism and Pan-Turkism were transferred to the new ideology. The nationalism conceived by Mustafa Kemal naturally acquired a different orientation, it became the doctrine of the new republic, but within a certain framework, and this framework was the principles characteristic of republican states. These principles were the framework of all the currents that existed in Turkey. In 1921, during the War of Independence, Mustafa Kemal, speaking in Eskişehir, said: "Neither the Islamic Union nor Turanism can create a doctrine or a logical policy for us, because the official policy of the new Turkey is to live independently, to rely on Turkey's own sovereignty, within its national borders." Mustafa Kemal hoped that the rejection of pan-Turkic ideals would also help him to normalize relations with the Soviet Union: political pan-Turkism, especially its irredentist element, would be officially suppressed. Despite the fact that several pan-Turkish associations were active outside Turkey in the 1930s, there is no evidence that



the Turkish authorities officially supported them. Kemalism was focused on building a democratic state and demonstrated a remarkable ability to assimilate the recent past and uphold republican principles while shaping the new future.

Defenders of the new doctrine in the process of building a new state actively assimilated the fundamental principles of the republican system, built relevant institutions and absorbed various ideological elements, including Pan-Turkism.

Keywords: Pan-Turkism, Turkey, Kemalism, Republican principles.

REFERENCES:

<p>1. Atsız. N. Turancılık, Milli Değerler ve Gençlik. İstanbul, 2011</p> <p>2. Akçura Y. Türkçülük, İstanbul, 2018</p> <p>3. Chokayogli M. Tutkestan pod vlast'yu Sovietov, 1935,</p> <p>4. Türkkan R. O. Milyetçilik Yolunda, İstanbul, 1994</p> <p>5. Özdoğan G.G. Turan dan Bozkurt a Tek Parti Döneminde Türkçülük 1931-1946, Çev İsmail Kaplan, İsteambul, 2001</p> <p>6. Ertekin, O. Cumhuriyet Doneminde Turkculugun Catalanan Yollari, İstanbul, 2009.</p> <p>7. Yaşlı F. Milyetçilik ve Faşizm: Türkiye de İrçki</p>	<p>Milyetçilik Üzerine Bir İnceleme. Basılmamış Doktora Tezi, Ankara Üniversitesi Sosyal Bilimleri Enstitüsü, 2008</p> <p>8. Alptekin İ. Dogu Turkistan insanliktan yardım istiyor, 1974</p> <p>9. Sançar N. Maalesef Türkler, ibid. 3 nov. 1950</p> <p>10. Jacob M. Landau, Pan-Turkism from Irridentism to Cooperation, Indiana University Press, Bloomington and Indianapolis, 1995</p> <p>11. Hofman T. Türkishcler Nationalismus und seine Auswirkungen auf christliche Minderheiten, Berlin, 2014</p> <p>12. Cumhuriyet, (İstanbul dayli), 7 and 9 May 1944.</p> <p>13. Cumhuriyet, (İstanbul dayli), 20 May 1944</p>
--	---

პან-თურქიზმის ალტერნატივა და რესპუბლიკური პრინციპების დაცვა თურქეთში

თამარ დევიძე

კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტის

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0006-2131-385X>

e-mail: devidze_tamar@yahoo.com

მარგე დევიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორანტი

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0004-1942-8688>

e-mail: msdevidze@gmail.com

აბსტრაქტი

პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის მარცხმა და დაშლამ გამოიწვია იმ მთავარი პოლიტიკური იდეოლოგიების დისკრედიტაცია, რომლებიც მძლავრობდნენ იმპერიის არსებობის ბოლო წლებში. ოსმალეთში დაკარგა თავისი დანიშნულება, ვერც პან-ისლამიზმმა და ვერც პან-თურქიზმმა ვერ შეძლო იმპერიის შენარჩუნება. მათი ბრძოლა იმპერიის შენარჩუნებისთვის წარუმატებლად დასრულდა. ამასთანავე, ომში განცდილმა მარცხმა ოსმალეთის იმპერიას დააკარგინა თავისი მთავარი უცხოელი მოკავშირე გერმანიის სახით.

ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის დაწყებულმა ბრძოლამ, რომელსაც სათავეში მუსტაფა ქემალი ედდა, დიდი მხარდაჭერა მოიპოვა მოსახლეობაში. რატომუნდა ეს გამოწვეული იყო პატრიოტიზმზე აქტიურობით - სამშობლოს დაცვა დამპყრობლებისგან იყო მთავარი მიზანი და ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ 1923 წელს, თურქეთის რესპუბლიკის დაარსებისას მუსტაფა ქემალის დიდი ძალისხმევით ქვეყანაში ნაციონალიზმის ახალი კონცეფცია იწყებს დამკვიდრებას.

ცნობილი ფაქტია, რომ იდეოლოგიების გაუჩინარება შეუძლებელია რაიმე დადგენილების საფუძველზე, შესაბამისად „ახალგაზრდა თურქების“ და მათი ეპოქის იდეების გადანაცვლება მოხდა ახალ რესპუბლიკაში. თურქიზმის და პან-თურქიზმის ელემენტები გადავიდა ახალ იდეოლოგიაში. მუსტაფა ქემალის მიერ

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



მოფიქრებულმა ნაციონალიზმმა ბუნებრივად შეიძინა განსხვავებული ორიენტაცია, ის გახდა ახალი რესპუბლიკის დოქტრინა, მაგრამ ვარკვეულ ჩარჩოებში და ეს ჩარჩო იყო რესპუბლიკური სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი პრინციპები. ეს პრინციპები იყო ჩარჩო ყველა იმ მიმდინარეობებისა, რომელიც თურქეთში არსებობდა.


1921 წელს, დამოუკიდებლობის ომის დროს, მუსტაფა ქემალმა, ექსპერიმენტი გამოსვლისას განაცხადა: „არც ისლამურ ეკვიპირს და არც თურანიზმს არ შეუძლია შეგვიქმნას დოქტრინა, ან ლოგიკური პოლიტიკა ჩვენთვის, რადგანაც ახალი თურქეთის სახელისუფლებო პოლიტიკა ვიცხოვროთ დამოუკიდებლად, დავეყრდნით თურქეთის საკუთარ სუვერენიტეტს, მის ეროვნულ საზღვრებში“.

მუსტაფა ქემალი იმედოვნებდა, რომ პან-თურქულ იდეალებზე უარის თქმა დაეხმარებოდა მას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების დარეგულირებაშიც: პოლიტიკური პან-თურქიზმი, განსაკუთრებით მისი ირედენტული ელემენტი, ოფიციალურად ითრგუნებოდა. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ 1930-იან წლებში რამდენიმე პან-თურქული ასოციაცია აქტიურად მოღვაწეობდა თურქეთის გარეთ, არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ თურქეთის ხელისუფლება ოფიციალურად უჭერდა მხარს მათ.

ქემალის დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებაზე იყო ორიენტირებული და აჩვენებდა შესანიშნავ უნარს ახლო წარსულის ასიმილაციისა და ახალი მომავლის ფორმირებისას რესპუბლიკური პრინციპების დაცვის კუთხით.

ახალი დოქტრინის დამცველები ახალი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში აქტიურად ითვისებდნენ რესპუბლიკური მოწყობის ფუნდამენტურ პრინციპებს, აშენებდნენ შესაბამის ინსტიტუტებს და შთანთქმებდნენ მრავალფეროვან იდეოლოგიურ ელემენტებს, მათ შორის პან-თურქიზმსაც.

საკვანძო სიტყვები: პან-თურქიზმი, თურქეთი, ქემალიზმი, რესპუბლიკური პრინციპები.



შესავალი ნაწილი

როგორც ცნობილია, პან-თურქიზმი ჩამოყალიბდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებში. მისი აქტიური ეტაპი ოსმალეთის იმპერიაში მეოცე საუკუნის ადრეულ წლებში დაიწყო და განვითარებას პირველი მსოფლიო ომის წლებში მიადნია. იდეოლოგია მიზნად ისახავდა თურქი ხალხების აღორძინებას.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ოსმალეთის მთავრობა ოფიციალურად უწყობდა ხელს პან-თურქულ მოძრაობას და პან-თურქიზმი გახდა როგორც სახელმძღვანელო პრინციპი სახელმწიფო პოლიტიკისათვის. პან-თურქიზმი იყო ერთდერითი იდეოლოგია, რომელიც განიხილებოდა იმ დროინდელ ოსმალეთის იმპერიაში, მისი შექმნა და განვითარება განაპირობა იმპერიის სოციალურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა თავისებურებებმა.

თუმცა, პან-თურქიზმმა ვერ შეძლო ხელი შეეშალა და შეეჩერებინა ოსმალეთის იმპერიის დაშლა. იმპერიის შენარჩუნებულ ტერიტორიებზე შეიქმნა ახალი თურქული სახელმწიფო ახალი თურქული ნაციონალიზმით, რომელიც რადიკალურად განსხვავებული იყო ოსმალეთის იმპერიის ნაციონალიზმისგან.

თურქეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე მოხდა პან-ტურქიზმის გადასაცვლება გვერდით პოზიციებზე, თუმცა ის არ გამქრალა და

აღმოფხვრილა სრულად, უბრალოდ ჩაანაცვლა ახალი სახელმწიფოს მონონებულმა ახალმა იდეოლოგიამ.

განსხვავებით უზარმაზარი მულტი-ეროვნული ოსმალეთის იმპერიისგან, თურქეთის რესპუბლიკა იყო პატარა და საკმაოდ ერთეოვნული ქვეყანა. როგორც ომისგან დაზარალებულ ქვეყანას სჭირდებოდა კონცენტრირება მოეხდინა რეკონსტრუქციაცაზე და უპირობოდ უმნიშვნელოვანესი გაეხადა რესპუბლიკის შიდა ინტერესები, თვით-ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება უმჯობესი იქნებოდა უცხოურ ურთიერთობებში, ამიტომაც ქემალისტური რესპუბლიკური პრინციპებიდან პან-თურქიზმი და განსაკუთრებით კი მისი ირედენტული ელემენტები ოფიციალურად იკრძალებოდა.

ძირითადი ნაწილი

მეორე მსოფლიო ომი პან-თურქისტებს სთავაზობდა უნიკალურ შესაძლებლობას, ხელახლა გამოსულიყვნენ ასპარეზზე, დაედასტურებინათ თავიანთი არსებობა, თავიანთი მიზნები. ამ დროისთვის პან-თურქიზმი იყო პატარა ელიტური მოძრაობა, თუმცა ჰქონდა მზარდი, ფარული მხარდაჭერა. მათი მომხრეები გარდა ადგილობრივი თურქებისა, მოავლდა იყვნენ ყირიმულ თათრებში, ჩრდილოეთ კავკასიაში, აზერბაიჯანში, თურქე-

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



სტანსა და დაღესტანში, საბჭოთა კავშირიდან გამოქცეულ თურქ ლტოლვილებში. მიაჩნდათ, რომ პან-თურქიზმის აღორძინებისათვის, მათ ეძლეოდან ახალი შესაძლებლობები. ბექდავდენენ სხვადასხვა სტატიებს და პუბლიკაციებს, სადაც განადიდებდნენ თურქულ რასას.

პან-თურქულმა პუბლიკაციებმა საგრძობლად გაზარდეს აგრესია, 1941 წელს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ და მათი ინტენსიურობა პირდაპირ პროპორციულად იყო მიმართული გერმანიის გამარჯვებისკენ, ამასთან იზრდებოდა ანტი-რუსული განწყობა. მეულხედავად თურქეთის ნეიტრალიტეტისა, ისმოდა მონოღებები თურქეთის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩართვისა, მიაჩნდათ, რომ საბჭოთა კავშირის მარცხის და დაშლის შემდეგ პან-თურქიზმის რეალურად შეძლებდა რეალიზებას. მაგალითად, გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ Bozkurt-ს ერთი გამოცემის ყდაზე გამოსახული ჰქონდა თურქების განსახლების რუკა თურქეთსა და ცენტრალურ აზიაში და მიმართავდა პრეზიდენტს: „ოო, ინოზო, შენ, რომელიც არჩეული ხარ ისტორიისაგან ამ დიდებულ დღისათვის! ჩვენ მზად ვართ დავდევართო სისხლი მთელი თურქეთის წმინდა დამოუკიდებლობისათვის! ყველა თურქი ელის ნიშანს!“¹ ნათელი იყო, რომ ეს იყო მონოღება ომისკენ და კიდევ მრავალჯერ მოხდა მისი გამოვრება მეტად აგრესიულ ფორმებში მაგალითად „უფლება, რომელსაც არ გაძლევენ, ძალით უნდა ნაართვა. ომით? დიახ, როცა ეს აუცილებელია, ომით!“ ფაქტია, ამ მოწოდებების ავტორი პან-თურქები, რომლებიც უშიზნებდნენ მრავალმილიონიანი ერის ჩამოყალიბებას, მზად იყვნენ საომრად.

მეორე მსოფლიო ომში და განსაკუთრებით ომის გვიან წლებში პან-თურქისტთა ჩართულობა გასცდა მხოლოდ ყურნალისტურ აქტივობას და მიიღო უფრო პირდაპირი, პრაქტიკული ხასიათი. რამდენიმე პან-თურქულმა ჯგუფმა ომის დაწყებისთანავე, ევროპაში, კავშირები დაამყარა ნაცისტურ გერმანიასთან და მის მხარდამჭერებთან მაგალითად, თურქო-თათრები რუმინეთში დასამშრომლობდნენ რკინის მცველებთან,² თუმცა მთავარი ფაქტორი იყო თურქეთის დამოკიდებულება, თურქული ჩართულობის ფაქტი მოკავშირებთან შეერთებამდე 1945 წლის 22 თებერვლამდე. საჯაროდ და ოფიციალურად, თურქეთის ხელისუფლება ინარჩუნებდა მკაცრ ნეიტრალიტეტს, მხოლოდ აკვირდებოდა

მოვლენებს, განსაკუთრებით მის საზღვრებთან, პრაქტიკულად კი 1941 წლიდან კონფიდენციალური ურთიერთობები ჰქონდათ გერმანიასთან. მართალია, თურქული არქივები სრულად არ არის გახსნილი და არ გვაქვს სრული სურათი, მაგრამ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სახალხო აღრიცხვის ოფისის ფაილები იძლევა საკმარის ინფორმაციას სრული სურათის შესაქმნელად და ამ ფაქტის დასადასტურებლად. გერმანიას ინტენსიური პროპაგანდის კამპანია ჰქონდა მიმართული თურქეთისაკენ ომის პირველივე დღეებიდან, რაც გრძელდებოდა მთელი ომის განმავლობაში, განსაკუთრებულ ინტერესს ნაცისტური გერმანია იჩენდა იმ თურქო-თათარი ჯგუფებისადმი, რომლებიც ცხოვრობდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მთელი ომის პერიოდში გერმანიაში გამოდიოდა აკადემიური სტატიები პან-თურქული ელფური, თავის მხრივ თურქეთიც საკმაოდ სიმპათიით იყო განწყობილი გერმანიის მიმართ, ამის მაგალითია, ყურნალისტი ნადირ ნადი, რომელიც წერდა ყურნალ Cumhuriyet-ში, მან რამდენჯერმე მოუწონა თურქებს შეერთებოდნენ გერმანიას ომში. 1941 წლის 18 ივნისს, ჰიტლერის საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე ოთხი დღით ადრე, ანკარაში ხელი მოეწერა თურქო-გერმანული „მეგობრობის ხელშეკრულებას“. გერმანია აშკარად ცდილობდა სამხრეთი ფრთის გამყარებას, თურქეთს კი სურდა რუსეთის დასუსტება. ნაცისტები ცდილობდნენ პან-თურქიზმის გასოყენებით თურქეთის ცდუნებას ტერიტორიული გაფართოების თვალსაზრისით. ოფიციალური პირები გერმანიის საგარეო ოფისიდან (მაგ., ფონ ჰენთინგი) დიდი ენთუზიაზმით უჭერდნენ მხარს პან-თურქულ პროპაგანდას საბჭოთა კავშირში და ამისთვის კონკრეტული მომზადებებიც ჩაატარეს. იყვნენ ასეთი იდეების მომხრეებიც, რომ გამოეყენებინათ პან-თურქები რათა შეექმნათ მეტროპოლი შენაერთები გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში თურქი სამხედრო ტყვეებისაგან, რომელთა რიცხვი იმდროისთვის 55.000 ათას კაცს შეადგენდა. ეს იდეა შემდგომში პრაქტიკაშიც განხორციელდა. თურქეთის ხელისუფლებამ, არაოფიციალურად ყველაფერი იცოდა ამ ქმედებებზე, თითქოს უხერხულობდა კიდევ ღია პან-თურქულ პროპაგანდას, რომელიც მოდიოდა ბერლინიდან. თურქეთის ხელისუფლებამ უარი თქვა კონფლიქტში ღია ჩართვაზე, რაც საკვარულად გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის სიძლიერით და იმის შიშით,

1 Jacob M. Landau, Pan-Turkism from Irridentism to Cooperation, Indiana University Press, Bloomington and Indianapolis, 1995, p.112
2 ნაცისტური სამხედრო ორგანიზაცია, ავტ.შენიშვნ.



რომ საბჭოეთი ჯერს იყრიდა იქ მცხოვრებ თურქულ უმცირესობებზე. მიუხედავად იმისა, რომ ნაცისტური გერმანია თვლიდა, რომ თურქეთის ხელისუფლების ყიდვას შეეძლებოდა რეგიონირიული გავლანობის საცდურთი, უამრავი ზენიტონის მიუხედავად, თურქეთი მყარად იდგა ნეიტრალიტეტის პოზიციაზე.

თურქეთსა და გერმანიას შორის მოლაპარაკებებში გადაწყვეტი როლი საბჭოთა კავშირში მცხოვრებმა თურქებმა ითამაშეს. ფონ პაპენის¹ საიდუმლო მასალებიდან ჩანს, რომ თურქეთში მომუშავეებში იყვნენ ისეთი ცნობილი ემიგრანტები და პან-თურქისტები, როგორცაა აჰმედ ზია ველიდი ტოგანი, მეჰმეთ ემინ რესულ ზადე, მირზა ბაღა, აჰმად კაფეროღლუ, საიდ საშილი და აიაზ იშაკი. ომის მსვლელობის პერიოდში გერმანიში, პან-თურქული აქტივობებისათვის იყვნენ მუსტეციბ ულკუსალი, მუსტაფა ჩოკაყოღლუ, ველი კაჯუმ ქანაი. თითოეული მათგანი იყო მთავარი მამოძრავებელი სამხედრო ერთეულების ჩამოყალიბების საქმეში თურქესტანში, აზერბაიჯანში, ვოლგა-ურალსა და ყირიმის თათრებში, უზბეკებში, ყირგიზეტებში, ყაზახებში, ტაჯიკებში, დაღესტნელებსა და კავკასიის მუსლიმთა ლეგიონებში. ეს ლეგიონები, რომლებიც უმეტესწილად სამხედრო პატიმრებისგან შედგებოდა, შეუერთდა გერმანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში და ისინი ძირითადად პარტიზანულ ომში იყვნენ ჩამოშლინი. ბევრ მათგანს დამოუკიდებლობის იდეა ამოძრავებდა, ზოგიერთი კი შთაგონებული იყვნენ პან-თურქული ერთობით.

თურქული ხელისუფლება, თავის მხრივ, ისე ჩანდა, რომ არ განიხილავდა რაიმე სერიოზულ ირედენტისტულ გეგმებს. ბრიტანეთის ელჩი ანკარაში, ამბობდა რამდენიმე წლის შემდეგ: „სულ უმცირესი მტიკიცებულებაც არ არსებობდა, რომ თურქეთის ხელისუფლებას ჰქონოდა ირედენტისტული ამბიციები სამხრეთ რუსეთში მცხოვრები თურქული მოსახლეობის მიმართ. თურქეთის ხელისუფლებამ იცოდა სად გადაიოდა მისი ინტერესები... თუ უპასუხისმგებლო ინდივიდუალები ტენდენციურად მიუთითებდნენ თურქული რასისი არსებობას თურქეთის გარეთ, ისინი პასუხავდნენ მხოლოდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ ხელისუფლების მხრიდან.“² რა თქმა უნდა, ხელისუფლებას ნათელი სურათი ჰქონდა იმისა, თუ რა ხდებოდა, მაგრამ უარს ამბობდა ამ სიტუაციაში ჩართვაზე, მანამ, სანამ ერთი

მხრივ გერმანელები არ აღიარებდნენ საბჭოთა კავშირის თურქისტული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებას და მეორე მხრივ, გერმანია არ დაამარცხებდა საბჭოთა კავშირს. თავის მხრივ გერმანელებიც ყოყმანობდნენ, მათაც თავისი გეგმები ჰქონდათ საბჭოთა ცენტრალურ აზიაზე, შიტლერს თვითონ ჰქონდა გეგმა ყირიმისა და კავკასიის კოლონიზაციისა, თუმცა სტალინგრადთან განცდილობა მარცხმა ამ გეგმის განხორციელების მიმედ საბოლოოდ ჩაუშალა.

საინტერესო საკითხად რჩება ის ფაქტი, რამდენად სერიოზულად სურდა ისმეთ ინიციატ³ და მის ხელისუფლებას ომში ინტერვენცია. ფაქტია, რომ თურქეთი იცავდა ნეიტრალიტეტს, მიიჩნეოდა, რომ სიფრთხილე და კეთილგონიერება იყო ვაჟკაცობის საუკეთესო გამოვლინება. ხელისუფლების ასეთი ქმედებით გაღიზიანებულნი იყვნენ პან-თურქისტული ჯგუფები, მიანდათ, რომ პან-თურქიზმის რეალიზებისთვის საუკეთესო შესაძლებლობას კარგავდნენ ხელისუფლების ასეთი უმოქმედობით. ამიტომაც დაიწყეს მათ თავიანთი ზომების მიღება.

თურქეთის ხელისუფლებას უამრავი მიზეზი ჰქონდა გადაეფასებინა თავისი ნეიტრალიტეტი, განსაკუთრებით ომის ბოლო წლებში. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც ნიუთელი არმია შეიჭრა უკრაინაში, მიაღწიეს პოლონეთის და რუმინეთის საზღვრებს და გადავიდნენ ბალკანეთში, შედეგად თურქეთის ხელისუფლებამ გააძლიერა პან-თურქულ აქტივობებზე თვალყურის დევნება, რათა პროვოკაციები აერიდებინათ რუსებისაგან. პან-თურქისტები თვლიდნენ, რომ დრო იყო დარტყმა მიეყენებინათ საბჭოთა კავშირისათვის და ამით მიეღწიათ თავიანთი ირედენტისმიზნისათვის. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ომის წლებში პან-თურქული პაროპაგანდა მიმართული ყოფილიყო მისი მთავარი მეტოქის „ნაციონალიზმის“ წინააღმდეგ. ეს ორი იდეოლოგია მეტოქეობდნენ და პან-თურქისტები სულ უფრო ხშირად იბრძოდნენ მოეპოვებინათ მონოპოლია ნამდვილ პატრიოტიზმზე. თუმცა კი ორივე იდეოლოგიისთვის შეზღუდული იყო მანევრირების სივრცე თურქეთის ცენტრალური ნეიტრალიტეტის გამო. ეს ორი აზროვნების სკოლა ერთმანეთს მეტოქეობდა, მაგალითად, უმცირესობის წინააღმდეგ განწყობის გაძლიერებაზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ასეთმა განწყობამ მიიღო კეთილგანწყობა მთავრობისაგან ძალიან მძიმე, „ქონების ბეგარის“ შე-

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

1 Jacob M. Landau, p.113

2 Jacob M. Landau, p.114

3 თურქეთის მეორე პრეზიდენტი, ათათურქის შემდეგ, 1938-1950წლებში, ატ. შენიშვი.



მოტანით 1942 წელს. თუმცა, პან-თურქისტებისთვის უფრო ბუნებრივი იყო ფრონტალური შეტევა კამეხორციელებინათ თავისი დაუძინებელი მტრის, კომუნისტების წინააღმდეგ და განსაკუთრებულად ადგილობრივ კომუნისტებზე, როგორც რეალურზე, ისე წარმოსახვითზე. ეს კიდევ უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც თურქი კომუნისტების მომხრეებმა დაიწყეს პან-თურქისტებზე თავდასხმა.

1943 წელს გამოქვეყნებულ პამფლეტს ფარის ერკანმა „უდიდესი კითხვები“ უწოდა. ეს ნაწარმოები მიზნად ისახავდა ნიღაბი ჩამოეხსნა „პან-თურქისტ, თურანელი რასისტი მარიონეტებისთვის, რომლებსაც თავის ჭკუაზე ათამაშებენ უცხოელები“. ის თავს ესხმოდა ატისის, რიზა ზურს, ერკლტეს და ადანაშაულედა მათ ომის გაჩაღებაში და თავიანთი მოთხოვნების ნაციონალიზმამდე დაკნინებაში. გარდაუვალი გახდა ღია ქონფლიქტი ხელისუფლებასა და პან-თურქისტებს შორის. 1944 წლის 20 თებერვლი და 21 მარტს ატისიზმა გამოაქვეყნა ორი ღია წერილი პრომიერ მინისტრ მეჰმეთ შუკრუ სარაჩოლლუს მიმართ, თავის ყოველთვიურ გამოცემაში Orhun-ში, სადაც ის კიცხავდა კომუნისტების დამღუპველ ქმედებებს თურქეთში და ითხოვდა უფრო აქტიურ თურქისტულ და პან-თურქისტულ პოლიტიკას. მოხდა Orhun-ის რამდენიმე ნომერის კონფისკაცია და შემდეგ ურუნალის დახურვა, რამაც პან-თურქისტებს უბიძგა გასულიყენენ ქუჩაში, ამით გადააკეთეს კრიტიკული ზღურბლი იდილოგიურ პოლიტიკასა და პოლიტიკურ ქმედებას შორის.

1944 წლის 3 მაისს დიდი ანტი-კომუნისტური დემონსტრაცია მოეწყო სტამბულსა და ანკარაში. მომიტინგეები აპროტესტებდნენ კომუნისტების შეჭრას თურქული ხელისუფლების ბიუროკრატისა და საგანმანათლებლო სისტემაში. თვალნათელი იყო პან-თურქული მოწოდებები, რაც სავარაუდოდ გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის თურქული ჯგუფების ბედზე შფოვით (დაგეგმილი იყო და განხორციელდა კიდევ რამდენიმე დღეში თათრების დეპორტაცია). პროცესებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი გამოჩენილი პან-თურქები ატისიზი, თურქანი და სხვები. დემონსტრაციას შუერთდნენ სტუდენტებიც (ახალგაზრდა კაპიტანი ალფარსლან თურქეში, ვინც მომავალში მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა თურქულ პოლიტიკაში). დემონსტრაციიდან ექვსი დღის შემდეგ ხელისუფლებამ დააპატიმრა ოცდაათზე მეტი პან-თურქისტი და მათი მომხრე, მათ შორის იყვნენ ტოგანი, ატისიზი, სანჩარი, თურქანი,

ერკლტე, პეიამი საფა, თურქეში, ჰიკმეთ ტანია, მ. ზეკი სოფულილუ, ნურულა ბარიმანი, თევთოლლუ და სხვები. სავარაუდოდ საბჭოთა კავშირის წინაშე თავისი ნეიტრალიტეტის დასამტკიცებლად. დაიწყო ფართომასშტაბიანი ანტი პან-თურქული კამპანია მოხსენებებისა და პრეს-სტატეტიების გამოყენებით ხელისუფლებისაგან და რესპუბლიკურ ხალხთა პარტიასთან დაახლოებულ ჯგუფებისაგან, რომლებიც სთავაზობდნენ თურქული ნაციონალიზმის საკუთარ ვერსიას. პრესა ადანაშაულედა პან-თურქისტებს და უწოდებდა მათ „რასისტებს და თურანისტებს“, „სახალხო ნესრიგის და ხალხის მტრებს“.1 დემონსტრაციებიც მეთექვსმეტე დღეს, ანკარის სტადიონზე სიტყვიერ გამოვიდა ისმეთ ინონუ, სადაც განაცხადა, რომ თურქეთი იყო ნაციონალური და ნაციონალისტური სახელმწიფო იდეებით ვაღენითილი, მაშინ როცა პან-თურქიზმი (ის უწოდებდა „თურანიზმს“) იყო უკვე დასრულებული ფენომენი მიდრეკილი იმისკენ, რომ მუზობლებთან მუდმივ კონფლიქტში ჩაეთრია ერი, ის ადანაშაულედა თურანისტებს საიდუმლო საზოგადოებების ჩამოყალიბებაში და სახიფათო სიტუაციების შექმნაში.2 ეს არგუმენტები მალე იქნა გაზიარებული, შედეგად პან-თურქისტული ორგანიზაციები აიკრძალა, თუმცა სასამართლო პროცესებმა, რომლებიც მიმდინარეობდა პან-თურქი ლიდერების წინააღმდეგ და ზოგადად კამპანიაში, რომელიც ამ მოძრაობის წინააღმდეგ დაიწყო, საწინააღმდეგოდ ითამაშა პან-თურქიზმის სასარგებლოდ. პან-თურქიზმს მისცა თავისუფალი საჯაროობის ის შეძლება, რომლისკენაც დიდი ხანია ისწრაფავდა.

1944 წლის 11 სექტემბერს სტამბოლში სამხედრო სასამართლოს წინაშე წარსდგა ოცდასამი ადამიანი, რომლებიც დაადანაშაულეს რასისტულ-თურანისტული, მავნებლური იდეების გავრცელებაში, ხელისუფლების დაშლის მიზნით საიდუმლო ჯგუფების დაარსებაში, მათ შორის იყვნენ მამრეზილი პან-თურქისტული ტოგანი, ატისიზი, სანსარი და თურქანი. დანარჩენები იყვნენ უმცროსი ოფიცრები, რეზერვის ოფიცრები, ხელისუფლების ოფიციალური პირები, მასწავლებლები და სტუდენტები.

1945 წლის 29 მარტს ათ ბრალდებულს მიე-საჯა ერთიდან ათ წლამდე შრომითი სასჯელი, დანარჩენები კი გაათავისუფლეს. ტოგანს მიესაჯა ათი, ხოლო ატისიზი ოთხი წელი, თუმცა იმავე წლის ოქტომბერში, აპელაციაზე, კასაციის სამხედრო სასამართლომ გააუქმა სასჯელები. ამ

1 Cumhuriyet, (Istanbul yayli), 7 and 9 May 1944.
2 Cumhuriyet, (Istanbul yayli), 20 May 1944



დროისთვის ომი უკვე დამთავრებული იყო და შეიცვალა ქვეყნის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. სრულიად განსხვავებული განწყობით გაიმართა ხელახალი სასამართლო პროცესი 1946 წლის აგვისტოდან 1947 წლის მარტამდე. სასამართლომ ყველა ბრალდებული გაათავისუფლა ბრალდებისგან. შედეგად პან-თურქიზმი აღარც მანებლური იყო და არც უკანონო, საზოგადოებას აწვდიდნენ პან-თურქიზმის იდეოლოგიას, ისე, რომ ხაზს უსვამდნენ მის ძლიერ ნაციონალისტურ ხასიათს. შეიქმნა სახალხო ომივი წამდვილი ნაციონალისტისა და ეს ომივი გრძელდებოდა შემდგომ წლებშიც პან-თურქიზმის პროპაგანდის ლაიტმოტივად.

პან-თურქისტებმა, რომლებიც წახალისებულნი იყვნენ მეორე მსოფლიო ომის ბოლო წლებში თავიანთი აქტივობებით, ასევე სასამართლო საქმის საჯაროობით და შემდგომში ბრალდების მოხსნით, ამ წლებში და შემდგომაც გაზარდეს თავიანთი აქტივობები და გააძლიერეს თავიანთი პროპაგანდა. თავიანთი პროპაგანდულ კამპანიაში პან-თურქები სრულ მხარდაჭერას პოულობდნენ იმ გარე თურქულში, ვისაც ჰქონდა თავიანთი პოლიტიკური ორგანიზაცია და ასევე ცდილობდნენ მხარდაჭერა მოეპოვებინათ დასავლეთის და ზოგადად მსოფლიოს ქვეყნებისაგან. ამის მაგალითია თურქესტანის ემიგრანტები, რომლებმაც დააარსეს საკუთარი ასოციაცია „აღმოსავლეთ თურქესტანის ემიგრანტთა საზოგადოება“. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და წევრები ესწრაფვოდნენ მიეღწიათ საერთაშორისო მხარდაჭერისათვის.¹

განახლებულმა პან-თურქულმა აქტივობამ თავისი გამოხატულება ნახა წიგნებსა და პერიოდულ გამოცემებში. 1930-1940-იან წლებში პან-თურქული აზროვნება იყო ნაციონალისტური-რასობრივი კვლევების გავლენის ქვეშ, მოგვიანებით ის ანტი-კომუნისტურით ჩანაცვლდა. ამ ნაშრომების უმეტესი ნილი დაწერილი იყო თურქანის, ატსიზის და სანსარის მიერ. თურქანი სხვებზე მეტად აერთიანებდა რასიზმისა და ანტი-კომუნისმიზს მონოდებებს. მისი წიგნები და პამფლეტები ატარებდნენ ასეთ სათაურებს: „არის კი რასა დამოკიდებული გარეუბნზე?“^{1939წელი}; 1940 წელი „შეხვედით პან-თურქიზმში“; 1941 წელი „ოთხი სოციალური პრობლემა“; 1943 წელი „არგუმენტები რასაზე“; 1943 წელი „მემარცხენეები და ნითლები“; 1943 წელი „შური“;

1943 წელი „ნითელი აქტივობები; 1944 წელი „ციონალიზმის გზაზე“; 1946 წელი „პროგრესული პან-თურქიზმი და პარტიები“. ამ სტატიებიდან მხოლოდ „ოთხი სოციალური პრობლემა“ არ იყო პან-თურქული სიმპატიებით გაუფენილი, ყველა დანარჩენი მის მიმართ ღია მხარდაჭერას გამოხატავდა. მაგ.; სტატია „ნაციონალიზმის გზაზე“² პან-თურქიზმს მოისხენიებდა როგორც „თურქულ ნაციონალიზმს“. მოგვიანებით თურქანმა კიდევ უფრო დახვეწა პან-თურქიზმის ძირითადი პრინციპი და მას „ეროვნული კავშირი“ უწოდა. მისი მიზანი იმ 65 მილიონი თურქის გაერთიანება იყო, რომელთაც საერთო სისხლი, ენა, რელიგია, ისტორია, ტრადიციები და კულტურა ჰქონდათ და რომლებიც ცხოვრობდნენ ბულგარეთიდან ალტიამდე გადაშლილ ფართო ტერიტორიაზე. „თურქული ნაციონალური კავშირი“ იყო ასევე მთავარი გზა თურქეთის გაძლიერების და განვითარებისთვის. ეს იდეა გამყარებული იყო თურქანის მიერ.

„რასის“ და „თურქული რასის“ კონცეფციის მხურვალე მხარდამჭერი იყო ნუჯედთე სანსარიც. ის ცდილობდა თავისი მკითხველისათვის გაეღვიძებინა სიამაყე საკუთარი რასის წარსულის მემკვიდრეობაზე. ხელისუფლების მიერ მის წინააღმდეგ გატარებულმა რეპრესიებმა, როგორც ის უწოდებდა ხელისუფლების ქმედებას მის მიმართ, ვერ შეცვალა მისი შეხედულება და კიდევ უფრო დამუშავებულად წარმოაჩინა პუბლიკაციაში „Turklu sevgisi“ (თურქიზმის სიყვარული), რომელიც გამოიცა 1952 წელს. მებრძოლო ბუნების სანსარი ამბობდა, რომ არსებობდა თურქული რასა, რომელიც მოიცავდა გარე თურქებს, თუმცა ეს უპირობოდ არ გულისხმობდა ყველა წარმოშობით თურქს ან თურქულად მოლაპარაკეს. ადამიანს თვითონ უნდა ეგრძნო თავისი ეროვნულობა და ეტარებინა ეროვნული ღირსებები, რომელიც ამ წოდების ღირსად აქცევდა. გარე თურქები, ვინც ამ გრძნობებს ატარებდა, უდავოდ იყვნენ თურქული რასის ნაწილები. მისთვის პან-თურქიზმის იდეალი იყო თურქები, რომლებიც გაიმარჯვებდნენ შინაური და გარეულ მტრებზე, გარე მტრებად მიაჩნდა რუსები, ბულგარელები და იტალიელები, ხოლო შინაური მტრად მიიჩნევადა ნითლებს, თავისუფალ მასონებს, სიონისტებს და თურქეთში მცხოვრები უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც თავს ისე აჩვენებდნენ, რომ უყვარდათ თურქები, მაგრამ მხოლოდ თურქს შეუძლებ სხვა

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

1 Isa Alptekin, Dogu Turkistan insanliktan yardım istiyor, 1974
2 Ergenekon-Bozkurt-Gok Boru (yeni ve eski yazilar), Muftuoglu Yayinevi, 1944, p.135



თურქის სიყვარული „თურქულად ფიქრი“¹ - ეს იყო სანსარისული პან-თურქიზმის არსი.

ატკიზი, თურქული რასის კონცეფციის მხარდამჭერი იყო ატკიზი, მეორე მსოფლიო ომის წლებში თავის სტატეგიაში უფრო ირედენტისტულ მიზნებზე საუბრობდა. 1940-1950 წლების სტატიების კრებულში ის საუბრობდა თურქეთა კავშირზე, აღნიშნავდა, რომ ბევრ ქვეყანას სურდა თავიანთი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება; გაერმანელებს სურდათ რუსეთისგან წართმეული აღმოსავლეთ გერმანია, ფინელებს - კარელია, უნგრელებს-ტრანსილვანია, იუგოსლავიელებს - მაკედონია, ბერძნებს ჩრდილოეთ კვიპროსი, ხოლო სირიელებს პალესტინა, შესაბამისად სვამდა კითხვას, რატომ არ უნდა მიისწრაფოდნენ თურქები ერთობისკენ? „გაერთიანება ნიშნავს ზრდას და ზრდა ნიშნავს გაერთიანებას“ ატკიზისთვის პან-თურქები იყვნენ „ისინი, ვინც მზადა იყვნენ თურქული ერისთვის წამებულნი“² მისი შეფასებით პან-თურქიზმი იყო თურქული ნაციონალიზმი, „თურქების სიყვარულის“ სინონიმი; არავის უყვარს თურქები ისე, როგორც თვით თურქებს. პან-თურქიზმის განმარტებისას ატკიზი ამბობდა: „ეს ის თურქია, ვისაც სჯერა თურქული რასის უპირატესობა, პატივის სცემს მის ეროვნულ წარსულს და მზადაა მსხვერპლად შეეწიროს მის იდეალებს, განსაკუთრებით მოსკოვის, მისი დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ“.³

ცოტა სხვაგვარი უყურებდა ამ საკითხს კიდევ ერთი პან-თურქი კახანოღლუ (Okun-ის კიდევ ერთი ავტორი). ის უარყოფდა შოეინიზმს და ამბობდა, რომ „პან-თურქიზმი ჰგავდა ბევრი სხვა ტიპის ნაციონალიზმს თავისი განზრახვით დიდცვას თავიანთი თანამემამულეების ადამიანური უფლებები და საკუთარი მომავლის განსაზღვრის თავისუფლება. არავის შეეძლო კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა დაპყრობილი თურქების სურვილი კულტურულ და პოლიტიკურ გაერთიანებაზე“.⁴ ამ შეხედულებას იზიარებდა და მხარს უჭერდა ერთთურქი. ერთთურქი წერდა „ნაციონალიზმი იცავდა ადამიანის უფლებებს, ხოლო იმპერიალიზმი უარყოფდა. პან-თურქიზმის მიზანი იყო დახმარებოდა ყველა თურქს მოეპოვებინათ თავიანთი დამოუკიდებლობა. 1950-იანი წლების ცვლელად გარემოში ქემალიზმმა დაკარგა

რელიგევანტურობა, ხოლო პან-თურქიზმმა შეიძინა ნამდვილი მნიშვნელობა“.⁵

პან-თურქიზმი, როგორც იდეალი, მორალური საკვები იყო ერისთვის და სხვა ერებთან შედარებით უმაღლესი იდეალი. პან-თურქიზმი ითხოვდა თურქული რასის უპირობო მმართველობას თურქულ ტერიტორიებზე. ეს უკვე იყო წარსულში და შესაძლებელი იყო მისი განმეორება, თუკი ყველა მოინდომებდა და იღვანებდა ამისთვის.

დასკვნა

პან-თურქისტობა არ იყო ოილი საქმე. ძლიერ პროპაგანდისტულ კამპანიასთან ერთად პან-თურქისტები დიდ ძალისხმევას დებდნენ ორგანიზებაში. თურქეთის რესპუბლიკის პირველ ოცეულში, ლატენტურ ფაზაში მრავალი მცდელობები იყო ასოციაციების ჩამოყალიბების, ხშირად ნახევრად ფარული ჯგუფებით, მაგალითად ტოგანის და თურქანის ინიციატივები. ტოგანის მიერ შექმნილ ჯგუფს საიდუმლო სახელი ჰქონდა: კი ჰქონდათ „ჩვენ ვიღვანებთ, სიცოცხლის ფასადაც კი, თურქესტანელების ფიქრის, ენის, კულტურის ერთობისთვის ჩრდილო კავკასიიდან ჩინეთის თურქესტანამდე და თუ საჭიროა მოვეკვებით კიდევ ჩვენი მიზნისთვის ბრძოლაში“⁶ თურქანის ჯგუფი, Kitap sevenler kurumu (წიგნის მოყვარულით საზოგადოება) აკრძალეს 1940 წლის აპრილში. ფარულად მოღვაწეობდა ორი პატარა პან-თურქული საზოგადოება Gurem (დაარსებული თურქანისგან) და Gok -Boru, ასევე იყო თურქული კულტურული კავშირი, დაარსებული 1942 წელს იმისთვის, რომ დაეცვათ აღმოსავლეთ თურქების კულტურული მემკვიდრეობა, კავშირი აწყობდა ხოლმე სპეციალურ შეხვედრებს „თურანის მიწების“ სახელით. იყო სხვა ჯგუფები, ძირითადად იმ გარე თურქებისგან შექმნილი, რომლებიც ცხოვრობდნენ თურქეთში, აქტიურად მოღვაწეობდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს და პან-თურქიზმისადმი დიდ სიმპათიას გამოხატავდნენ, ეს სიმპატიები გამოხატული იყო კულტურული, ფილანტროპული თუ პოლიტიკური აქტივობებით. მათ შორის ყველაზე აქტიურები იყვნენ თურქესტანელები და აზერები.

1944 წლის 3 მაისის დემონსტრაციამ აჩვენა თურამხელა მნიშვნელობა ჰქონდა ორგანიზაციებს დემონსტრაციების პროპაგანდამ, ხელისუფლების

1 Nejdet Sançar, Maalesef Türkler, ibid. 3 nov. 1950
2 Jacob M. Landau, p.121
3 Atsız N. P.167
4 A. Kazanoglu, Turkculuk ve Turk birliği, ibid. 6 10 Nov.1951, pp. 6-7
5 Hocaoglu S. Erturk, Turancılık, ibid., 39, 17 Nov. 1950, pp.3-5
6 Hostler, Turkism, ibid., p.187



მიერ წამოწყებულმა კონტრ კამპანიამ, პან-თურქისტების დაპატიმრებამ, გასამართლებამ და სასამართლოს მიერ გამართლებამ, პან-თურქიზმის პოპულარიზაციას კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შესძინა.

ომის დროს აქტივობები შემცირებული იყო, ომის შემდეგ კი გაჩნდა ფართო შესაძლებლობები, პან-თურქებმა დაიწყეს გამოსვლები თავიანთი თანამებრძოლების დასაცავად. ჩამოყალიბდა პან-თურქული სწავლების ასოციაციები. ერთ-ერთი პირველი იყო Turk Kultur (თურქული კულტურის კერა), რომელიც დაარსდა 1946 წელს და მისი მიზანი იყო გავრცელებისა და დაეცვა თურქული კულტურა შინაური და გარეული იდეოლოგიების თავდასხმებისგან. ეს ასოციაცია თავისი არსით იყო ნაციონალისტური და ჯგუფებმა პან-თურქული ტენდენციებით, მისი თავმჯდომარე იყო ბაჰადირ დულგერი.

ასევე იყო სხვა ორგანიზაციები: „თურქი ახალგაზრდობის ორგანიზაცია“; „ასოციაცია-აქტივობა თურქული კულტურისათვის“; თურქული კულტურის ასოციაცია“ ანკარაში. ყველა მათგანი გაერთიანებული იყო ერთი ქოლგის ქვეშ „ნაციონალისტური კავშირების ფედერაცია.“ შესაძლებელია ტერმინის „ნაციონალისტური“ უფრო მეტად გამოყენება ვიდრე ტერმინი „პან-თურქული“ -ის გამოწვეული იყო იმით, რომ პირველი უნაკლოდ გამოიყურებოდა მეორის მიერ შექმნილ რეპუტაციასთან შედარებით. ფედერაციას ხელმძღვანელობდა ადვოკატი ბეკირ ბეკი, რომელიც დაახლოებული იყო პან-თურქისტებთანაც და ორთოდოქს მუსლიმებთანაც. ორგანიზაციულად, ფედერაცია იყო სუსტი, მისი ყველაზე მეტად აქტიური ელემენტი იყო თურქი ახალგაზრდების ორგანიზაცია, რომლებიც ხმაავლად და ლიად აუღერებდნენ თავიანთ შეხედულებებს. ასოციაცია მოქმედებდა მთელი ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკური ასოციაციის მოდელით (ასევე ინტერესით კულტურასა და სპორტში). 1951 წლის 9 იანვარს ორგანიზაციამ მოიწვია კონგრესი. მისი ერთ-ერთი გადაწყვეტილება იყო „ასოციაცია თურქული კერასთან“ შეწყობა.

პან-თურქისტების ადგილობრივი ჯგუფები, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ „თურქეთის ნაციონალისტების ასოციაციაში“ აგრძელებდა ზრდას. 1951 წლის ოქტომბრისათვის ფილიალები ჰქონდათ ანკარაში, სტამბოლში, სამსუნში, კაისერში, ქუთაშიში, ყარსში, ქირიქალაში, ქირიკანში, მულღაში, ტირეში, მენემენში, გუმუშჰანეში, უზუნკორუმში, დერიკში, უშაკში, პანიში, ნეგემპირში, ჩა-

ნაკალში, ბურჰანიში, უღუბორლუში, კირშეპირში, დიარბაქირში, აფონში, მაღათიასა და არპაჩინში ანუ ყველა დიდ ქალაქში და ზოგ მცირე ლოკაციებშიც. მისი არსებობის პიკზე, როცა ის დაიხსნა 1953 წლის იანვარში, ასოციაციას ჰქონდა 80-ზე მეტი ფილიალი. ასოციაციის წევრები იყვნენ თავისუფალი პროფესიების ადამიანები, სტუდენტები, კლერკები, ტექნიკოსები, ისევე როგორც ფერმერები და სამრეწველო მუშები. ასოციაციის ოფიციალური რეგულაციები ინსტრუქტირებულნი იყო თურქული ნაციონალიზმით, ასოციაციის უმეტესი წევრი, ლიდერების ჩათვლით იყო პან-თურქისტი, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა წევრი არ იყო პან-თურქისტი, მაგალითად ნურეთინ თოფჯუ (1909-1975) „თურქული კულტურის კერის“ და თურქი ნაციონალისტების გამოჩენილი ფიგურა მცირე ხნით ატისზის თანამოაზრე. მას ჰქონდა განსხვავებული შეხედულება ნაციონალიზმზე. თავის წიგნში, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ, 1978 წელს გამოვიდა, თოფჯუ ავითარებდა იდეას, რომ „რასის ერთობა ან შინა და არის საკამარის ერისათვის, მხოლოდ ანატოლიაში იყო შესაძლებელი საერთო რასით, ეკონომიკით, ენით, ისტორიით და რელიგიით სიცოცხლისუნარიანი ერის ჩამოყალიბება“.¹

ხშირად შეხვედრებმა, რომლებიც ორგანიზებული იყო ჯგუფებისა და საზოგადოებებისგან, Turk ocaklari-ის ხელახლა დაარსებისადმი მოწოდებებმა და მოთხოვნებმა დაეარსებინათ პოლიტიკური პარტია, რომელიც მხარს დაუჭერდა პან-თურქიზმის მიზნებს, შემფოთება გამოიწვია დემოკრატიული პარტიის ხელისუფლების წრეებში, შედეგად 1953 წლის 22 იანვარს თურქი ნაციონალისტების ასოციაციის ყველა ფილიალი დაიხსურა და პან-თურქული ჯგუფების ყველა აქტივობა შეიკვეცა, თუმცა ეს სიტუაცია ნამდვილად განსხვავებოდა იმ პირობებისგან, რომელიც იყო რესპუბლიკის პირველ პერიოდში.

მუსტაფა ქემალი მკედარი იყო, მულტიპარტიულმა სისტემამ შეცვალა რესპუბლიკური ხალხთა პარტია და იდეოლოგიები, რომლებიც ეპაქერებოდა ქემალიზმს, ახლა აქტიურად მეტოქეობდნენ ერთმანეთში. ქემალისტურმა სეკულარულმა ნაციონალიზმმა, როგორც სახელმწიფო იდეოლოგიამ თურქეთის რესპუბლიკის დაარსებიდან ათწლეულების განმავლობაში შეძლო და გააერთიანა 1925 წლის შემდეგ არსებული მრავალი იდენტობა, ძველ მცირე აზიასა და მესოპოტამიურ კულტურებზე დაყრდნობით, რომლებიც თურქების წარმოსახვით ისტორიაში იყო ჩაფლული.

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

1 Şab. e. g. Ulus, 6 May 1944 და Cumhriyet, 7 and 9 May 1944



ABOUT GENETIC ENGINEERING

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: June 11, 2022
Published: June 23, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18022023-72



Mariam Berdzenishvili
First-year undergraduate student
in the Applied Biosciences program
Faculty of Exact and Natural Sciences,
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-3203-5644>
E-mail: mariamberdzenishvili915@ens.tsu.edu.ge

ABSTRACT

The article includes a brief history of the development of genetic engineering, its positive aspects in modern science, medicine and human life. We are also talking about the negative sides of this methodology, which affects the genetic diversity of the living world. Also, the article presents the potential risks of foods containing genetically modified organisms (GMOs) to the health of humans and other living organisms. It is because of this problem that attention is focused on the issue of whether or not there should be a need to label products containing GMOs in grocery stores.

Key words: genetic engineering, genetically modified organisms.

გენური ინჟინერიის შესახებ

მარიამ ბერძენიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სსახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის,
გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და
ბიოტექნოლოგიის პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი
ORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-3203-5644>
ელ.ფოსტა: mariamberdzenishvili915@ens.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

სტატია მოიცავს გენურ ინჟინერიის განვითარების მოკლე ისტორიას, მის დადებით მხარეებს თანამედროვე მეცნიერებაში, მედიცინასა და ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში. საუბარია ამ მეთოდოლოგიის უარყოფით მხარეებზეც, რაც აისახება ცოცხალი სამყაროს გენეტიკურ მრავალფეროვნებაზე. ასევე, სტატიაში მოცემულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმების (გმო) შემცველი საკვების პოტენციური რისკები ადამიანისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმების ჯანმრთელობაზე. სწორედ ამ პრობლემის გამო ყურადღება გამახვილებულია საკითხზე - უნდა არსებობდეს თუ არა გმო-ს შემცველი პროდუქტების ეტიკეტირების აუცილებლობა სასურსათო მაღაზიებში.

საკვანძო სიტყვები: გენური ინჟინერია, გენმოდიფიცირებული ორგანიზმები.

მისაპალი

XXI საუკუნე ტექნოლოგიების ერაა. ერთ-ერთი მეცნიერება, რომელიც უზრუნველყოფს დიდ ტექნოლოგიურ მიღწევებს თანამედროვე მსოფლიოში, არის ბიოტექნოლოგია. ის ძალიან სწრაფად ვითარდება და დიდ აღმავლობას განიცდის. მსოფლიოში ათასობით კომპანიაა, რომლებშიც მიმდინარეობს ბიოტექნოლოგიური კვლევები. ის სხვადასხვა დარგს მოიცავს, რომელშიც ინტეგრირებულია ისეთი საგნები, როგორებიცაა გამოყენებითი ბიოლოგიური მეცნიერებები (მოლეკულური ბიოლოგია, უჯრედის ბიოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია და სხვ.).

კვლევის ობიექტის მიხედვით ბიოტექნოლოგიაში გამოიყოფენ 3 ძირითად მიმართულებას: მიკრობული ბიოტექნოლოგია, მცენარეთა ბიოტექნოლოგია და ცხოველთა ბიოტექნოლოგია.

გამოყენების სფეროების მიხედვით ბიოტექნოლოგიას ყოფენ 4 ქვედარგად: სამედიცინო ბიოტექნოლოგია, აგარარული ბიოტექნოლოგია, ინდუსტრიული ბიოტექნოლოგია და გარემოს დაცვის ბიოტექნოლოგია.

სამედიცინო ბიოტექნოლოგიაში მოიაზრება: ფარმაცევტული საშუალებების წარმოება, დაავადებების დიაგნოსტიკა და მისი მკურნალობა.

აგარარული ბიოტექნოლოგიით იწარმოება: ახალი საკვები პროდუქტები, ვირუსებისა და სხვადასხვა პათოლოგიური აგენტების მიმართ მდგრადი მცენარეები და ცხოველები.

გარემოს დაცვის ბიოტექნოლოგია შეიმუშავებს ტექნოლოგიებს: დაბინძურებული გარემოს აღდგენისა და განმენდისათვის.

ინდუსტრიული ბიოტექნოლოგია კი აწარმოებს სხვადასხვა ქიმიურ საშუალებებს, ბიოსანაფებს, ტექნიკურ ზეთებს და სხვ.

ბოლო დროს განსაკუთრებულად ვითარდება ნანობიოტექნოლოგია. ნანობიოტექნოლოგიას მინიატურულ ბიოტექნოლოგიასაც უწოდებენ, რადგან ის გულსისხმობს ბიოლოგიური პრობლემების გადაწყვეტასა და ბიოტექნოლოგიურ კვლევებს ნანობიოტექნოლოგიის გამოყენებით. თანამედროვე ბიოტექნოლოგიაში ძირითადად იყენებენ გენურ ინჟინერიას.[1]

გენური ინჟინერია არის მეთოდოლოგია, რომლითაც ხდება ერთი ორგანიზმიდან მეორეში ნებისმიერი გენის გადატანა განსაზღვრული ნიშან-თვისებების მინიჭების მიზნით. ამ მეთოდოლოგიის საშუალებით შესაძლებელია ბუნებაში ჯერ კიდევ არარსებული თვისებების მქონე დეზოქსირიბოზ



ნუკლეინის მჟავის (დნმ) ჰიბრიდული მოლეკულების გამიზნული, მიზანმიმართული მიღება in vitro (ორგანიზმის გარეთ) პირობებში. აღნიშნული მანიპულაციით ხდება ორგანიზმის გენეტიკური მოდიფიკაცია. გენეტიკური მოდიფიკაციის შედეგად მიიღება ტრანსგენური ორგანიზმი, რომელშიც წარმატებით ფუნქციონირებს სხვა ორგანიზმიდან გადატანილი ტრანსგენი. გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი (GMO) არის ორგანიზმი, რომლის გენეტიკური მასალა შეცვლილია არაბუნებრივი მეთოდების (ანუ თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდების) გამოყენებით. გენურ ინჟინერიას მეცნიერები იყენებენ ორგანიზმის ცალკეული მახასიათებლის შესაცვლელად ან გასაუმჯობესებლად. უნდა აღინიშნოს, რომ გენური ინჟინერიის მეთოდები არ მიეკუთვნება სელექციურ ჯიშთა გამოყენების მეთოდებს.

განსხვავება და მსგავსება გენური ინჟინერიის მეთოდებსა და სელექციის მეთოდებს შორის

სელექცია და გენეტიკური ინჟინერია არის ორი მეთოდი, რომელიც გამოიყენება სასურველი ნიშან-თვისებების მქონე ახალი ორგანიზმების შესაქმნელად. ამასთან, ორივე ხელოვნური მეთოდი, რომელიც ხდება ადამიანის სურვილისამებრ გარკვეული ნიშნის გაუმჯობესების მიზნით. მთავარი განსხვავება სელექციასა და გენურ ინჟინერიას შორის არის ის, რომ გენური ინჟინერიის გამოყენებით შესაძლებელი ხდება მივიღოთ ჰიბრიდული ორგანიზმი არა მარტო ერთი სახეობის ინდივიდებს შორის (როგორც ეს ხდება სელექციის შემთხვევაში), არამედ სრულიად განსხვავებულ ორგანიზმებს შორის. ასეთი შეიძლება იყოს მცენარეული და ცხოველური ორგანიზმები. მაგალითად, პომიდორმა მიიღო თეთრი დათვის ყინვაგამძლეობის გენი, ბრინჯმა-ადამიანის გენი, კარტოფილმა-ბაქტერიის გენი. გენი ერგება ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



(ცხოველს, მცენარეს, მიკროორგანიზმს) გენეტიკური კოდის უნივერსალურობის გამო.

გენურ ინჟინერიას საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნეში. 1972 წელს პოლ ბერგმა შექმნა პირველი რეკომბინანტური დნმ. მან გააერთიანა მაიმუნის ვირუსის SV40-ის დნმ ლამბდას (ბაქტერიოფაგი) ვირუსთან. ჰერბერტ ბოიერტმა და სტენლი ნორმან კენმა ბაქტერიულ უჯრედში შეიტანეს რეკომბინანტური დნმ. მათ იპოვეს ფერმენტი, რომელიც ქრის ერთ ნერტილში pSC101 პლაზმიდს და შეძლეს გენის ჩასმა და დიგირება.

1974 წელს შეიქმნა პირველი გენმოდიფიცირებული ცხოველი. რუდოლფ იაენიშმა შექმნა ტრანსგენური თაგვი, მის ემბრიონში უცხო დნმ-ის (დეზოქსირიბონუკლეინის ზეგანი, რომელიც უზრუნველყოფს გენეტიკური პროვოკაციის შენახვასა და მომავალ თაობებში გადაცემას) შეყვანით. (2)

დღესდღეობით გენური ინჟინერია ფართოდ გამოიყენება მედიცინაში, ახალი ნაშენების ტესტირებაში, ცოცხალი ორგანიზმების ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით შესწავლაში, უჯრედულ თერაპიაში და მრავალ სხვა სფეროში.

მიღებულია სამკურნალო პრეპარატები, რომელთა გარეშეც თანამედროვე მედიცინა უკვე წარმოუდგენელია. მაგალითად, ინსულინის ინექცია დიაბეტით დაავადებულ ადამიანებში. შაქრიანი დიაბეტი არის ქრონიკული დაავადება, რომელიც ხასიათდება სისხლში გლუკოზის დონის მომატებით. არსებობს შაქრიანი დიაბეტის 2 ტიპი. პირველი ტიპის დიაბეტის დროს პანკრეასის მიერ ვერ გამოიმუშავდება პორმონი ინსულინი, რომელიც გლუკოზის დონეს არეგულირებს სისხლში. ინსულინის არარსებობის პირობებში ვითარდება ჰიპერგლიკემია, რაც იწვევს გულის, თირკმელების, თვალის, სისხლძარღვებისა და ნერვული სისტემის მძიმე დაზიანებებს. შესაბამისად, დიაბეტის პირველი ტიპით დაავადებულ ადამიანებს მუდმივად სჭირდებათ ინსულინის თერაპია.

ადრე ინსულინს იღებდნენ მოკლული ღორისა და სხვადასხვა მსხვილფეხა რქოსანის პანკრე-

ასიდან. აქედან გამომდინარე ინსულინი ყველგან პაციენტისათვის ხელმისაწვდომი არ იყო. გარდა ამისა, ის იწვევდა ალერგიულ რეაქციებს ზოგიერთ ადამიანში. ამ პრობლემის გადასაჭრელად ინსულინის წარმოება გენური ინჟინერიის მეთოდოლოგიის საშუალებით დაიწყო. ეს იყო პირველი რეკომბინანტური ნაშალი აშშ-ში. ინსულინის ამ გზით წარმოება უფრო მომგებიანი აღმოჩნდა. ასეთი ინსულინი უფრო სუფთაა, ვიდრე ცხოველური ინსულინი. თანაც ის ამცირებს მის წინააღმდეგ ანტისხეულების წარმოქმნას.[3]

გენური ინჟინერიის მეთოდები გამოიყენება ასევე სხვადასხვა დაავადების შესწავლაში ლაბორატორიული ორგანიზმების გამოყენებით. გენური ინჟინერიის გამოყენებით მიიღეს გენმოდიფიცირებული თაგვები, რომელთაც ხელშეწყობდა დაუზიანეს Acer1 გენი, იმის შესასწავლად, თუ რა ფუნქცია ჰქონდა ამ გენს. ასეთ თაგვებს დაეწოთ ბენვის ცვენა და დაკარგეს ნორმალური სხეულის ტემპერატურა. შედეგად დადგინდა, რომ Acer1 გენი მონაწილეობს კანის დაავადებებში, როგორცაა ფსორიაზი.



ნორმალური თაგვი (მარცხნივ), თაგვი Acer1-გენის მუტაციით (მარჯვნივ). მოდიფიცირებულ თაგვს ჩულებერზე თაგვზე უფრო ნაკლები თმა აქვს.

გენური ინჟინერიის კიდევ ერთი დადებითი მხარე ისაა, რომ ის ისეთი გლობალური პრობლემების გადაჭრის საშუალებას იძლევა, როგორცაა საკვების დეფიციტი და ეკოლოგიური პრობლემები. დღესდღეობით მოსახლეობა სწრაფად იზრდება. მისი ინტენსიური ზრდა იწვევს საკვებზე მოთხოვნის მატებას. მსოფლიო მოსახლეობის გამოსაკვებად არასაკმარისია დედამიწაზე არსებული რესურსები. ამიტომ მეცნიერებმა შექმნეს გენმოდიფიცირებული საკვები, რომელთაც მიანიჭეს სხვადასხვა ცოცხალი სახეობისთვის დამახასიათებელი თვისება. შედეგად მიიღება პროდუქტები, რომელთა მოსავლიანობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდია. GMO კულტურები შექმნილია იმისთვის, რომ მეტი აწარმოონ და



THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



იყოს მდგრადი მანებლების, სარეველებისა და დაავადებების მიმართ. გლობალური დაბობის პოტენციური ზემოქმედების ასანახლად ურთულად, შემუშავებულია გენმოდული ცირებულის საკვების კულტურების ახალი ჯიშები, რომლებიც უძლებენ მაღალ ტემპერატურას, გვალვას ან აყვავებებიან მარლიან წყალში, რათა, სავარაუდოდ, დაეხმარონ მომავალში საკვების პოტენციური დეფიციტის შეჩერებას. ასე რომ, გენმოდული ცირებულის მცენარეების მიღების ძირითადი მიზანია სასურსათო დეფიციტთან გამკლავება, რომელიც მსოფლიოს უკანასკნელ ათწლეულში ამოქმედდა.

გენურ ინჟინერიაზე საუბრისას გვერდს ვერ აუვლით მის უარყოფით მხარეებს. გენეტიკური ინჟინერიის ტექნოლოგიის განვითარებამ გამოიწვია შეშფოთება სამეცნიერო საზოგადოებაში პოტენციური რისკების შესახებ. ამ ნაკლოვანებებს შორის ერთ-ერთია გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება, გენეტიკური მრავალფეროვნების დაკარგვა.

გენმოდული ცირებულის კულტურების მტკერი ან თესვები აბინძურებს ჩვეულებრივ კულტურებს.



რებს. მაგალითად, მექსიკაში სიმინდის 59 ჯიში არსებობდა, რომელთა მოყვანა 6-8 ათასი წლის წინ დაიწყო. აშშ-დან ტრანსგენური სიმინდის შემოყვანის შედეგად 2001 წელს მექსიკაში სიმინდის აბორიგენული ველური ჯიში დაბინძურდა.

ბიოტექნოლოგიის საშუალებით ტრანსგენური პროდუქტების შექმნამ საზოგადოებაში დიდი დებატები და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გენმოდული ცირებულის საკვების ხშირი მოხმარება იწვევს სიმსუქნის პრობლემებს და ონკოლოგიურ დაავადებებს. ასევე დადგინდა, რომ გენმოდული ცირებულის მცენარეების ბუგრებით გამოკვებილი ჭიამბიები უნაყოფონი ხდებიან.

გენმოდული ცირებულმა საკვებმა შეიძლება გამოიწვიოს ალერგიის გაზრდილი რისკები. ცხოველებზე ტესტირება შეიძლება ძალიან საკამათო იყოს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ცხოველებში შესწავლილმა გენმოდული ცირებულმა საკვებმა

ალმოაჩინა ორგანიზმზე ზემოქმედება პრაქტიკულად ყველა ვითარებაში.

დღეის დღეობით უამრავი ჩვენგანი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად მოიხმარს გენმოდული ცირებულ პროდუქტებს. არსებობს გენმოდული ცირებულის საკვების სამი კატეგორია: 1) საკვები, რომელიც თვითონ წარმოადგენს გენმოდული ცირებულ ორგანიზმს (გემო). ესენია: ხორბალი, ბანანი, კარტოფილი, სოიო, სიმინდი; 2) საკვები, რომელიც შეიცავს ცოცხალ გენმოდული ცირებულ ორგანიზმს (იოგურტი შეიცავს გენმოდული ცირებულ რძემყავა ბაქტერიებს); 3) საკვები, რომელიც წარმოადგენს გენმოდული ცირებულის საკვებიდან დამზადებულ პროდუქტს (ზეთი, პური, ლუდი).

აშშ არის ქვეყანა, რომელიც აწარმოებს ყველაზე მეტ გენმოდული ცირებულ მცენარეთა კულტურებს. ზოგიერთ სასურსათო კომპანიას არ სურს თავის პროდუქტში გემოს შემცველობა გაამჟღავნოს. აშშ-ში არსებობს არაერთი ორგანიზაცია, რომელიც მოითხოვს გემოს შემცველი საკვების ეტიკეტირებას. სწორედ ერთ-ერთი ასეთი კომპანიაა Down to Earth, რომელიც აცხადებს: "ჩვენ გვჯერა, რომ მოხმარებლეს უბრალოდ აქვთ უფლება თავად გააკეთონ არჩევანი გენმოდული ცირებულ და არა-გენმოდული ცირებულ პროდუქტებს შორის. მიზეზი მარტივია. ბევრი არ არის დარწმუნებული, რომ გემო უსაფრთხოა. მარტივი ჭეშმარიტება ის არის, რომ ადამიანების უმეტესობას უნდა ჰქონდეს უფლება, აირჩიოს რა ჭამოს და რითი კვებოს ოჯახი. ისინი ეწინააღმდეგებიან მარკირებას, რადგან იციან, რომ თუ გენმოდული ცირებულის საკვების ეტიკეტირება მოხდება, დიდი რაოდენობით მოხმარებული თავს აარიდებს მათ, ისევე როგორც ცეროპისა და აზიის ქვეყნებში." [?] ამ მიზეზების გამო, Down to Earth ALL VEGETARIAN Organic and Natural-ის პოზიციაა, რომ გენმოდული ცირებულის კულტურების განვითარება და მათი დანერგვა ჩვენს სასურსათო მინდობაში წარმოადგენს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებს, რომლებიც ბევრად აღემატება სარგებელს.

რა ნიშანი უნდა ჰქონდეს გენმოდული ცირებულ სურსათს?

- თუ სურსათი შეიცავს გენეტიკურად მოდიფიცირებულ მხოლოდ ერთ ინგრედიენტს, მაშინ წარწერა „გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი“ („გემო“) უნდა მიეთითოს სურსათის დასახელებასთან ახლოს.
- თუ სურსათის შემადგენლობაში შედის ორი ან მეტი ინგრედიენტი, რომელთაგან ერთ-ერთი

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



გენომოდიფიცირებულია, მაშინ ნარნერა „გმო“ უნდა განთავსდეს „შემადგენლობაში“ ინგრედიენტთა ჩამონათვალში გენომოდიფიცირებული ინგრედიენტის გასწვრივ.

სურსათი, რომელიც დამზადებულია გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმისგან, ექვემდებარება საკვალდებულო აღნიშვნას ეტიკეტზე ნედლეულის ნარმოშობის ქვეყნის მიერ წარმოდგენილი დეკლარაციის შესაბამისად. (4)

2000 წელს შემუშავდა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი - კარტახენას ოქმი. ეს ოქმი ქვეყნებს საშუალებას აძლევს აკრძალოს გენომოდიფიცირებული პროდუქტების იმპორტი თუ მეცნიერულად არ არის დამტკიცებული მისი უსაფრთხოება. ამჟამად მსოფლიოში 64 ქვეყანა კრძალავს გმო-პროდუქციის გაყიდვას შეფუთვაზე შესაბამისი აღნიშვნის გარეშე. მათ შორის არიან: იაპონია, მალაიზია, ახალი ზელანდია და ავსტრალია.

საქართველოში 2015 წლის 1-ლი ივლისიდან მოქმედებს კანონი „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენომოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ“, რომლის მიზანია, მომხმარებელს ინფორმაცია მიანიჭოს, არსებობს თუ არა მისთვის სასურველ პროდუქტში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები. კანონის მიხედვით, იმპორტიორი ან მწარმოებელი ვალდებულია, საქართველოს ტერიტორიაზე გასაყიდი პროდუქციის ეტიკეტზე მითითოს ცხადა და ადეკვატურად შესაბამისი აღნიშვნა „გმო“, თუ საკვებში გმოს შემცველი ინგრედიენტის მოცულობა მთლიანი მასის 0,9 პროცენტზე მეტია. [5]

დასკვნა

ამგვარად, გენურ ინჟინერიას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მის მიერ შემუშავებული ტექნოლოგიებით შესაძლებელია სხვადასხვა დაავადების მკურნალობა, ადამიანთა

სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა და მათი ცხოვრების ნუსის გაუმჯობესება. ამასთან, არ უნდა დაგავიწყდეს მისი უარყოფითი მხარეები და პოტენციური რისკები, რომლითაც საფრთხე ემუქრება ორგანიზმთა გენეტიკურ მრავალფეროვნებას. გენური ინჟინერიის შედეგად მიღებულ გმო საკვებს ბევრი მეცნიერი არ ემხრობა, რადგან იაზრებს უსაფრთხოების რისკებს, ალერგიის, კიბოს და ა. შ. საშიშროებას. სხვები უბრალოდ ფილოსოფიურად ენიინალმდებებიან გენომოდიფიცირებულ საკვებს. მათ მიაჩნიათ, რომ ლაბორატორიაში „უკეთესი“ საკვების შექმნა საკვების გენეტიკური შეცვლით, ან ცხოველების კლონირებით და ა.შ. უბრალოდ არასწორი და მიუღებელია. გმო იქმნება ისეთი პროცესების გამოყენებით, რომლებიც არ ხდება ბუნებრივად, არამედ ადამიანის გავლენით, რაც აჩენს კითხვებს მათ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

დამინც, დღევანდელი სამყარო წარმოუდგენელია გენური ინჟინერიის გარეშე. ამიტომაც უნდა მოხდეს ამ მეთოდოლოგიის სწორი, გააზრებული და მიზანმიმართული გამოყენება ადამიანის ცხოვრებისა და ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად და არა პირადი მიზნების (ეკონომიკური სარგებელი) განხორციელებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://cutt.ly/MwuKNC43:show:channel, last checked, 01.07.2023;>
2. https://en.wikipedia.org/wiki/History_of_genetic_engineering, last checked, 01.07.2023;
3. <https://www.yourgenome.org/facts/what-is-genetic-engineering/, last checked, 01.07.2023;>
4. <https://netgazeti.ge/business/29653/, last checked, 01.07.2023;>
5. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2634028?publication=2, last checked, 01.07.2023;>



PROSPECTS FOR THE DEVELOPMENT OF AN ARTIFICIAL UTERUS

Copyright © 2023 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: June 11, 2022
Published: June 23, 2023
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC18022023-77



Tekla Karchava

First-year undergraduate student
in the Applied Biosciences program
Faculty of Exact and Natural Sciences,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID iD: <https://orcid.org/0009-0002-1398-2667>
e-mail: karchavatekla@gmail.com

ABSTRACT

The article talks directly about the growing importance of biotechnology in the modern period, the main emphasis is on the artificial womb (biobag), the model of which was created and refined for a long time. It is still not finished today, however, scientists in the field assure us that this time will come soon. Its composition and working mechanism are discussed, as well as how its functionality has been tested. The assumptions and opinions of scientists on a given issue, its positive and negative impact, the public's attitude towards a new idea and our personal conclusions regarding this issue are presented.

Key words: biotechnology, artificial uterus.

REFERENCES:

1. <https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/genuri-inzhinieria/ra-aris-genuri-inzhinieria>, last checked – 01.07.2023;
2. <https://nationalgeographic.ge/story/khelovnuri-sashvilosno/>, last checked, 01.07.2023;
3. <https://www.theguardian.com/lifeandstyle/2020/jun/27/parents-can-look-foetus-real-time-artificial-wombs-future>, last checked -01.07.2023;
4. <https://cutt.ly/IwuK0COd:show:channel:loop:true>, last checked-01.07.2023;
5. <https://cutt.ly/8wuK08Dp:show:channel:loop:true>, last checked-01.07.2023;
6. <https://www.freethink.com/futurology/artificial-wombs-ectogenesis>, last checked, 01.07.2023;
7. <https://www.indiatimes.com/explainers/news/explained-what-is-an-artificial-womb-exploring-the-possibility-of-artificial-gestation-574764.html>, last checked, 01.07.2023;
8. <https://www.indiatimes.com/explainers/news/explained-what-is-an-artificial-womb-exploring-the-possibility-of-artificial-gestation-574764.html>, last checked, 01.07.2023;
9. <https://www.youtube.com/watch?v=O2RlvjU17RE>, last checked, 01.07.2023;

THE NEW ECONOMIST / სახალი ეკონომისტი



ხელოვნური საშვილთსნოს განვითარების პერსპექტივები

თეკლა ქარჩავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის,
გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და
ბიოტექნოლოგიის პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი
ORCID iD: <https://orcid.org/0009-0002-1398-2667>
ელ.ფოსტა: karchavatekla@gmail.com

აბსტრაქტი

სტატიაში საუბარია უშუალოდ ბიოტექნოლოგიის მზარდ მნიშვნელობაზე თანამედროვე პერიოდში, მთავარი აქცენტი გაკეთებულია ხელოვნურ საშვილთსნოზე (ბიოჩანთაზე), რომლის მოდელიც დიდი ხანი იქმნებოდა და იხვეწებოდა. ის დღესაც არ არის დასრულებული, თუმცა, დრგის მკვლევარი მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ ეს დრო მალე დადგება. განხილულია მის შედეგელობასა და მუშაობის მექანიზმზე, თუ როგორ დაიტესტა მისი ფუნქციონირება. გადმოცემულია მეცნიერთა ვარაუდები და მოსაზრებები მოცემულ საკითხზე, მისი დადებითი და ნეგატიურ გავლენა, საზოგადოების დამოკიდებულება ახალი იდეის მიმართ და გაკეთებული ჩვენი პირადი დასკვნები ამ საკითხთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: ბიოტექნოლოგია, ხელოვნური საშვილთსნო.

შესავალი

XXI საუკუნეში, როცა ტექნოლოგიების განვითარება მწვერვალს აღწევს, უფრო და უფრო აქტუალური ხდება ბიოტექნოლოგიების როლი თანამედროვე საზოგადოებაში, რომელთა საქმიანობაც ცოცხალ არსებათა გამოყენება სასარგებლო პროდუქტების - ნამღების, პრეპარატებისა და ვაქცინების - დასამზადებლად.

ბიოტექნოლოგები აქტიურად იყენებენ გენურ ინჟინერიას, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ორგანიზმიდან გენების გამოყოფას, გენებით მანიპულირებას, ერთი ორგანიზმიდან მეორეში მათ გადატანას. მაგალითად, შესაძლებელია პომიდორში გადავიტანოთ თევზის გენები. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გარკვეულ მიზანს ემსახურება. ფერმერებს სჭირდებათ, რომ პომიდორი უფრო ყინვაგამძლე გახადონ. როდესაც თევზის გენები პომიდორში აღმოჩნდება, პომიდორი იწყებს თევზისთვის დამახასიათებელი ცილების სინთეზს და საბოლოო ჯამში ხდება უფრო ყინვაგამძლე. ასეთ პომიდორს კი გენეტიკურად მოდიფიცირებული ეწოდება.[1]

გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენების შედეგად მიიღება რეკომბინანტული დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ). დნმ არის გენეტიკური ინფორმაციის შემნახველი მაკრომოლეკულა, რომელ-

საც გენეტიკური მასალა მომდევნო თაობებში გადააქვს. რეკომბინანტული დნმ კი ორი სხვადასხვა ნარმოშობის დნმ-ის კომბინაციას ნარმოადგენს. ეს მცირე ჩამონათვალა იმ პროცესებისა, რომელიც ბიოტექნოლოგიის მეშვეობით ხორციელდება. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მედალს ორი მხარე აქვს. იმის მიუხედავად, რომ თანამედროვე ბიოტექნოლოგიას ბევრი სარგებლობა მოაქვს, მას თან ახლავს უკურეაქციები, ამიტომ აუცილებელია თითოეული წვრილმანის მხედველობაში მიღება, დეტალური და საფუძვლიანი ცოდნა მოცემულ საკითხში, და ამასთანავე, სპეციალისტს გააზრებული უნდა ჰქონდეს საკუთარი პასუხისმგებლობა



THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



პროფესიისა და საზოგადოების მიმართ, რადგან მისი თითოეული ნაბიჯი სოციალურად აისახება.


ტერმინი „ხელოვნური საშვილოსნო“, შეიძლება ზოგიერთ მკითხველში გაოცებას იწვევს, შესაძლოა ზოგს ლიბლიც კი მოჰგვაროს სახეზე, თუმცა, მისი მნიშვნელობა უბრალო სიტყვების თამაშზე მეტია.

ზოგადად ცნობილია, რომ ორსულობა 40 კვირამდე გრძელდება, ხოლო ბავშვი, რომელიც 37 კვირამდე გაჩნდა ნაადრევად დაბადებულად ითვლება. 22-23 კვირის ჩვილები სიცოცხლისუნარიანები არიან, მათი გადარჩენის ალბათობა კი 50%-ზე ნაკლებია. მათი ნაადრევი სიკვდილის მიზეზი სუსტი ფილტვებია. ეს პრობლემა საკმაოდ აქტუალურია. ამას მოწმობს ისიც, რომ ყოველწლიურად 2011-2021 წლებში, დაახლოებით 15 მილიონი დღენაკლული იბადება. ჩვილის სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელია, რომ მან 24 კვირა მაინც გაატაროს საშვილოსნოში. თუ მაჩვენებელი 24-ზე ნაკლები იქნება, გადარჩენის ალბათობა მცირდება. იშვიათად, მაგრამ მაინც თუ გაუმართლებს და გადარჩება, ჯანმრთელობის პრობლემები ექნება, რომელიც მოინარჩუნებს ფილტვის ფუნქციონირებისა და თავის ტვინის პრობლემებს. აქვე უნდა ვახსენოთ ბავშვთა ინკუბატორები, რომლებიც დაავადების გართულების რისკებს მკვეთრად ამცირებს, თუმცა, აქაც გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ასეთი ინკუბატორები მხოლოდ გარკვეული კვირის ასაკის ჩვილების გადარჩენას შეძლებს. მაგალითად, 22 კვირაზე ადრე დაბადებული ბავშვის გადარჩენა ასეთი ინკუბატორითაც კი შეუძლებელია. ეს პრობლემა მილიონობით ადამიანს აწუხებს და მისგან დაზღვეული არავენ არის.[2]

ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად შეიქმნა ხელოვნური საშვილოსნო, რომელიც ფაქტობრივად, უკვე არსებული ბავშვთა ინკუბატორის განვითარებულ ვერსიად შეიძლება წარმოვიდგინოთ. ეს არის აკვარიუმის მსგავსი ნივთი, სადაც ჩვილი ამნიონურ სითხეში (ეს არის სითხე, რომელიც ჩანასახი იქნება მოთავსებული და ის ფილტვებს შეავსებს. თითოეული აღმოჩენა თუ მიღწევა უნდა გამოიცადოს, თანაც მრავალჯერ, ვიდრე საზოგადოებისთვის იქნება წარდგენილი.

ფლადელფის ბავშვთა ჰოსპიტალის მკვლევრები: ემილი პეტრიჯი, მარკუს დეივი და ალან ფლეიკი ნეონატოლოგები (პედიატრი, რომელიც აკონტროლებს ბავშვს დაბადების მომენტიდან სიცოცხლის 28-ე დღემდე). განვითარების ფიზიოლოგები (სწავლობენ ადამიანების ზრდასა და შემგუებლობებს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე)

და ქირურგები არიან, რომლებიც მუშაობენ ძლიერ დღენაკლულ ბავშვებთან. ამ მონაცხობილობის შექმნის მიზანი კი იყო, რაც შეიძლება მეტი სიცოცხლის გადარჩენა.[3]



ზემოთ ხსენებულმა მეცნიერებმა ხელოვნური საშვილოსნოს ნაწილი იგივე biobag ანუ ბიოჩანთა (ის, ასევე, ცნობილია, როგორც ექსტრაუტერული გარემო ახალშობილთა განვითარებისთვის ანუ EXTEND) ნაადრევად დაბადებულ რვა ბატკანზე გამოსცადეს. ასეთი ექსპერიმენტული კვლევებისთვის ბატკანი იმიტომ შეარჩიეს, რომ მას აქვს გრძელი გასტაციის პერიოდი და ზომითაც ადამიანის ჩანასახის მსგავსია. ცხოველები დაიბადნენ ადამიანის ორსულობის 23-24 კვირის ეკვივალენტ ვადაზე (ფილტვების განვითარების დონის ათავალისწინებით). ბატკნები მონაცხობილობაში 4 კვირა იმყოფებოდნენ. მეცნიერთა თქმით, ვადა შეზღუდული იყო ექსპერიმენტის პროტოკოლის გამო და არა სისტემის შესაძლებლობების მიხედვით. ცხოველების ნაწილი დააძინეს, რადგან მათ ანტიტერესებდათ, თუ როგორ იმოქმედებდა ხელოვნურმა გარემომ ცხოველების სასუნთქი, ნერვული და სისხლის მიმოქცევის სისტემის განვითარებაზე. დანარჩენი ბატკნები კი ნორმალურ განვითარებას აგრძელებდნენ. თითოეული ბატკნის ორგანოები, მათ შორის, ფილტვებზე ზუსტად ისე განვითარდა, როგორც ეს ბუნებრივად, ანუ, ცხვირის საშვილოსნოში მოხდებოდა. 6 თვეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ ბატკნები თავს კარგად გრძობდნენ, ნორმალურად ვითარდებოდნენ და გარეგნულად არანაირი განსხვავება არ აღინიშნებოდა „ჩვეულებრივი“ ბატკნებისაგან. ტვინის განვითარების მხრივაც ყველაფერი ნორმის ფარგლებში იყო.

კვლევის ხელმძღვანელმა ალან ფლეიკმა კონკურენტულად თქვა: „ჩვენ ცხვირების ინტელექტის ტესტი არ გავქვს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ისინი საკმაოდ ჭკვიანი ბატკნები არიან“.[2]

ადამიანსა და ბატკანს შორის ძირითადი გან-

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



სხვაეგება ისაა, რომ ბაქტერიებთან საკმაოდ ადრე მნიშვნელოვანი ჩანასახოვანი (გერმინალური) მატრიცა, სწორედ მასში ისახება ტვინის გლიური უჯრედები და ნეირონები. ბავშვებში, რომლებიც ძლიერ დღენ-დაღლილი არიან, ხშირად შესამჩნევია მატრიცაში არსებული სისხლჩაქცევები. მეცნიერების მოსაზრებით, ხელოვნური საშვილოსნო ამ პრობლემის გართულების რისკს შეამცირებს, რადგან მას ფილტვების მექანიკურ ვენტილაციას უკავშირებენ.[4]

აღსანიშნავია ისიც, რომ აქ თრომბის წარმოქმნის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. მართალია, მკვლევრებს ცხოველებში შეპარინის მცირე რაოდენობა შეჰყავდათ სისხლის შედედების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მალე მის გარეშეც შეეცადნენ შედედის მიღებას. მის სრულყოფაზე კი გამომდებელი ზრუნავდნენ.[4]

ფლეიკის თქმით ხელოვნური საშვილოსნოს მიზანი სულაც არ არის ჩვილის გაზრდა საშვილოსნოს გარეთ, მისი შექმნის მთავარი არსი არის ის, რომ 28 კვირამდე დაბადებული ჩვილების გადარჩენის ალბათობა გაზარდოს და მათი ჯანმრთელობა გააუმჯობესოს.


ახლა კი განვიხილოთ ხელოვნური საშვილოსნოს შედგენილობა და მისი მუშაობის მექანიზმი. იგი სითხით სავსე კაფსულას შეიცავს, მას ინკუბაციური განყოფილება ეწოდება, რომელიც დღენაკულულ ჩვილს მოათავსებენ. დარჩენილ რამდენიმე თვეს ჩვილი სწორედ აქ გაატარებს. ამ დროის განმავლობაში ის უზრუნველყოფილი იქნება ხელოვნური საკვები ნივთიერებებით. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ სითხეს ექნება მჟავა-ტუტოვანი, ტემპერატურული და ნუტრიენტული გარემო, ანუ ზუსტად ისეთი, როგორც დედის საშვილოსნოში არსებულ

საწყობე სითხეს აქვს. „ნაყოფის ფილტვები შექმნილია სითხეში ფუნქციონირებისთვის და ჩვენ ამ გარემოს სიმულაციას ვაძლევთ, რაც საშუალებას აძლევს ფილტვებს და სხვა ორგანოებს განვითარდეს. ამავდროულად ამარაგებს საკვებ ნივთიერებას და ზრდის ფაქტორებს“, - თქვა ნაყოფის ფიზიოლოგმა და EXTEND-ის დეველოპერმა მარკუს ჯი დეივიმ. აღნიშნულის ქვეშ მოთავსებულია ჟანგბადით მდიდარი ნაყოფის სისხლით მომარაგებელი განყოფილება (იქ არსებული ოქსიგენატორი სისხლს ჟანგბადით ამარაგებს). ბავშვის სისხლის მიმოქცევის სისტემა მასთან ჭიპლარით არის შეერთებული. ჩვილის განვითარების მეთვალყურეობისათვის აუცილებელია სპეციალური, მგრძობიარე სენსორები, რომელსაც ხელოვნური ინტელექტი ზედამხედველობას გაუწევს და გააკონტროლებს ნაყოფის სასიცოცხლო ფუნქციებს, მათ შორის, ტვინის განვითარებას, გულსიცემის სიხშირეს და სხვა. ხელოვნურ საშვილოსნოს ექნება სპეციალური ეკრანი, სადაც მოცემული იქნება ნაყოფის განვითარების მიმდინარეობა პირდაპირ რეჟიმში.[5]

დედის საშვილოსნოს გარეთ ნაყოფის განვითარებას ექტოგენეზს უწოდებენ. (ექტო-გარეთ, გენეზი-განვითარება). აღსანიშნავია, რომ ეს არ არის ახალი იდეა.

ოლდოს ჰაქსელი პირველად შემოგვთავაზა სრული ექტოგენეზისა და ხელოვნური საშვილოსნოს იდეა თავის დისტოპიურ წიგნში "მამაცი ახალი სამყარო", რომელიც გამოვიდა 1932 წელს. ექიმ ემანუელ მ. გრინბერგმა ხელოვნური საშვილოსნოს პატენტი 1955 წლის 15 ნოემბერს მიიღო. გრინბერგს ასევე ეკუთვნის მრავალი ნაშრომი ამ საკითხთან დაკავშირებით. მისი დიზაინის შემა-

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი



დგენელი კომპონენტები იყო: ამნიონური სიძობით საესე ავზი, ბუნებრივ წყობთან დაკავშირებული მანქანა, სისხლის ტუმბოები, ხელოვნური თირკმელი და წყლის გამაცხელებელი. თანამედროვე სისტემები, უმეტესწილად, სწორად განიხილვის თავდაპირველ იდეას ეფუძნება მნიშვნელოვანი კორექტირებით.[7]

მის მიერ შექმნილი ხელოვნური საშვილოსნო უზრუნველყოფდა დღენაკლული ბავშვების ბოლომდე განვითარებას, მაგრამ ვინაიდან მამის უკვე არსებობდა ჩვილების ინკუბატორები, ამ იდეას დიდი ყურადღება აღარ მიექცა. 1990-იან წლებში ტოკიოს (იაპონია) უნივერსიტეტის სამედიცინო განყოფილების მკვლევრებმა, პროფესორ იოშიორი კუვანარა ხელმძღვანელობით დაამზადეს ხელოვნური საშვილოსნოს პირველი საცდელი მოდელი და მასში თხის საშვილოსნოდან ამოყვანილი 120 დღის განვითარების ნაყოფი გადაიყვანეს. სწორად აქ დასრულდა მისი ზრდა-განვითარება. 17 დღის შემდეგ, ის, განვითარებადარსებული, ხელოვნური საშვილოსნოდან ამოიყვანეს.

2002 წელს ჩატარდა ემბრიონის იმპლანტაციის ექსპერიმენტი. მეცნიერებმა კორნელის უნივერსიტეტიდან (აშშ) ხელოვნური საშვილოსნოები შექმნეს, სადაც მოათავეს დღენაკლული ჩვილების ნაცვლად ინ-ვიტრო განაყოფიერების შედეგად მიღებული ზიგოტები და ჩასვეს ლაბორატორიულად გამოყვანილი საშვილოსნოები, რომლებიც მიიღეს ქალისგან აღებული უჯრედებისაგან. ზიგოტები ნარმატებით მიემარჯვნენ მათ კედელს და განვითარება დაიწყეს, მაგრამ აშშ-ის ინ-ვიტრო განაყოფიერების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით გახუთი დღეს გააჩნდა ვერსის. ამ ტექნოლოგიის გამოყენებით ქალებს, რომლებსაც საშვილოსნო დაზიანებული აქვთ და არ შეუძლიათ შვილის ყოლა ეს პრობლემა სამუდამოდ მოუგვარდებათ და თავისუფლად იყოლიებენ საკუთარ შვილებს.[4]

ქალებს, რომელსაც ემუქრებათ ნაადრევი მშობიარობა, საფრთხის თავიდან ასაცილებლად შეუძლიათ, რომ ბავშვი ხელოვნურ საშვილოსნოში გადაიყვანონ, სადაც ის განვითარებას განაგრძობს. ადამიანი, რომელმაც დაკარგა საშვილოსნო სიმსივნის გამო, ხელოვნურ საშვილოსნოს გამოიყენებს სურვატი დედის ნაცვლად. ის ბიოლოგიურ რეპროდუქციის შესაძლებლობას იძლევა იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც ეს წარმოუდგენლად ითვლება.[5]

იმისათვის, რომ ეს ტექნიკა დაინერგოს და ადამიანებმა ის გამოიყენონ მისი უმაღლეს დონემდე

დახვეწა საჭირო. ჯერ-ჯერობით ისევე მუშაობენ მეცნიერები ამ საკითხზე და ნელ-ნელა უახლოვდებიან მიზანს.

EXTEND-ის ჯგუფის წევრებმა ხელოვნური საშვილოსნოს შექმნის შემდეგ დააარსეს სტარტაპი Vitara Biomedical, რომელმაც 100 მილიონი დოლარი შეაგროვა Google Ventures-დან, რათა მოწყობილობა განვითარებინათ და მისი პირველი კლინიკური ცდა ჩატარებინათ. 2022 წლის სექტემბერში ერთ-ერთმა თანაგამომგონებელმა, ალან ფლემიკმა, Vitara-ს ზოგიერთი უახლესი მიღწევა Philly Builds Bio+ სიმპოზიუმზე წარადგინა და აღნიშნა, რომ კომპანიამ მიიღო გარღვევის თერაპიის სტატუსი FDA-სთან. ამასთანავე, მათ აჩვენეს, მონწყობილობის წარმატება ღირს ნაყოფის შემთვებაშიც. უნდა ითქვას ისიც, რომ ღირის და ადამიანის ნაყოფი თითქმის ერთნაირი ზომისაა.

EXTEND არ არის ერთადერთი საშვილოსნოს მსგავსი მოწყობილობა, რომელიც ვითარდება. ევროპაში მეცნიერთა ჯგუფი მუშაობს პრენატალური სისტემის მხარდაჭერის სისტემაზე, კიდევ ერთ ხელოვნურ საშვილოსნოზე, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ ექსტრემალურ მშობიარეებს გადარჩენის უკეთესი შანსი მისცენ. ამავე დროს იაპონიისა და ავსტრალიის გუნდები ავითარებენ შემდეგ პლატფორმას სახელწოდებით Ex Vivo Uterine Environment (EVE) თებულად, რომელიც უკვე გამოცდას ნაადრევად დაბადებულ კრავებზე. ყველა ეს სისტემა იქმნება, რათა ხელოვნური საშვილოსნო და გარე სამყარო ერთმანეთთან დააკავშირონ.[6]

საინტერესოა, ამ იდეის განვითარება ახლარა ეტაპზე? იმის მიუხედავად, რომ მეცნიერები ამტიკცებენ ხელოვნური საშვილოსნოს დადებით გავლენას, ჩვენ მაინც არ ვიცით რა ხდება ადრეულ კვირებში. ეს გარკვეულწილად იმის გამოცაა, რომ რთულია გავიგოთ რა ხდება საშვილოსნოში ამ პერიოდში და ნაწილობრივ იმის გამოც, რომ ადამიანის ემბრიონის განვითარება საშვილოსნოს გარეთ 14 დღეზე მეტი ხანი აკრძალული იყო. ამიტომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ დროის შემდეგ ემბრიონი უნდა გენადაგურებინათ, შესაბამისად, თუ ემბრიონი ვერ გაიზარდა იმ წერტილის მიღმა, სადაც ის ჯერ კიდევ უჯრედების არადიფერენცირებული ბლომად არი, ვერ შემუშავდება სისტემა, რომელიც ნაყოფს 9 თვის განმავლობაში აცოცხლებს. 2021 წელს ეს მიდგომა შეარბილეს აცოცხლებს. 2021 წელს ეს მიდგომა შეარბილეს აცოცხლებს. 2021 წელს ეს მიდგომა შეარბილეს აცოცხლებს. 2021 წელს ეს მიდგომა შეარბილეს აცოცხლებს. 2021 წელს ეს მიდგომა შეარბილეს აცოცხლებს. 2021 წელს ეს მიდგომა შეარბილეს აცოცხლებს. 2021 წელს ეს მიდგომა შეარბილეს აცოცხლებს.

განვითარებასთან დაკავშირებით, მაგრამ დიდი გამოწვევა, რომელიც მეცნიერების კისერზეა, ადამიანის ემბრიონი გაიზარდოს სიცოცხლისუნარიან ბავშვად სხეულის გარეთ - ისე გამოწვევად რჩება.

მამინაც კი, თუ მეცნიერები წინააღმდეგობებს გადალახავენ და ისე განვითარებენ ხელოვნურ საშვილოსნოს, რომ შეძლოს და უზრუნველყოს ადამიანის განვითარება 9 თვის განმავლობაში, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ შეხედავს და მიიღებს საზოგადოება ამ ფაქტს.

2022 წელს პაშმალ-გაილმა, ბიოტექნოლოგმა და კინოპროდიუსერმა, გამოაქვეყნა მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც ასახავდა Ectolife-ს. ფილმში წარმოდგენილი იყო ქარხანა, სადაც ათასობით ხელოვნური საშვილოსნოს აპარატი იყო განთავსებული, რომლებშიც ადამიანის ემბრიონი იმყოფებოდა და ვითარდებოდა. ფილმში ნათქვამი იყო, რომ შეიქმნებოდა სპეციალური აპლიკაცია, რომლის მეშვეობითაც მშობლები პირდაპირ რეჟიმში დააკვირდებოდნენ თავიანთი ბავშვის განვითარებას, შესაძლებელი იქნებოდა აერჩიათ მუსიკა, შეექმნათ სპეციალური სიმღერების ნაკრები, რომელსაც ბავშვი მოისმენდა ხელოვნურ საშვილოსნოში ყოფნისას. ამასთანავე, მშობლებს შეეძლოთ მათი ბავშვებისთვის ემღერათ და მათი ხმა პატარათვის მიეწვდინათ, ბავშვების დედის ხმა ან პეროდიდან ნაცუნები გახდებოდა.

ფილმში ნაჩვენებ აპარატი ჩამონტაჟებული იყო კამერა, რომელიც 360 გრადუსით ტრიალებდა, ვირტუალური რეალობის გამოყენებით მშობლები შეიცნობდნენ თუ როგორ გარემოში იმყოფებიან მათი პატარები, მოისმენდნენ და ნახავდნენ ყველაფერს, რასაც მათი ბავშვი ხედავდა ხელოვნურ საშვილოსნოში ყოფნისას.

განაყოფიერებულ ემბრიონს ამ აპარატი მოათავსებენ. ინ ვიტრო განაყოფიერება უზრუნველყოფს, რომ შერჩეს ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ემბრიონი. გენეტიკური ინჟინერიის გამოყენებით სანამ ემბრიონი იმპლანტირდება ხელოვნურ საშვილოსნოში, შესაძლებელია CRISPR-CAS9 გენის რედაქტირების ხელსაწყოთა მეშვეობით, მშობლებმა განსაზღვრონ ბავშვის თმის ფერი, კანის ფერი, თვალის ფერი, ფიზიკური სიძლიერე, სიმაღლე და გონებრივი შესაძლებლობების ხარისხი და დონე. მეცნიერებს შუქლიათ აღმოფხვრან და ჩაასწორენ ნებისმიერი გენეტიკური დაავადება მანამ, სანამ ემბრიონი ხელოვნურ საშვილოსნოში გადაიყვანენ. [8; 9]

ამ აპარატის მეშვეობით ქალებს აღარ მოუწევს მშობიარობის ტკივილების გადატანა. ლილაკ ზე ხე-

ლის დაჭერით ჩვილი ხელოვნური საშვილოსნოდან გამოვა. ამასთანავე, აპარატი თითქმის მინიმუმამდე დაყვანილი ინფექციების გავრცელების ალბათობა. მშობლებს შუქლიათ საკუთარ სახლში მოათავსონ აპარატი და დააკვირდნენ თავიანთ შვილს. თუმცა, ამ ფილმში წარმოდგენილი ქარხნები ჯერ კიდევ შორსაა რეალობისაგან, მაგრამ ხელოვნური საშვილოსნო ოდესმე აუცილებლად დაინერგება ბერე ქვეყანაში. ამას კი ჩვენ ვერ შევაჩერებთ. [9]

ამ ფილმმა ხალხში არაერთგვაროვანი ემოცია გამოიწვია. ზოგი აღფრთოვანებული იყო „ხელოვნური საშვილოსნოს“ იდეით, ზოგს კი აწუხებდა ის ფაქტი, რომ ტექნოლოგიებმა მოიცვეს მსოფლიო, მათ ღრმად სწამთ, რომ ვერაფერი შეედრება ბუნებრივ ორსულობას, რედესაც დედასა და ბავშვს შორის განსაკუთრებული კავშირი მყარდება. ცალკე პრობლემას წარმოადგენს აპარატის მომსახურების ღირებულება. ცხადია საქმე შეეხება საკმაოდ დიდი ოდენობის თანხას, რომლის გადახდას ყველა ვერ შეძლებს.

დასკვნა

ამრიგად, ბიოტექნოლოგია და მისი ვიწრო მიმართულებები თუ დარგები ადამიანს თვალუწვდენელ შესაძლებლობებს სთავაზობს. მისი მეშვეობით რაც ადრე შეუძლებლად გვეჩვენებოდა, ნელ-ნელა რეალობას უახლოვდება. ხელოვნური საშვილოსნო უფარავ პრობლემას მოგვარებს. მაგალითად, ქალებს აღარ მოუწევთ სამშობიარო ტკივილების გადატანა, ადამიანებს დაზიანებული საშვილოსნოთი ისევე ეძლევათ შესაძლებლობა გახდნენ დედები, ნაადრევად დაბადებულ ბავშვებს კი სიცოცხლის უფრო დიდი შანსი ეძლევათ. ამასთან, შესაძლოა ნეგატიურმა ფაქტორებმაც იჩინოს თავი. ჯერჯერობით ეს მოწყობილობა დეტალურად გამოკვლეული არ არის, საინტერესოა ისიც, თუ რა ეფექტები ექნება ბავშვზე შემდგომში. რამდენად მიზანშეწონილია ასეთი მიდგომის დაინერგვა და მისი გამოყენება?

ცხადია, ამაზე ზუსტი პასუხი არ გვაქვს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სანამ ამ აპარატისა და მექანიზმის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ გვექნება, მისი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. ჩვენი გადმოსახედიდან უფრო უპირანი იქნება თუ ეს მექანიზმი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში იქნება გამოყენებული (რა თქმა უნდა, მისი დეტალური შესწავლის შემდეგ) და არა მაშინ, როცა მისი საჭიროება არ არის. ამასთანავე, პაციენტს უნდა ჰქონდეს დანერგვითი ინფორმაცია ყველაფრის შესახებ.

The New ECONOMIST ეკონომისტი

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.

3. The article must have abstract in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article will published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 10 GEL (Lari) or 5 USD.

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code - 204439296, the account number- GE33LB0113168905809000, „liberty bank“, central office, bank code LERTGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge

Tel: 299 05 76; 555 277 554; 558 944 800.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა — 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კოორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია იბეჭდება ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვანოდით ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს - ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება — 10 ლარი.



5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შექმნისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE33LB0113168905809000, სს „ლიბერთი ბანკი“, ბანკის კოდა LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge

tel: 299-05-76; 555 277 554; 558 944 800.

PS. სტატიების მონოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

საერთაშორისო
ეკონომიკური



www.neweconomist.com.ge
E-mail: editor@neweconomist.com.ge